ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე შარაშენიძე

მუჰამედ ალის გამგებლობა სირია-პალესტინაში
(1831-1841წწ.)

სპეციალობა 07.00.03 _ მსოფლიო ისტორიის

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მერაბ ტიკაძე**

თბილისი
2006

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.

თავი პირველი ოსმალეთ _ ეგვიპტის პირველი კონფლიქტი.

თავი მეორე იბრაჰიმ ფაშას ადმინისტაციული რეფორმა.

1. ადმინისტრაციული ცვლილებები სირიაში.
2. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი და ლიბანის საამირო.

თავი მესამე განათლების საკითხი და რელიგიურ უმცირესობათა სტატუსი სირიაში ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს.

თავი მეოთხე იბრაჰიმ ფაშას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სირიაში და მისი შედეგები.

თავი მეხუთე ოსმალეთ - ეგვიპტის მეორე კონფლიქტი და ევროპის სახელ მწიფოთა პოზიცია მის დარეგულირებაში.

1. ოსმალეთ – ეგვიპტის ურთიერთობანი მეორე კონფლიქტის წინ.
2. ოსმალეთ – ეგვიპტის მეორე კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოები.

დასკვნა.

ბიბლიოგრაფია.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX ს-ის 30-იან წლებში სირია, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას კილიკიიდან ეგვიპტემდე და ხმელთაშუა ზღვიდან არაბეთის უდაბნომდე, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის გამო, საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამ პერიოდში გამწვავდა ე.წ. «აღმოსავლეთის საკითხი», რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალეთ _ ეგვიპტის ორი კონფლიქტი (1831 - 1833 წწ და 1839 -1841 წწ.) და ეგვიპტის მიერ სირიის დროებითი ოკუპაცია. ჩვენი სადისერტაციო თემა ეხება მუჰამედ ალის მმართველობას სირია _ პალესტინაში 1831_1841 წლებში. საკვლევი საკითხი ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც

ნაკლებადაა შესწავლილი. მკვლევართა უმეტესობა ზედაპირულად ეხება მუჰამედ ალის მითითებით სირიაში გატარებულ ცვლილებებს და აქცენტს შემდგომ, თანზიმათის პერიოდზე აკეთებს. უნდა ავღნიშნოთ, რომ საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკა მარცხით დასრულდა, რაც მთელმა რიგმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა ფაქტორებმა განსაზღვრეს. მათგან უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ის, რომ ეგვიპტის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა სირიის სოციალური და ეკონომიკური პირობები და მექანიკურად სცადა ეგვიპტეში გატარებული რეფორმების დანერგვა, რამაც მოსახლეობის უკიდურესი გაღიზიანება და, შესაბამისად, ანტიეგვიპტური განწყობის გაძლიერება გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალეთის იმპერიაში ეროვნული თვითშეგნების გრძნობა არ იყო ჩამოყალიბებული და ამდენად, არაბთა კონსოლიდა-ციისათვის საჭირო ნიადაგი არ არსებობდა.

საკვლევი თემა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ეს იყო ერთ –ერთი პირველი ცდა იმ ეპოქისთვის შედარებით მოწინავე ორი არაბული ქვეყნის გაერთიანებისა. მუჰამედ ალი მიისწრაფოდა შეექმნა დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო ეგვიპტე – სირიის შემადგენლობით. მიუხედავად თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა, ეგვიპტეს ისტორიულად მჭიდრო კავშირ-ურთიერთობები ჰქონდა აზიის არაბულ ქვეყნებთან, ხოლო სირია მისი ტერიტორიის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. ამის შესახებ, კლოტ-ბეიც აღნიშნავდა: « ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვრები არის არა სუეცთან, არამედ ტავრთან. ნილოსის ნაპირზე დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და არსებობის საფუძველი არის სირიის შეერთება ეგვიპტესთან». საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეგვიპტე – სირიის გაერთიანება, ჯერ კიდევ, ალი ბეი ალ-ქაბირმა სცადა XVIII ს.-ის მიწურულს, მაგრამ წარუმატებლად. ასევე მარცხით დამთავრდა გაერთიანების მესამე ცდაც, უკვე მეოცე საუკუნეში. გაერთიანებულმა არაბულმა სახელმწიფომ სულ რამდენიმე წელი იარსება.

ეგვიპტის ფაშას მიერ სირია – ეგვიპტის გაერთიანებას წინ აღუდგა არა მარტო ოსმალეთი, არამედ მას ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო წინააღმდეგობაც შეხვდა. ევროპის სამთავრობო წრეების ინტერესებში არ შედიოდა ძლიერი არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხმელთაშუა ზღვის აუზში და საერთო ძალისხმევით შეინარჩუნეს დასუსტებული ოსმალეთის იმპერია.

ამგვარად, თავდაპირველად ადგილობრივი რეგიონალური მნიშვნელობის საკითხი გადაიზარდა საერთაშორისო კონფლიქტში, რასაც შედეგად ეგვიპტის დამარცხება მოჰყვა.

წყაროები და ისტორიოგრაფია

მუჰამედ ალის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და მის მიერ ეგვიპტის ასაღორძინებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მაგრამ სირიის პერიოდის შესახებ შედარებით მწირი მასალები მოიპოვება. ამის მიუხედავად, აღნიშნული საკითხის გარშემო შევეცადეთ გამოგვეყენებინა ჩვენს ხელთ არსებული წყაროები.

ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტის შესახებ საინტერესო მასალაა დაცული ბეირუთში რუსი კონსულის კ. მ. ბაზილის შრომებში: «Сирия и Палестина" და « Записка о внешней торговле Сирии". „ თუ ჩემი წიგნი _ წერდა ბაზილი, მოხვდება იმ მასალების რიცხვში, რომელთა შესწავლა სასარგებლოა აღმოსავლეთის საკითხის შესასწავლად, მაშინ ჩემი შრომა არ დაკარგულა.» ბაზილის შრომებს დღემდე უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სირია–ლიბანის ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში. ასევე საყურადღებო ცნობებს შეიცავენ რუსი გენერლის ნ. ნ. მურავიოვისა და პოლკოვნიკ დიუგამელის შრომები: «Русские на Босфоре въ 1833 году", « Турция и Египет в1832 и 1833 годахъ" და « Автобиография А. О. Дюгамеля". მათში ასახულია ოსმალეთ-ეგვიპტის I კონფლიქტის სამხედრო და დიპლომატიური პერიპეტიები. აღნიშნული პერიოდის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კლოტ-ბეი თავის ნაშრომში «История Египта".

XIX ს. ავტორთა შეხედულებები მუჰამედ ალის მოღვაწეობის შესახებ დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეგვიპტის ფაშას პოლიტიკა გაკრიტიკებულია რუსი ოფიცრების ო.ი. სენკოვსკის და პ.პ. ლვოვის შრომებში: «Воспоминание о Сирии" და «Русский офицер в Сирии". ასევე ალ-ჯაბართის «ეგვიპტის ქრონიკაშიც»-იც.

საკითხის გარშემო ჩვენ გვქონდა საშუალება გამოგვეყენებინა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები და სტატიები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი არ არსებობს. ამის მიუხედავად, ჩვენ შევეცადეთ გვესარგებლა იმ ქართველ ორიენტალისტ_ისტორიკოსთა

შრომებით, რომლებმაც გარკვეული ყურადღება დაუთმეს ამ საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ მ. სვანიძის «ოსმალეთის ისტორია (1600–1923 წწ.)», აღნიშნული საკითხის პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების გაანალიზების-

თვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ალ. მენთეშაშვილის შრომები «საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის ისტორია», «XX ს. გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები». საკითხის კვლევის დროს გამოვიყენეთ გ. ჯაფარიძის ნაშრომები: « ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX_XIX სს.)», «მილეთი». ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. საკვლევი საკითხის წინა პერიოდის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის მ. ტიკაძის ნაშრომები: «სირიის ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI-XVIIIსს.), «სასამართლო რეფორმა და ყადის ფუნქციები XVIIIს. სირიაში», «ისლამური რელიგიური ინსტიტუტები სირიის საზოგადოებრივ სტრუქტურაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI–XVIII)», «სირიის XVIIIს. ოსმალურ სამხედრო-ადმინისტრაციულ სისტემაში». ასევე გამოვიყენეთ მ. მეტრეველის «დრუზების თემი» და სხვა ნაშრომები, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ამ საკითხს რუსმა ავტორებმა: ა.დ. ნოვიჩევმა, ფ.ა. აცამბამ, ი.მ. სმილიანსკაიამ, ე.ი. ზელენევმა, დ.რ. ჟანტიევმა, ნ.ა. ივანოვმა, ნ.ა. დულინამ და სხვებმა.

უცხოური მასალებიდან უნდა ავღნიშნოთ ი. ჰოფმანის, ა. ტიბავის, პ. ვატიკიოტისის, ბ. ლუისის ნაშრომები. არაბი ისტორიკოსების- ქემალ სალიბის, ფ. ჰითის, ასად რუსთუმის და სხვების შრომები, რომლებიც ინგლისურად არის ნათარგმნი.

რაც შეეხება არაბულენოვან შრომებს, მათ შორის გამოირჩევა აბდ არ-რამან არ-რაფი ბექის და აბდ არ-რაჰმან რაფიკის გამოკვლევები. დაწვრილებითი ინფორმაციაა მოწოდებული სირიაში ეგვიპტის მმართველობისა და დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ლატიფა მუჰამედ სალიმის და მუჰამედ აბდ ას-სათარ ალ-ბადრის ნაშრომებში.

თავი პირველი

ოსმალეთ _ ეგვიპტის პირველი (1831 _ 1833წწ.) კონფლიქტი.

XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში კვლავ გამწვავდა ე.წ. «აღმოსავლეთის საკითხი». განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია ოსმალეთის სულტანს მაჰმუდ II-სა და მის ვასალს _ ეგვიპტის ფაშას _ მუჰამედ ალის შორის[1]. ამ პერიოდში ეგვიპტე გადაიქცა ძლიერ, ცენტრალიზებულ ქვეყნად, რომელიც ფორმალურად რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. მუჰამედ ალის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყვეს ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარებას. იმპერიაში შემავალი პროვინციების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური დონე იწვევდა ეგვიპტის მმართველი წრეების მისწრაფებას გამოყოფოდნენ ოსმალეთს და მოეპოვებინათ ფაქტიური დამოუკიდებლობა [48, 475].

მუჰამედ ალიმ მიზნად დაისახა ოსმალეთის იმპერიის არაბულენოვანი პროვინციების გაერთიანება ერთიან არაბულ სახელმწიფოდ. 1833წ. მარტში ლორდი პალმერსტონი წერდა თავის ძმას, ნეაპოლში ბრიტანეთის წარმომადგენელს: « მისი ნამდვილი მიზანია არაბული სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც შევა ყველა ის ქვეყანა, რომლის ენაც არის არაბული» [67, 95].[2] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნის იდეას არ ჰქონდა მტკიცე დასაყრდენი მოსახლეობაში, რადგან ეროვნული თვითშეგნების გრძნობა არ იყო ჩამოყალიბებული. ლამარტინის აზრით: « მთელი ეგვიპტის ბედი ორ ხელს ეყრდნობა. ესენი არიან მუჰამედ ალი და მისი შვილი. მოიშორე თავიდან ეს ორი კაცი და აღარ იქნება არც ეგვიპტე და არც არაბთა იმპერია» [93, 422].[3]

---

[1] მუჰამედ ალი დაიბადა ღარიბ მუსლიმურ ოჯახში 1769 წელს მაკედონიის ქალაქ კავალლაში _ეგეოსის ზღვის სანაპიროზე. მისი წინაპრები სამხედროები იყვნენ ქურთული სოფლიდან _ ილიკიდან (აღმ. ანატოლია) [52, 4; 109,].

[2] რუსი ორიენტალისტი სენკოვსკი თვლიდა, რომ ფაშას ნამდვილი მიზანი სულტნის ტახტის მიტაცება იყო [12, 17-18]

[3] აღსანიშნავია, რომ თანზიმათის პერიოდიდან უფრო გაძნელდა არაბთა ეროვნული თვითშეგნების გრძნობის ჩამოყალიბება, რადგან იმპერიის ოფიციალურ იდეოლოგიურ დოქტრინად «ოსმანიზმმა»დაიწყო ჩამოყალიბება. ამ პერიოდიდან ოსმალეთის იმპერიის ყველა მცხოვრები ოფიციალურ საბუთებში მოიხსენიება «ოსმანად». «ოსმანიზმს» უნდა დაეჩქარებინა სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაციის პროცესი ერთიანი სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. XIXს.-ის 60-70 წწ. «ახალი ოსმანების» ლიდერებისა და იდეოლოგების გავლენით «ოსმანიზმი» საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახელმწიფო დოქტრინად [53, 4-9]

დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სირია-პალესტინას.[4] ამასთან დაკავშირებით ეგვიპტის ფაშა აღნიშნავდა: « სირია უკიდურესად აუცილებელია ეგვიპტის უსაფრთხოებისათვის» [120, 94]. სირიის შეერთებით ეგვიპტე უზრუნველყოფდა მომავალი სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოებასა და ეგვიპტის დამოუკიდებლობას ოსმალეთისგან. ფრანგი ექიმი კლოდი, ეგვიპტეში ცნობილი კლოტ-ბეიდ, თავის ნაშრომში «ეგვიპტის ისტორია» აღნიშნავდა: « ეგვიპტის სამხედრო მდგომარეობა არ არის ხელსაყრელი თავდაცვისათვის, განსაკუთრებით სუეცის რაიონში. ყველა თავდასხმა ეგვიპტეზე (გარდა ფატიმიანებისა და ნაპოლეონის ექსპედიციისა), ალექსანდრეს (მაკედონელი), პირველი მუსლიმების, აიუბიანების თუ თურქებისა, განხორციელდა სირიის ტერიტორიიდან. ეგვიპტის დამოუკიდებლობა უშუალოდ არის დაკავშირებული სირიასთან. ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვრები არის არა სუეცთან არამედ ტავრთან. ნილოსის ნაპირებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და არსებობის ერთ-ერთი საფუძველი არის სირიის შეერთება ეგვიპტესთან «[7, 59]. ამ ციტატიდან ნათლად ჩანს თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ეგვიპტის სახელმწიფოსთვის სირიას. ის იქცეოდა ბუფერულ სივრცედ ეგვიპტესა და ოსმალეთის იმპერიას შორის [88, 166].

პოლიტიკური და სტრატეგიული მოტივების გარდა, სირიის შეერთება ხელსაყრელი იყო ეკონომიკურადაც. სირია-პალესტინა ითვლებოდა იმპერიის უმდიდრეს პროვინციად, რომელიც აწარმოებდა ნატურალურ აბრეშუმს, შალს, მარცვლეულს, ხე-ტყეს, ზეითუნის ზეთს [60, 310; 24, 96]. XIX ს. 30-40-იან წლებში სირია-ლიბანში მოყავდათ დაახლოებით 3 ათასი კანტარი[5] ნატურალური აბრეშუმი, ლატაკიასა და ანსარიაში _ თამბაქო, საიდასა და ჩრდ. სირიაში _ ბამბა, ბიკაას ველი და ჰაურანი განთქმული იყო მარცვლეულით, ხოლო დამასკოს ოაზისი და ტრიპოლის რაიონი კი მებაღეობით [82, 8]. ამდენად, სრულიად გასაგებია

[4] ტერმინი სირია _ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა კილიკიიდან ეგვიპტემდე და ხმელთაშუაზღვიდან არაბეთის უდაბნომდე. მაშინდელი სირიის ფართობის განსაზღვრა რთულია. ვინაიდან სხვადასხვა მკვლევარი ასახელებს სხვადასხვა ციფრს (დაახ. 324 _ 395 კვ.კმ) [54,146; 29,130].

[5] კანტარი _ ეს საწონი ერთეული დამახასიათებელი იყო მუსლიმური მეტროლოგიისთვის. ჩვენში ის სამხ. საქართველოში, ახალციხის მაზრაში იყო გავრცელებული, სადაც იწონიდა 30 ბათმანს, ერთი ბათმანი კი 6 ოყას. ამდენად, კანტარის წონად დაახ. 220 კგ. ვღებულობთ [32, 72]

მუჰამედ ალის სურვილი გადაექცია ეს უმდიდრესი რაიონი ეგვიპტის მრეწველობის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ.

სირია მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მის სამხრეთ ნაწილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა აზიასა და ეგვიპტესთან ვაჭრობისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხ. სირიის პორტები. ჯერ კიდევ, 1822წ. სულტანმა მაჰმუდ II-მ ნება დართო მუჰამედ ალის, აქქას ფაშასთან ინციდენტის მოწესრიგებაში შეტანილი წვლილის გამო, შეუფერხებლად გადაეზიდა სირიის პორტებით ეგვიპტური საქონელი იმპერიის სხვა რაიონებში. ამ პრივილეგიის გამოყენებას ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა აქქის ფაშა _ აბდალლაჰი, რომელიც მუჰამედ ალის პირადი მტრის, სერ-ასკერ ხუსრევ ფაშას მხარდაჭერით სარგებლობდა [72, 184].

წინააღმდეგობანი მაჰმუდ II-ს და მუჰამედ ალის შორის თანდათანობით მწვავდებოდა. ჯერ კიდევ მორეაში ლაშქრობისათვის სულტანი შეპირდა ფაშას სირიასა და კუნძულ კრეტას, მაგრამ მოვლენები ოსმალეთის იმპერიისთვის წარუმატებლად განვითარდა.

1827წ. ოქტომბერში ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებულმა ესკადრამ ნავარინთან გაანადგურა ოსმალეთის ფლოტი. ექსპედიციის მხედართმთავარი _ იბრაჰიმ ფაშა იძულებული გახდა სულტნის თანხმობის გარეშე დაეტოვებინა საბერძნეთი [110, 64]. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში ეგვიპტემ მონაწილეობა არ მიიღო. 1829წ. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მუჰამედ ალიმ განაახლა მოთხოვნა, მაგრამ მიიღო მხოლოდ კუნძული კრეტა [47, 29; 113, 403].

ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო სულტნის სურვილი თავიდან მოეცილებინა ზომაზე მეტად გაძლიერებული ფაშა, რომლის ვარსკვლავიც, როგორც ხატოვნად აღნიშნა რუსმა კონსულმა ბეირუთში ბაზილიმ, «მრისხანე მეტეორად ანათებდა ნილოსზე» [2, 90]. მუჰამედ ალის ლიკვიდაციისთვის საჭირო იყო ძლიერი სამხედრო ძალები, რომელთა მიღებასაც მაჰმუდ II არმიის რეორგანიზაციით ვარაუდობდა, რასაც სჭირდებოდა დრო. ამიტომ სულტანი დროებით ეგუებოდა ფაშას. სულტნის ზრახვების შესახებ მუჰამედ ალის ინფორმაციას აწვდიდნენ მისი მსტოვრები. მან გადაწყვიტა პირველს დაეწყო ბრძოლა. ძალთა შეფარდება ექსპედიციის დაწყების წინ ეგვიპტის აშკარა უპირატესობით აღინიშნა. ოსმალეთის ჯარმა მხოლოდ გარეგნული ცვლილება განიცადა, მაშინ როცა ფრანგი

ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ეგვიპტის არმია გამოაწრთო არაბეთის ნახევარკუნძულზე, სუდანსა და მორეაში წარმოებულმა ექსპედიციებმა. ამასთან, პორტა დასუსტებული იყო რუსეთთან 1828-1829 წლების ომში განცდილი მარცხით. ოსმალეთის სამხედრო ძალები ებრძოდნენ აჯანყებულ ფეოდალებს ბალკანეთზე. საერთაშორისო ვითარებაც ხელსაყრელი იყო ფაშასთვის. დიდი ევროპული სახელმწიფოები დაკავებული იყვნენ საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის, იტალიის რევოლუციებით და პოლონეთის აჯანყებით გამოწვეული მოვლენებით [72, 186; 113, 404].

ომის დაწყების საბაბი გახდა სასაზღვრო ინციდენტი აქქას ფაშასთან, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ევნო მუჰამედ ალისთვის _ აფართოებდა კონტრაბანდას ეგვიპტის საზღვარზე, გახშირდა ფელაჰების გადასვლა აქქაში. 1831 წელს 6 ათასი ფელაჰი

ეგვიპტიდან გაიქცა აქქას საფაშოში, რათა თავი აერიდებინა გადასახადებისა და საბატონო ბეგარისათვის. აბდალლაჰ ფაშამ უარი თქვა მათ უკან ეგვიპტეში დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ სულტან-ხალიფას ქვეშევრდომთ შეეძლოთ იმპერიის ნებისმიერი რაიონი აერჩიათ საცხოვრებლად.[6] ამ შემთხვევაში მას მხარი სულტანმაც დაუჭირა. პასუხით ისარგებლა მუჰამედ ალიმ და 1831 წლის 2 ნოემბერს ეგვიპტის არმია ზღვაზე და ხმელეთზე დაიძრა სირიისკენ. იაფასთან ეს ორი ძალა გაერთიანდა. ექსპედიციის მხედართმთავრად დაინიშნა მუჰამედ ალის შვილი _ იბრაჰიმ ფაშა. არმია შეტევისათვის მზად, ჯერ კიდევ გაზაფხულზე იყო, მაგრამ კაიროში გაჩნდა შავი ჭირი. ფრანგმა ექიმმა _ კლოდმა მოახერხა არმიაში ეპიდემიის გავრცელების შეჩერება, რისთვისაც ის დაჯილდოვდა ბეის ტიტულით [88, 166]. მუჰამედ ალიმ განაცხადა, რომ ომს იწყებდა აქქის ფაშას და არა სულტნის წინააღმდეგ. ეგვიპტის ფაშამ გაავრცელა ხმა, რომ ერთგული სამსახურისათვის სულტანმა მას უბოძა აქქის, დამასკოსა და ჰალების საფაშოები და რომ მისი შეჭრა სირიაში შეთანხმებული იყო მაჰმუდ II-თან [2, 129]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ

[6] 1515-1516 წწ. ოსმალეთის სულთანმა, სელიმ I იავუზმა (1512 – 1520წწ.) დაიპყრო სირია _ ეგვიპტე. მარჯ-დაბიკთან (სირიაში, ჰალების მახლობლად) ბრძოლის დროს ტყვედ ჩაიგდო და სტამბოლში წაიყვანა ხალიფა მუთავაქილ III ბილლაჰი. სელიმ I ის ედი-ყულეს ციხეში ჩასვა. მოგვიანებით შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ხალიფამ ოფიციალურად უარყო თავისი უფლებები სახალიფოზე სელიმ I სასარგებლოდ. ერთ-ერთი თურქი ავტორი ქემალ-ბეი ირწმუნებოდა,რომ ეს ცერემონია აია-სოფიას მეჩეთში მიმდინარეობდა. სელიმ I და მის მემკვიდრეებს «ხალიფას» უწოდებდნენ როგორც ოსმალები, ისე არაბები [37,15-78].

აქის აღების შემდეგაც კი, იბრაჰიმ ფაშა თავს სულტნის ერთგულ ვასალად მიიჩნევდა. მისი ბრძანებით გაწკეპლეს იმამი, რომელიც დაინტერესდა თუ ვის სახელზე აღევლინათ ხუტბა პარასკევს.[7] იბრაჰიმ ფაშამ შეურაცხყოფად მიიღო მის ერთგულებაში სულტნისადმი ეჭვის შეტანა [2, 105]. ოსმალეთის სულტანი მაჰმუდ II მზად არ იყო ომისთვის. მან სცადა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. 1831 წ. 1 დეკემბერს მაჰმუდ II-მ მოსთხოვა ორივე ფაშას კონფლიქტის შეწყვეტა. ეგვიპტეში გაგზავნა მუსტაფა ნაზიფ ეფენდი მოსალაპარაკებლად, რომელიც მუჰამედ ალის, კარანტინის საბაბით, ერთი თვე იზოლირებული ჰყავდა. ამ ხნის მანძილზე კი გაზარდა ჯარების რაოდენობა სირია-პალესტინაში ორმოც ათასამდე. მუსტაფა ნაზიფ ეფენდის მისია წარუმატებლად დასრულდა, რადგან მუჰამედ ალი მოითხოვდა აქისა და დამასკოს საფაშოებს [72, 188].

სულტანმა მხოლოდ 1831წ. გაზაფხულზე გამოაცხადა მუჰამედ ალი მეამბოხედ. გადააყენა ის ფაშას თანამდებობიდან. ეგვიპტის, კრეტის, ჯიდდის გამგებლად და ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ადრიანოპოლის ვალი აღა ჰუსეინ ფაშა, რომელიც გახდა ანატოლიის არმიის სარდალიც. 1832წ. 27 მაისს, ექვსთვიანი ალყის შემდეგ, ეგვიპტის ჯარმა აიღო აქქა, რომლის კედლებთან თვით ნაპოლეონიც კი დამარცხდა. ეგვიპტის არმიას ქალაქის დაპყრობა გაუადვილა რამდენიმე ფაქტორმა. ნაპოლეონის ექსპედიციის დროს, აქქის პორტში შევიდა ინგლისის ფლოტი, რომელიც ქვემეხების საარტილერიო ცეცხლით ეხმარებოდა ქალაქის დამცველებს. სულტანსა და მის ვასალს შორის კონფლიქტის ამ სტადიაზე ინგლისი არ ჩარეულა. ამასთან, ქალაქის ციხე ფრანგების თავდასხმის შედეგად დაზიანდა [113, 405]. აქქის აღებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ლიბანის ამირამ _ ბაშირ II შიჰაბმა. 1822წ. ეგვიპტის ფაშასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბაშირ II ათი ათას კაციანი რაზმით დაეხმარა იბრაჰიმ ფაშას [116, 121]. აქქის ალყისა და იერიშის დროს დაიღუპა 6 ათასამდე ეგვიპტელი. აბდალლაჰ ფაშა ეგვიპტეში გადაასახლეს.

იმავე წლის 13 ივნისს იბრაჰიმ ფაშამ აიღო დამასკო. ეგვიპტის არმიის წარმატებას ხელი შეუწყო დიდმა აჯანყებამ, რომელიც გამოიწვია რამდენიმე მიზეზმა: ა) ევროპული იაფი საქონლის შეტანამ აღმოსავლეთის ბაზარზე, რაც იწვევდა

[7] ხუტბა _ საზეიმო ქადაგება, რომელიც მეჩეთში იკითხება პარასკებობით და მასში მოიხსენიება ხელისუფალი, რაც მისი ძალაუფლების აღიარებაცაა [1, 725].

ხელოსნების გაკოტრებას. ბ) მაჰმუდ II-ის სამხედრო რეფორმამ: იენიჩრების დიდი ნაწილი ხელოსნობას მისდევდა და გაერთიანებული იყო ამა თუ იმ ამქარში. რეპრესიები, რომელიც დაიწყო იენიჩართა წინააღმდეგ, გავრცელდა მთელ ამქარზე, გ) ახალი ჯარის შენახვისათვის საჭირო გადასახადებმა და დ) ადრიანოპოლის ზავით გათვალისწინებულმა კონტრიბუციამ. 1831 წ. პორტას ბრძანებით, დამასკოს ფაშამ დაიწყო ხელოსანთა ამქრებისა და დუქნების აღწერა გადასახადების გაზრდის მიზნით. ეს გახდა აჯანყების დაწყების მიზეზი. აჯანყებულებმა დაწვეს ფაშას სასახლე, ალყა შემოარტყეს დამასკოს ციტადელს, აიღეს ის, ხოლო ფაშა გაქცევის დროს მოკლეს [71, 345-346]. ასეთ ვითარებაში დაიკავა ეგვიპტის არმიამ ქალაქი. დამასკოში იბრაჰიმ ფაშა დაახლოებით სამოცდაათი დღე გაჩერდა. მოაწესრიგა ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრება, აღკვეთა მარადიორობის ფაქტები, დააპატიმრა და აქქის ციხეში გაგზავნა მარადიორების მეთაურები. დამასკოში ჩამოაყალიბა სათათბირო ორგანო _ მაჯლისი, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენ- ლების შემადგენლობით [111, 108-109]. პირველი ბრძოლა ოსმალეთისა და ეგვიპტის ჯარებს შორის მოხდა ჰიმსთან. ეს ბრძოლა ეგვიპტეში ცნობილია «რვა ფაშას მარცხის» სახელით. იბრაჰიმ ფაშამ ტყვედ ჩაიგდო რვა ოსმალო ფაშა, 3 ათასი ჯარისკაცი, ქვემეხები, აღალი. ბრძოლაში დაიღუპა ორი ათასამდე მეომარი ოსმალეთის მხრიდან, ხოლო ეგვიპტელებმა დაკარგეს 102 მოკლული და 162 დაჭრილი [100, 222]. ეგვიპტის საოკუპაციო არმიამ ჰიმსი 9 ივლისს დატოვა. უკვე 10 ივლისს დაიკავა ჰამა, 15 ივლისს მიუახლოვდა ჰალებს, რომლის მოსახლეობაც სიხარულით შეხვდა მას. 29 ივლისს ოსმალეთის მხედართმთავარმა აღა ჰუსეინ ფაშამ მარცხი განიცადა ბეილანის ხეობაში. თავისი ჯარის ნარჩენებით, მან დაიხია კონიისაკენ და ჩაუკეტავი დატოვა კილიკიის გადასასვლელი კოლეკ-ბოღაზში, რითაც გზა გაუხსნა იბრაჰიმ ფაშას მცირე აზიის ცენტრისაკენ. კოლეკ-ბოღაზის გადასასვლელის დაცვა შესაძლებელი იყო მცირე ძალებით. მთავარსარდალმა აქ დატოვა სახალხო ლაშქრის ნაწილი, თვითონ კი კონიისკენ გაემართა. ისკანდერუნში შესულმა ეგვიპტის ჯარმა აღმოაჩინა სურსათისა და იარაღის უზარმაზარი მარაგი. 1 აგვისტოს ეგვიპტის არმია შევიდა ანტიოქიაში [10, 171]. ამ პერიოდში, სულტნმა დაამარცხა მეამბოხე ფეოდალები ბალკანეთზე და გამოთავისუფლებული ჯარი რუმელიიდან მცირე აზიაში გადაისროლა. სულტანმა მაჰმუდ II-მ დაიქირავა ბოსნიელთა და ალბანელთა რაზმები, დაახლოებით 30 ათასი კაცი. ჯარის ამ ნაწილების თავმოყრა მოხდა

კონიასთან. აგვისტოში, ბოსნიის გამგებელი რაშიდ მეჰმედ ფაშა დაინიშნა დიდ ვაზირად და თურქეთის არმიის სარდლად. მის ხელქვეით იყო ორმოცდათხუთმეტი ათასი ჯარისკაცი, რეზერვში კი 20 ათასი. რაშიდ მეჰმედ ფაშას ჰყავდა 7 ქვეითი და 6 კავალერიის პოლკი, 92 ერთეული ქვემეხი. იბრაჰიმს კი 5 ქვეითი, 4 კავალერიის პოლკი და 6 ბატარეა ქვემეხების. ამ აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ოსმალეთის არმია კვლავ დამარცხდა. მარცხი არ იყო ამჯერად გამოწვეული მოუმზადებლობით. 9 დეკემბერს რაშიდ მეჰმედ ფაშას თითქმის მოგებული ჰქონდა ბრძოლა, მაგრამ ნისლმა დაფარა ბრძოლის ველი. ოსმალეთის არმიის მხედართმთავარი მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა და ტყვედ ჩავარდა. რადგან ოსმალეთის ჯარს გენშტაბი არ ჰყავდა, ბრძოლის მთელი გეგმა ჰქონდა რაშიდ მეჰმედ ფაშას. მასვე ემორჩილებოდა რუმელიის მილიცია, რომელმაც ბრძოლის ველი მიატოვა, მხედართმთავრის ტყვედ ჩავარდნისთანავე. ამგვარად, შემთხვევითობის გამო, ოსმალეთის არმიამ კვლავ მარცხი განიცადა [2, 113]. სერ-ასქერთან ერთად ეგვიპტის არმიამ ერთი ქვეითი პოლკი, 4 ბატალიონი და 20 ქვემეხი ჩაიგდო ხელში. იბრაჰიმ ფაშამ მოახსენა მუჰამედ ალის, რომ ყველა ბოსნიელი ეგვიპტელების მხარეს გადავიდა. იბრაჰიმ ფაშამ დაკარგა 1500 კაცი მოკლულებისა და დაჭრილების სახით [100, 224; 72, 190-192; 40, 98; 10, 217].

სამხედრო ექსპედიციის დაწყებისთანავე მუჰამედ ალიმ გააფრთხილა იბრაჰიმ ფაშა არ გაეღიზიანებინა ადგილობრივი მოსახლეობა და არ გამოეწვია მათი მტრობა. ჯერ კიდევ აქქის ალყის დროს ის წერდა: «… ...განა არის უფრო დიდი სიამოვნება, ჩემო შვილო, ვიდრე ჩვენი მტრების შეწყალებაა? მე წავიკითხე ისტორიულ წიგნებში, რომ პატიება არის გამარჯვებულთა მოვალეობა. ჩვენ მივიღებთ უფრო მეტ სიამოვნებას შეწყალებით, ვიდრე შურისძიებით. ამგვარი თვისება დამახასიათებელია მამაშენისთვის და გასაგებია, რომ ტოტი მსგავსია ხისა» [100, 222]. იბრაჰიმ ფაშამ გაითვალისწინა მამამისის რჩევა. როცა აქქაში დაფიქსირდა ეგვიპტელი ჯარისკაცების მიერ მარადიორობის ფაქტები, იბრაჰიმ ფაშამ აწარმოა გამოძიება. მან სასტიკად დასაჯა როგორც უშუალო დამნაშავეები, ისე ის ოფიცრები, რომლებმაც თავიანთ რაზმებს ქალაქის ძარცვის ნება მისცეს და მათ ზარალიც აანაზღაურებინა. იბრაჰიმ ფაშამ გაუუქმა შეზღუდვები ქრისტიანებსა და ებრაელებს, უფლებრივად გაუთანასწორა ისინი მუსლიმებს. ამიტომ რელიგიური უმცირესობები ეგვიპტის არმიას ხვდებოდნენ როგორც გამათავისუფლებელს. მის მხარეს გადავიდა

მრავალი ქალაქი, ადანას მხედრობა, ქურთთა ტომები, გადარჩენილი იენიჩრები, მაჰმუდ II რეფორმით უკმაყოფილო რეაქციონერები და კონსერვატორები. იბრაჰიმ ფაშა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანატოლიაში, რომლის ნაწილიც კაისერამდე დაუმორჩილა თავის მუთასალიმებს. მოსახლეობა სურსათით ამარაგებდა იბრაჰიმ ფაშას ჯარს. მრავალი ანატოლიელი ნებაყოფლობით მონაწილეობდა ოსმალეთის ჯარის ნარჩენების განადგურებაში. ფაშას მომხრეები ჰყავდა თვით სტამბოლშიც კი [48, 499]. მურავიოვი წერდა, რომ მოსალოდნელი იყო სტამბოლის მცხოვრებთა აჯანყება სულტნის წინააღმდეგ, თუ არ შეჩერდებოდა იბრაჰიმ ფაშას არმიის წინსვლა. მაჰმუდ II-ის ახლობელმა, სულტნის არმიის სარდალმა განაცხადა: « ცნობილია, რომ ხალხი არ ემხრობა სულტანს» [9, 35].

ოსმალეთის არმიის განადგურებამ კონიასთან და მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერამ შეაძლებინა მუჰამედ ალის საჯაროდ გამოეთქვა თავისი აზრი იმპერიის მომავალზე.[8] 1833 წ. მან განუცხადა რუსეთის გენერალურ კონსულს ალექსანდრიაში, რომ მაჰმუდ II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ სულტანი გახდებოდა ათი წლის აბდულ მეჯიდი. შემონახულია საინტერესო ცნობა, იბრაჰიმ ფაშასა და ტყვე დიდ ვაზირ რაშიდ მეჰმედ ფაშას შორის მოლაპარაკებების შესახებ. იბრაჰიმ ფაშამ მას შესთავაზა ტახტზე აბდულ მეჯიდის აყვანა, რომლის მეურვეც მუჰამედ ალი იქნებოდა. ამით მთელი ძალაუფლება მათ ხელში მოიყრიდა თავს. იბრაჰიმ ფაშას სულტნის ჩამოგდება პირადი უსაფრთხოების გამოც სურდა. ის წერდა მუჰამედ ალის, რომ ვიდრე სულტანი ცოცხალია, ის ყოველთვის მოგვაყენებს ზიანს, როცა კი საშუალება ექნება. ჩვენი ვალია მოვიცილოთ ის და ოტომანთა ტახტზე დავსვათ უფლისწული [100, 225-226].

ოსმალეთ _ ეგვიპტის კონფლიქტმა, ჯერ კიდევ, სირიის სტადიაზე მიიპყრო ევროპის სახელმწიფოთა __ რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის ყურადღება.

საფრანგეთი მჭიდრო კავშირში იყო მუჰამედ ალისთან, ეხმარებოდა მას, აძლევდა სესხს. ეგვიპტის არმიის მოდერნიზაცია ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით

---

[8] კონიასთან ბრძოლის წინ იბრაჰიმ ფაშამ მუჰამედ ალისთან განიხილა ჰალების მუფთისგან ფათვის მიღების შასაძლებლობა. ფათვა უნდა გაევრცელებინათ ანატოლიასა და სტამბოლშიც. ის იმედოვნებდა რომ შეძლებდნენ სახალხო აჯანყების ინსპირირებას და სულთანის ამ გზით ჩამოგდებას (ფათვა _ მუსლიმი კანონმდებლის აზრი ამა თუ იმ ღონისძიების ან მოქმედების შესახებ ყურანისა და შარიათის თვალსაზრისით) [100, 226; 2, 310].

განხორციელდა. საფრანგეთის კოლონია იყო ალჟირის დიდი ნაწილი. მუჰამედ ალის მიერ გავლენის სფეროების გაფართოება ნიშნავდა საფრანგეთის გავლენის გაზრდას ხმელთაშუა ზღვის აუზში [72, 195]. საფრანგეთის სახელმწიფო მდივანი _ სებასტიანი წერდა იმ პერიოდში: « ჩვენ შეგვიძლია მიულოცოთ ჩვენს თავს ეგვიპტეში ძლიერი სახელმწიფოს დაბადება და განვითარება, ... მისი განვითარება უსაფრთხოა ჩვენთვის, ხოლო პოლიტიკური და კომერციული კავშირები კი სასარგებლო» [100, 227].

საფრანგეთის გაძლიერება ხმელთაშუა ზღვის აუზში ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს, რომელიც აწარმოებდა აქტიურ ვაჭრობას ახლო აღმოსავლეთში და თვითონ ჰქონდა პრეტენზია ეგვიპტესა და სირიაზე. მისი გავლენა იზრდებოდა სტამბოლშიც. 1832 წ. ოსმალეთში სპეციალური მისიით ჩავიდა ინგლისის ელჩი სტრეტფორდ კინინგი, რომელმაც შესთავაზა პორტას ინგლისის შუამავლობა კონფლიქტის დარეგულირებაში და სესხი რუსეთისათვის კონტრიბუციის გადასახდელად. სულტანმა ინგლისში გაგზავნა ნამიკ ფაშა, რომელმაც 1832 წლის ნოემბრიდან 1833 წლის მარტამდე მოიარა ვენა, პარიზი, ლონდონი, ბერლინი და პეტერბურგი. ლონდონში იგი კარგად მიიღეს, მაგრამ სამხედრო დახმარება არ აღუთქვეს. ბრიტანეთის კაბინეტს გადასაჭრელი ჰქონდა რამდენიმე საერთაშორისო პრობლემა, რომლებსაც შეეძლოთ ბრიტანეთის უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენება და მთლიანად მოითხოვდა ადმინისტრაციის ყურადღებას. ეს პრობლემები იყო : 1. საბერძნეთის საზღვრების საკითხი. 2. ბელგიის აჯანყება ნიდერ- ლანდების წინააღმდეგ. 3. რუსეთის შეჭრა პოლონეთში, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 4. იტალიისა და პორტუგალიის მოვლენები. ამასთან, XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში ინგლისი, ჯერ კიდევ, იმედოვნებდა მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ეგვიპტის ფაშასთან. მისი ტერიტორიისა და შუამდინარეთის გამოყენებით ინდოეთისკენ უმოკლესი გზის გაკვლევას [47, 30]. 1831 წლის თებერვალში სტამბოლში ბრიტანეთის ელჩის _ პონსონბისადმი მიწერილ წერილში ლორდი პალმერსტონი შეშფოთებას გამოთქვამდა ეგვიპტის გაძლიერებისა და მის მიერ ტერიტორიის «მესოპოტამიიდან სპარსეთის ყურემდე» შესაძლო მიტაცების შესახებ. მაგრამ ინგლისს საგარეო პრობლემებთან ერთად საშინაო ვითარებაც აწუხებდა. 1829წ. ბრიტანეთმა ეკონომიკური კრიზისი გადაიტანა. ამდენად გასაგებია, რომ კონფლიქტის ამ ეტაპზე ინგლისს არ შეეძლო რეალური დახმარება გაეწია მაჰმუდ II-თვის [100, 227]. პრუსია არ ჩაერია აღმოსავლეთის

საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო ავსტრია წინააღმდეგი იყო მუჰამედ ალის აღზევებისა. ავსტრიას ეშინოდა მეფის რუსეთის გავლენის გაზრდის შავი ზღვის აუზსა და კონსტანტინეპოლში, მაგრამ უფრო ძლიერ რევოლუციის საშიშროება აშფოთებდა და რადგან სწორედ რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა რევოლუციური სიტუაციის პირობებში, მხარს უჭერდა მას [44, 340].

რუსეთის დამოკიდებულებას აღმოსავლეთის საკითხისადმი რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა: ა) იმპერატორ ნიკოლოზ I-ს სურდა აქტიური წვლილი შეეტანა აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში. მთელ რაიონს ნემანიდან ბოსფორამდე ის თვლიდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისთვის მნიშვნელოვნად, რომელშიც უცხო სახელმწიფოთა ჩარევა დაუშვებელი იყო [6,321-322]. ბ) ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდებოდა ძლიერი არაბული სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკაშიც წამყვან როლს ითამაშებდა საფრანგეთი. ეს გამოიწვევდა რუსეთის ძალებისა და ყურადღების ჩამოშორებას ევროპისაგან. გ) რუსეთი დაკარგავდა ადრიანოპოლის ზავით მიღწეულ პრივილეგიებს. 1832 წლის 12 ივნისს ნესელროდე წერდა რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში _ ბუტენევს: « ვიდრე თურქეთი აღიარებს ადრიანოპოლის ზავის პირობებს, რუსეთი და მისი იმპერატორი შეეცდებიან იმ მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც მისი პოლიტიკის საფუძველს შეადგენს თურქეთთან ურთიერთობაში»[75, 26; 39, 285; 9, 396]. რუსეთის იმპერატორს ეშინოდა რევოლუციური იდეებისა და მუჰამედ ალის გავლენის გავრცელებისა მის ქვეშევრდომ მუსლიმებზე. იგი თვლიდა, რომ ეგვიპტის ფაშას ამბოხი სულტნის წინააღმდეგ იყო « შედეგი აღმაშფოთებელი სულისკვეთებისა, რომელმაც ევროპა და განსაკუთრებით კი საფრანგეთი მოიცვა» [85, 50]. ნიკოლოზ I-ს კარგად ესმოდა, რომ ოსმალეთის იმპერიის სისუსტე იყო რუსეთის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების საუკეთესო გარანტი [6,329; 43, 16; 75, 26]. 1832წ. 30 ივლისს ბუტენევს უბრძანეს ეცნობებინა რუსეთის გენერალური კონსულისათვის ალექსანდრიაში ლავიზონისათვის, რომ მას რუსეთის ქვეშევრდომებთან ერთად დაეტოვებინა ეგვიპტე [10, 183]. 1832 წ. დეკემბერში სტამბოლსა და ალექსანდრიაში გაიგზავნა გენერალ-ლეიტენანტი მურავიოვი, რომლის მისია იყო, ნიკოლოზ I სახელით აეძულებინა მუჰამედ ალი შეეჩერებინა ეგვიპტის არმიის წინსვლა და შეერიგებინა იგი სულტანთან. მურავიოვის ამოცანა იყო ისიც, რომ მაჰმუდ II-ს ოფიციალური თხოვნით მიემართა რუსეთისათვის. მურავიოვის მისიის შესახებ აცნობეს როგორც

ინგლის–საფრანგეთის, ისე ავსტრია_პრუსიის მთავრობებს, მაგრამ მისთვის მიცემული ინსტრუქციების შესახებ იცოდა მხოლოდ ავსტრია–პრუსიამ [10, 207]. მურავიოვთან ერთად გაემგზავრა პოლკოვნიკი დიუგამელი. მას იბრაჰიმ ფაშასგან უნდა მოეთხოვა საომარი მოქმედებების შეჩერება, სულტანსა და ფაშას შორის მოლაპარაკებების შედეგებისათვის დაცდა [2, 114]. 1833წ. 5 იანვარს დიუგამელი ჩავიდა კონიაში და შეხვდა იბრაჰიმ ფაშას, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავის ავტობიოგრაფიაში დიუგამელი წერდა იბრაჰიმ ფაშას შესახებ: «ის იყო საშუალო სიმაღლის. მისი წვერი უკვე შევერცხლილიყო, თუმცა იმ დროისთვის ორმოც წელს იქნებოდა მიტანებული. სახე ნაყვავილარი ჰქონდა, ხოლო ფიგურა არაშთამბეჭდავი, მაგრამ მზერა ჰქონდა ცეცხლოვანი, საუბარი კი ცოცხალი. ის გაჟღენთილი იყო ევროპული იდეებით, იცნობდა უახლეს გამოგონებებს სამხედრო ხელოვნებაში და შესანიშნავად ერკვეოდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნიუანსებში» [5, 499-500]. დიუგამელის მოთხოვნაზე, შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები მუჰამედ ალისგან ახალი განკარგულების მიღებამდე, იბრაჰიმ ფაშამ უპასუხა რომ ის ცუდი პოლიტიკოსია და როგორც არმიის მთავარსარდალი ემორჩილება მისი მამის ბრძანებებს [11, 163].

1833 წ. პირველ იანვარს სულტანმა მიიღო შეტყობინება მეჰმედ ნამიკ ფაშასაგან იმის შესახებ, რომ ინგლისმა უარი განაცხადა ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეებში. მაჰმუდ II-მ სცადა, ინგლისის საელჩოს გავლენით, რუსეთის ჩაურევლად მოეგვარებინა კონფლიქტი. რუსეთის საელჩოსა და მურავიოვისგან საიდუმლოდ, ალექსანდრიაში გაემგზავრა ოსმალეთის ფლოტის ყოფილი ადმირალი, _ ხალილ რიფატ ფაშა და კანცელარიის უფროსი _ მუსტაფა რაშიდ ბეგი. სულტანი უთმობდა ფაშას ეგვიპტეს, კრეტას, ჯიდდას, სირიის შემდეგ სანჯაყებსა და ეიალეთებს: შამსსა და ჰალებს, მცირე აზიასა და შავი ზღვის სანაპიროზე კი იჩელისა და ალაიეს სანჯაყებს. მოგვიანებით ალექსანდრიაში მურავიოვიც გაემგზავრა, რომელიც ხალილ რიფატ ფაშაზე ადრე ჩავიდა ეგვიპტეში. მისი ზეგავლენით 1833 წ. თებერვალში მუჰამედ ალიმ უბრძანა იბრაჰიმ ფაშას შეეჩერებინა ჯარების წინსვლა. ამ პერიოდისათვის, ეგვიპტის ჯარს უკვე დაკავებული ჰქონდა ქუთაჰია [10, 219].

ხალილ რიფატ ფაშა ალექსანდრიაში ჩავიდა 21 იანვარს. მან შესთავაზა ფაშას აქქისა და დამასკოს საფაშოები. მოლაპარაკებები ორ თვეს გაგრძელდა და წარუმატებლად დამთავრდა, რადგან მუჰამედ ალი მოითხოვდა მთელ სირიას, ადანას ოლქსა და

ტერიტორიას ცენტრალურ ტავრამდე. სულტანმა უბრძანა მუსტაფა რაშიდ ფაშას სტამბოლში დაბრუნება, ხოლო ხალილ რიფატ ფაშას ალექსანდრიაში დარჩენა [47, 31].

იბრაჰიმ ფაშა ურჩევდა მამამისს დამოუკიდებლობა მოეთხოვა, რადგან «ეს ერთადერთი გზაა მათგან გათავისუფლებისა» _ თვლიდა ის. იბრაჰიმ ფაშა სთხოვდა მუჰამედ ალის მიეღო სუვერენიტეტის ორი ატრიბუტი: ებრძანებინა პარასკევს ხუტბაში მისი სახელის მოხსენიება და მოეჭრა მონეტები ფაშას სახელით [88, 167]. მუჰამედ ალი ყოყმანობდა. ის მიისწრაფოდა ძალით დაკავებული პროვინციების ოფიციალურად დაკანონებისაკენ. სირიის შეერთებით ეგვიპტე გახდებოდა უძლიერესი ქვეყანა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ის აკონტროლებდა ინდოეთისკენ წითელი ზღვით მიმავალ ერთ გზას, ახლა მას შესაძლებლობა მიეცემოდა გაეკონტროლებინა ლევანტის ვაჭრობა. ეგვიპტე იქცეოდა რეგიონალურ სახელმწიფოდ. პალმერსტონი ხედავდა საფრთხეს ვალის ამბიციებში, რადგან თვლიდა რომ ეს გამოიწვევდა ოსმალეთის იმპერიის დაშლას. ის თვლიდა, რომ თურქეთი არის უკეთესი მფლობელი ინდოეთისაკენ მიმავალი გზებისა, ვიდრე აქტიური არაბული სახელმწიფო.

იბრაჰიმ ფაშამ, არმიისათვის სურსათის მოპოვების მიზეზით შეიყვანა ჯარი სამხრეთ–დასავლეთ ანატოლიაში და მივიდა ბურსამდე. იგი წერდა მამამისს: მე ვჩქარობ დაძვრას, ვიდრე მივიღებ თქვენგან ბრძანებას შევჩერდე, იმიტომ რომ თქვენ არ ხართ ამ ტერიტორიაზე. ესაა ღატაკი რაიონი და მხოლოდ ბურსას შეუძლია ჩვენი გამოკვება» [100, 228]. საფრთხე შეექმნა იმპერიასა და სულტნის დინასტიას. ჯერ კიდევ, 1832წ. 21 დეკემბერს რუსეთის წარმომადგენელმა სტამბოლში ოფიციალურად შესთავაზა მაჰმუდ II-ს შეიარაღებული დახმარება. სულტანი ფრთხილობდა რუსეთის დახმარება მიეღო. ჯერ კიდევ 1576 წელს, დიდი ხნით ადრე აღმოსავლეთის საკითხის წამოჭრამდე, ვენეციის წარმომადგენელი ოსმალეთის იმპერიაში _ სორანცი წერდა სენატს: «რუსები შიშს შთაუნერგავენ სულტანს იმის გამო, რომ დიდი თავადი ეკუთვნის იმავე ბერძნულ სარწმუნოებას, რომელსაც ბულგარეთის, სერბეთის, ბოსნიის, მორეისა და საბერძნეთის ხალხები. ... მათ შესაძლოა აიღონ იარაღი, აღდგნენ ოსმალეთის უღლის წინააღმდეგ და დაემორჩილონ მოსკოვის დიდი თავადის ნებას»[17, 37]. 1833 წლის 3 თებერვალს რუსეთმა მიიღო სულტნის თხოვნა სამხედრო დახმარების შესახებ. 20 თებერვალს რუსეთის სევასტოპოლის ესკადრა,

რომელიც ოთხი სახაზო გემისგან, ხუთი ფრეგატისა და ორი კორვეტისგან შედგებოდა, ბოსფორში, სულტნის სასახლის წინ განლაგდა. 8 აპრილს მეორე ესკადრამ, ხოლო 23 აპრილს მესამე ესკადრამ 10-12 ათასიანი დესანტი გადმოსხა ბოსფორის აზიურ ნაწილში უნკიარ-ისკელესიასა და სკუტარში [47, 30 ; 23, 139-140; 14, 186]. სადესანტო ჯარებს გენერალ-ლეიტენანტი მურავიოვი, ხოლო ფლოტს კი ვიცე-ადმირალი ლაზარევი ხელმძღვანელობდა. მაისში სტამბოლში ჩავიდა რუსეთის საზღვაო და სახმელეთო ჯარების მხედართმთავარი, გენერალ-ადიუტანტი გრაფი ორლოვი [2, 115]. ამან გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება. ინგლისმა მოითხოვა, სულტანს დაუყოვნებლივ ეთქვა უარი რუსეთის დახმარებაზე. პალმერსტონი თვლიდა, რომ თუ რუსეთი შევიდოდა კონსტანტინოპოლში, რამდენიმე წლის შემდეგ ის შეიძლება შესულიყო ინდოეთში. დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად იგი თვლიდა ოსმალეთისა და სპარსეთის დაცვას რუსეთისაგან. ინდოეთის დაკარგვით, ინგლისი ჰოლანდიას ან ბელგიას დაემსგავსებოდა [22, 135]. აღშფოთებული ინგლისის ელჩის კითხვაზე _ თუ როგორ დათანხმდა მაჰმუდ II ნიკოლოზ I-ის სამხედრო დახმარებას, სულტნის სამდივნოს ერთმა წევრმა უპასუხა მაჰმუდ II-ის სიტყვებით : «როცა ადამიანი წყალში იძირება და თავის წინ ხედავს გველს, იგი მასაც კი მოებღაუჭება, რათა არ ჩაიძიროს» [23,139]. საფრანგეთმა ვალდებულება აიღო მიეღწია სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისათვის ოსმალეთ-ეგვიპტეს შორის. სტამბოლში საფრანგეთის ელჩმა, ადმირალმა რუსენმა წერილი მისწერა მუჰამედ ალის და კატეგორიულად მოსთხოვა მას მიეღო სულტნის პირობები. ეგვიპტის ფაშამ შესანიშნავად იცოდა, რომ საფრანგეთი ომს არ დაიწყებდა, ამაში მას ალექსანდრიაში საფრანგეთის კონსული _ მიმო არწმუნებდა და უარყო რუსენის მოთხოვნა [44, 341-342]. საფრანგეთმა, ინგლისმა, ავსტრიამ მოსთხოვეს მაჰმუდ II-ს მიეღო მისი ვასალის მოთხოვნები. არც რუსეთი იყო მუჰამედ ალისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების წინააღმდეგი, რადგან თვლიდა, რომ რაც უფრო დასუსტდებოდა ოსმალეთის იმპერია, მით მეტად დასჭირდებოდა მეფის რუსეთის დახმარება. სულტანი უთმობდა ფაშას აქქისა და ტრიპოლის საფაშოებსა და დამასკოს საფაშოს ორ სანჯაყს : იერუსალიმის და ნაბულუსის. მუჰამედ ალისთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრნენ საფრანგეთის წარმომადგენელი ვარრენი და ამეჯი (დივანში საზღვარგარეთის საქმეთა კანცელარიის უფროსი) მუსტაფა რაშიდ ფაშა. მოლაპარაკება

წარუმატებლად დამთავრდა, რადგან მუჰამედ ალიმ მოითხოვა მთელი სირია, მცირე აზიაში ადანას ოლქი, მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზის ნაწილი. იბრაჰიმ ფაშა წერდა მამამისს : « ანატოლიის, ალაიასა და კილიკიის სანჯაყები გვჭირდება ხე-ტყის გამო. ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ფლოტი, სჭირდება სამშენებლო მასალა. ხომ გახსოვთ, როცა ინგლისმა აკრძალა ხე-ტყის ექსპორტი, ჩვენ მივმართეთ ავსტრიას, რომელმაც დახმარებაზე უარი გვითხრა. კვიპროსი გვესაჭიროება როგორც ჩვენი ფლოტის ბაზა და ბარიერი პორტასთან, რათა ის არ მიუახლოვდეს ჩვენს სამფლობელოებს. რაც შეეხება ბაღდადს, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ის და თავი დავანებოთ, რადგან ძალიან შორს არის და ღარიბია საშუალებებით» [100, 228]. იბრაჰიმ ფაშამ დაიკავა იზმირი, მაგნეზია (მანისუ), ბალკეზერი (ბალიკესირი). რუსეთის არმიის ყოფნა ბოსფორში იყო აშკარა შემაფერხებელი ფაქტორი იბრაჰიმ ფაშას იერიშისა დედაქალაქისაკენ. მას იმედი არ ჰქონდა რომ დაამარცხებდა ოსმალებისა და რუსების გაერთიანებულ ჯარს. «დრო იერიშისა იყო მართებული კონიის შემდეგ. ისტანბულის მიღწევა იყო უადვილესი წყლის დალევასავით» - წერდა იბრაჰიმ ფაშა [34,102 ; 100, 229].

იმავე წლის აპრილში, მუსტაფა რაშიდ ბეგმა და შეიკიბ ეფენდიმ ვარრენთან ერთად დაიწყეს მოლაპარაკება უშუალოდ იბრაჰიმ ფაშასთან. ისინი შეპირდნენ ადანის ოლქს და მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე _ იჩელისა და ალაიეს სანჯაყებს.

მაჰმუდ II იძულებული გახდა ზავი დაედო 1833 წლის 5 მაისს ქუთაჰიაში. მუჰამედ ალის გადაეცა ტრიპოლის, საიდას (აქქის), ჰალების საფაშოები, იერუსალიმისა და ნაბულუსის სანჯაყები, ადანას ოლქი. მან მიიღო იჩელისა და ალაიეს სანჯაყებიდან ხე-ტყის გატანის უფლება. ფაშას უნდა გადაეხადა სულტნის ხაზინაში ყოველწლიურად 10 ათასი ქისა ეგვიპტისთვის, 20 ათასი კი დანარჩენი პროვინციებისთვის. სულ დაახლოებით 1 მლნ. პრუსიული ტალერი. მუჰამედ ალიმ აღიარა სულტნის სიუზერენიტეტი. 24 მაისს უკანასკნელმა ეგვიპტურმა ბატალიონმა დატოვა ქუთაჰია [14, 202 ; 122,]. ინგლისის კონსული კემპბელი აღწერდა, თუ როგორ მიიღო სულტნის ფირმანი მუჰამედ ალიმ : « ფაშა წამოდგა სიხარულის ცრემლებით თვალებში, ... მას ისტერიული სიცილი აუტყდა.» ექვს კვირაში იბრაჰიმ ფაშამ გაიყვანა ჯარები სულტნის ტერიტორიებიდან. რუსეთს არანაირი მიზეზი აღარ ჰქონდა ბოსფორში დარჩენილიყო. 10 ივლისს რუსეთმა დატოვა მის მიერ

დაკავებული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია, მაგრამ 8 ივლისს მეფის მრჩეველმა გრაფმა ორლოვმა დადო პორტასთან საიდუმლო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება[9], რომლის მიხედვითაც ორივე მხარემ განაცხადა 8 წლით თავდაცვითი კავშირის დადება თავიანთი საგარეო თუ საშინაო მტრების წინააღმდეგ. საჭიროების შემთხვევაში, « თუ ბრწყინვალე პორტა მოითხოვდა რუსეთისაგან სამხედრო და საზღვაო დახმარებას,» რუსეთის მთავრობა გადასცემდა სულტნის განკარგულებაში თავის შეიარაღებულ ძალებს [69, 62 ; 98,]. თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორი ადვილი იყო ოსმალეთის იმპერიაში მღელვარების ინსპირირება, გასაგებია რომ სურვილის შემთხვევაში რუსეთის შესაძლო შეჭრა კონსტანტინეპოლში რეალური იყო. საიდუმლო მუხლით, სულტანი ვალდებულებას იღებდა, ჩაეკეტა დარდანელი ომის დროს სხვა სახელმწიფოთა გემებისათვის. რუსეთის ფლოტისთვის კი ბოსფორი ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა ღია [9, 431 ; 44, 344 ; 23, 141]. უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება რუსეთის დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება იყო. ის გახდა საიმედო გარანტი რუსეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის უსაფრთხოებისა და გააძლიერა რუსეთის პოზიცია ოსმალეთის იმპერიაში. « ფაქტიურად ჩვენი გავლენა აქ უზარმაზარია. სულტანი და მისი დივანი ხვდებიან, რომ ხელმწიფის ჩარევამ იხსნა სულტანი და იმპერია»-წერდა გრაფი ნესელროდე რუსეთის ჯარების სარდალს დუნაის პროვინციებში პ.დ. კისელევს. ხელშეკრულების გაფორმებაში უდიდესი როლი ითამაშა გრაფმა ორლოვმა. ბარონი ბრონნოვი მისი ღვაწლის შესახებ აღნიშნავს : « არასდროს არცერთი მოლაპარაკება კონსტანტინოპოლში არ ჩატარებულა უფრო დიდი საიდუმლოს დაცვით და არ დამთავრებულა უფრო დიდი სისწრაფით. გრაფ ორლოვის ხელოვნება განსაკუთრებით იმაში მდგომარეობდა, რომ მიიმხრო სულტნის მრჩევლები და მიუხედავად მათი პირადი შეხედულებებისა ისინი იძულებული გახდნენ ერთობლივად აეღოთ პასუხისმგებლობა მათ მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე. [16, 376-380]. 1833 წლის ხელშეკრულებამ გაამყარა ოსმალეთის საერთაშორისო პოზიცია, დაიცვა ის მუჰამედ ალის შემდგომი თავდასხმისგან და საშუალება მისცა სულტანს მთლიანად ჩაფლულიყო საშინაო გარდაქმნებში [42, 101]. ამ

[9] უნკიარი-ისკელესის ხელშეკრულების გაფორმების დროს რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ ორლოვი და ბუტენევი, ხოლო ოსმალეთის კი აკიფ ეფფენდი, აჰმედ ფევზი ფაშა და ხოზრევ ფაშა [14, 198].

ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი ევროპის სახელმწიფოთა შორის. ინგლისმა და საფრანგეთმა მოითხოვეს ახსნა – განმარტება როგორც სულტანისგან, ისე მეფის რუსეთისაგან, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. 1833წ. 5 მაისის ფირმანი იყო ფაშას უდიდესი გამარჯვება. მან შეიერთა უზარმაზარი ტერიტორია ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და მცირე აზიის სამხრეთში დაახლოებით 1156 ათასი მოსახლით.

თავი მეორე

მუჰამედ ალის რეჟიმი სირია-პალესტინაში და იბრაჰიმ ფაშას რეფორმები.

§1 ადმინისტრაციული სისტემა და მმართველობის სისტემა

ოკუპირებული ქვეყნის სრულუფლებიან მმართველად მუჰამედ ალიმ დანიშნა თავისი ვაჟი, ექსპედიციის მხედართმთავარი _ იბრაჰიმ ფაშა,[10] რომელმაც მიზნად დაისახა სირია-პალესტინის
გადაქცევა მომავალი იმპერიის ცენტრად. XIXს. 30-იან წლებში ეს რეგიონი რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის ჩამორჩენილ პროვინციად. იბრაჰიმ ფაშამ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო რეფორმების გატარება, რაც ითვალისწინებდა ქვეყნის ცენტრალიზაციას და ფეოდალური სეპარატიზმის აღკვეთას. ყოველივე ეს რეგიონის კაპიტალისტური განვითარებისთვის საჭირო ნიადაგს ამზადებდა.

იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებული ერთ-ერთი პირველი რეფორმა დაკავშირებული იყო ქვეყნის ადმინისტრაციულ ცვლილებებთან. როგორც ჭკვიან პოლიტიკურ მოღვაწეს, მას კარგად ესმოდა ქვეყნის სამხედრო მართვიდან სამოქალაქოზე გადასვლის აუცილებლობა. ჯერ კიდევ, 1832წ. 23 ივნისს, დამასკოში შესვლიდან სულ რაღაც 10

[10]. იბრაჰიმ ფაშა, XIX ს. თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე დაიბადა მაკედონიის ქალაქ კავალლაში 1789 წელს. 1807-1812წწ. იყო დავთარდარი (ფინანსური უწყების ხელმძღვანელი), 1812-1816 წლებში ჩრდილო ეგვიპტის გუბერნატორი. 1816წ. პორტამ უბოძა ფაშას ტიტული. იმავე წლიდან 1841 წლამდე იყო ეგვიპტის არმიის მთავარსარდალი. მონაწილეობდა ექსპედიციებში არაბეთის ნახევარკუნძულზე (1816-1818წწ.), სუდანსა (1820-1822წწ.) და მორეაში (1824-1827წწ.). ხელმძღვანელობდა ეგვიპტის არმიას ოსმალეთ-ეგვიპტის I (1831-1833წწ.) და II (1839-1841წწ.) კონფლიქტის დროს. 1833წელს დაინიშნა სირიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორად [101,999-1000].

დღის შემდეგ, იბრაჰიმ ფაშამ მუჰამედ ალისგან ითხოვა სირიის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორის დანიშვნა. 22 ივლისს მან გაიმეორა ეს თხოვნა იმ მოტივით, რომ მისი ჯანმრთელობა შეირყა

ომის მსვლელობის დროს. მუჰამედ ალიმ მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გადაწყვიტა მუჰამედ შერიფ ფაშას დანიშვნა ჰუქუმდარად. 1832წ. 21 ნოემბერს მისი ჩასვლით დამასკოში დაიწყო ადმინისტრაციული რეფორმა. მუჰამედ ალიმ მას ჩააბარა ბარ აშ-შამის ყველა პროვინციის მმართველობა, მთიანი ლიბანის გარდა. მუჰამედ შერიფ ფაშას არაბისტანის ლიდერი უწოდეს [112, 295; 114, 131; 117, 71]. ჰუქუმდარის ჩამოსვლით, პირველად სირიის ისტორიაში, მოხდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ოფიციალურად გამიჯვნა.

1832 წლამდე, ძირეულ ცვლილებებს სირიის ადმინისტრაციულ მოწყობაში ადგილი არ ჰქონია. ამ პერიოდში მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები და მუჰამედ ალი ცდილობდა არ გაემწვავებინა ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობასთან. ბარონი ბუალეკომტი წერდა, რომ იბრაჰიმ ფაშა ცდილობდა ქვეყანა ემართა იმ ქვეშევრდომების მეშვეობით, რომლებიც დაეხმარებოდნენ სირიის დამორჩილებაში. თავიანთი თანამდებობები შეინარჩუნეს ლოიალურად განწყობილმა ოსმალო გამგებლებმა: მუსტაფა ბერბერმა _ ტრიპოლში, შეიხმა აბდ ალ-ჰადიმ _ იერუსალიმსა და ნაბულუსში, შეიხმა აბდალლაჰ ჯერარმა _ იაფაში, ლიბანის ამირა _ბაშირ II შიჰაბმა. მათი და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა სირიაში წესრიგის შენარჩუნება რამაც, თავის მხრივ, შეუმსუბუქა ეგვიპტის ჯარს სულტნის წინააღმდეგ საომარი მოქმედება [107, 21-22].

სირიაში ოსმალურ ადმინისტრაციულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა XVI ს.-ში. 1516-17წწ. ოსმალეთის სულტანმა სელიმ I დაამარცხა მამლუქები ჯერ სირიაში, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში. მარჯ დაბიკის ბრძოლის შემდეგ, დაახლოებით ნახევარ საუკუნეში მთელი არაბული მიწები, მაროკოს გარდა, დაემორჩილა ოსმალებს. ასე დაიწყო არაბულ აღმოსავლეთში ოსმალთა ბატონობა [57, 28-42]. სულტან სულაიმან კანუნის დროს (1520-1566წწ.) სირიაში შეიქმნა სამი ეიალეთი:[11]

---

[11]. ეიალეთი, ვილაიათი, ფაშალიქი _ ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. სათავეში ედგა ფაშა. 1864 წლიდან ოფიციალური ტერმინი გახდა ვილაიათი [80, 349].

1. ჰალების _ ჩრდ. სირიაში (ედესისა და ანტიოქიის ოლქები და ისკანდერუნი).
2. დამასკოს _ სამხრეთ-აღმოსავლეთი სირია ევფრატამდე და სუეცის ყელამდე.
3. ტრიპოლის (ტარაბლუსი) _ სანაპირო ზოლი ლატაკიას გასწვრივ ლიბანის საამირომდე.
4. მოგვიანებით, 1660წ. თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე შეიქმნა მეოთხე საფაშო _ საიდა (სიდონი) [29, 127-144].

თითოეულ ეიალეთს მართავდა სულტნის მიერ დანიშნული გამგებელი, რომელსაც «ჰაქიმ», «ქაფილ» ტერმინებით აღნიშნავდნენ. მაგრამ უფრო გავრცელებული იყო ტერმინი ვალი. ეს მაღალი მოხელე ბეგლარბეგის ტიტულს ატარებდა. ზოგიერთი ეიალეთის (მაგალითად დამასკოს) ვალიდ ინიშნებოდა მაღალი რანგის _ სამთუღიანი ფაშა, რომელსაც სულტანი ყოვალწლიურად ამტკიცებდა. ვალი თავის თანამდებობას ხანგრძლივად, ზოგჯერ 10-12 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა [31, 144]. ეიალეთი იყოფოდა: სანჯაყად (ლივა) _ სანჯაყ ბეის ხელმძღვანელობით, კაზად (კადა) და ნაჰიად. კადას ოსმალების დროს მართავდა სამხედრო პირი, თუმცა პალესტინაში კაზასა და ნაჰიას ადგილობრივი შეიხები განაგებდნენ, რომლებიც სულტნის სამხედრო სამსახურში არ იმყოფებოდნენ. ვალი პასუხს აგებდა მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ წესრიგსა და საგარეო უსაფრთხოებაზე. ის ხელმძღვანელობდა სამხედრო რაზმებს, რომლებიც პოლიციის ფუნქციას ასრულებდნენ. ვალი უზრუნველყოფდა გადასახადების დროულ აკრეფას, უხდიდა ხელფასს ადმინისტრაციულ აპარატს, ხელმძღვანელობდა სამხედრო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას. ვალის კომპეტენციაში შედიოდა ქალაქის მომარაგება სურსათითა და სათბობით, აგრეთვე ნედლეულის შემოტანა და მისი განაწილება ხელოსანთა ამქრებს, სახელმწიფო სახელოსნოებსა და ვაჭრებს შორის. მისი ერთ-ერთი ფუნქცია იყო სამართლის წარმოებაც, მაგრამ განაჩენს ყადი ამოწმებდა. ის ზრუნავდა განაჩენის აღსრულებაზეც [81, 57-58]. ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის უფლება – მოვალეობების სფერო ძალიან ფართო იყო. ამ პერიოდის ოსმალური მმართველობის სისტემისთვის დამახასიათებელი იყო სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლების ერთი პირის ხელში თავმოყრა. სირიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ამ სახით, შენარჩუნებულ იქნა ეგვიპტის მიერ ამ რაიონის ოკუპაციამდე. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნიდან სულტნის

ავტორიტეტი დაეცა, ადგილობრივ მმართველებს მეტი უფლებები მიენიჭათ. ამ პროცესის კულმინაცია იყო მუჰამედ ალის მმართველობა ეგვიპტეში [105, 53-73].

1832წ. სირიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, გაუქმდა საფაშოები და ქვეყანა დაიყო ექვს მუდირიად, რომელთა სათავეშიც მუდირები იდგნენ:

1. დამასკო _ მუჰამედ შერიფ ფაშა – სირიის ჰუქუმდარი.
2. ჰალები _ ისმაილ ბეი.
3. ტრიპოლი (ტარაბლუსი) _ მუსტაფა ბერბერი.
4. ადანა და ტარსუსი _ აჰმედ მენქლი ფაშა.
5. სიდონი, პალესტინა _ იერუსალიმითა და ნაბულუსით – ჰუსეინ აბდ ალ-ჰადი.
6. ლიბანი _ სანაპირო ზოლი ტრიპოლსა და ტარსუს შორის, აღმოსავლეთ ალ ბიკაა და მთიანი რაიონი _ ამირა ბაშირ II შიჰაბი [94, 136; 55, 146; 117, 73].

ექვსივე მუდირია გაერთიანდა ერთ პროვინციაში _ სირია (ბარ შამი, ბილად ალ-არაბ ან არაბისტანი) და მას მართავდა ქვეყნის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი, დამასკოს მუდირი _ მუჰამედ შერიფ ფაშა [50, 153].

სირიის ადმინისტრაციული მოწყობა განხორციელდა ეგვიპტის მსგავსად. მუჰამედ ალიმ ეგვიპტე შვიდ მუდირიად დაყო. მუდირია, თავის მხრივ, იყოფოდა მარქაზად და ნაჰიად. ნაჰია შედგებოდა ერთი დიდი და რამოდენიმე მცირე სოფლისაგან. შესაბამისად, ამ ადმინისტრაციული ერთეულების სათავეში იდგნენ: მუდირი, მამური, ნაზირი და შეიხი [67, 52-53].[12]

მუჰამედ ალიმ ეგვიპტეში შექმნა სამინისტროების სისტემა ევროპულ ყაიდაზე: საშინაო საქმეთა, საგარეო საქმეთა, სახალხო განათლების, ჯან. დაცვის, ფინანსთა და სამხედრო სამინისტროები [110, 69]. სირიაში სამინისტროები არ შექმნილა, რადგან არ იყო განსაზღვრული ამ პროვინციის სტატუსი ეგვიპტის შემადგენლობაში. ოკუპირებული რეგიონის მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება თავმოყრილი იყო სერ-ასქერის _ იბრაჰიმ ფაშას ხელში, რომელსაც ემორჩილებოდნენ სირიის უმაღლესი ხელისუფლები: ჰუქუმდარი _ მუჰამედ შერიფ ფაშა, შტაბის

[12] არაბი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მარქაზი იყოფოდა აყსამად და მის სათავეში იდგა ნაზირი. აყსამი (მრ. რ. _ რაიონი, კვარტალი) შედგებოდა ნაჰიებისაგან, რომლებსაც შეიხ ალ-ბალადი მართავდა[112, 618-619].

უფროსი _ სულაიმან ფაშა და მთავარი ფინანსური მოხელე _ ჰანნა ბაჰრი ბეი [108, 75; 50, 153].

იბრაჰიმ ფაშას ემორჩილებოდა ეგვიპტის საოკუპაციო არმია და სირიის ქალაქების გარნიზონები. მისი შტაბი ანტიოქიაში იყო. პერიოდულად ის გადადიოდა ადანაში, რათა თვალყური ედევნებინა ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებისთვის. იბრაჰიმ ფაშას, როგორც სერ-ასქერის, უშუალო მოვალეობა იყო: სამხედრო მოქმედებების წარმოება სულტნის არმიის წინააღმდეგ; აჯანყებების ჩახშობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სირიაში 1834 წლიდან საოკუპაციო რეჟიმის დასასრულამდე; მოსახლეობის განიარაღება და სარეკრუტო გაწვევის ორგანიზება, აგრეთვე, სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა და სირიის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. სამხედრო საკითხებს ის მხოლოდ მუჰამედ ალის უთანხმებდა. იბრაჰიმ ფაშა აკონტროლებდა სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობასაც, რომლითაც ის უკმაყოფილო იყო. მისი დამოკიდებულება სამოქალაქო ჩინოვნიკებისადმი ნათლად ჩანს მის წერილში, ალექსანდრიაში კანცელარიის უფროსის _ ჰუსეინ ფაშასადმი, რომელშიც მიუთითებს «ბარ-აშ-შამში» ადმინისტრაციული ნაკლოვანებების შესახებ (მაჯლისში გადასაჭრელი საკითხების დაგროვება, ჩინოვნიკთა უპასუხისმგებლობა თავიანთი მოვალეობისადმი და სხვა). სამხედრო საქმისაგან თავისუფალ დროს ის უშუალოდ წყვეტდა მრავალ ადმინისტრაციულ საკითხს, იქნებოდა ეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, სოფლის მეურნეობის აღდგენა, ახალი საბადოებისა და კარიერების გახსნა, ხე-ტყის გატანა ეგვიპტეში, ბედუინთა დასახლება თუ სხვა [111, 109]. მისი ჩარევა სირიის სამოქალაქო ადმინისტრაციის ფუნქციებში ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ფრანგი ოფიცერი პერიე წერდა: «....იბრაჰიმ ფაშა, როცა თავისუფალი იყო სამხედრო საზრუნავისაგან, იკავებდა ნათელ და მტკიცე პოზიციას ადმინისტრაციულ საქმიანობაში იმ შემთხვევებშიც კი, როცა ამას მოსდევდა მისი აშკარა კონფლიქტი ადმინისტრაციულ პირებთან ურთიერთობაში» [94, 320]. იბრაჰიმ ფაშა იყო უმაღლესი მოსამართლე სირიაში. მხოლოდ მას შეეძლო სასიკვდილო განაჩენის დამტკიცება.

იბრაჰიმ ფაშას ჩარევა სირიის სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჰუქუმდარის უფლება-მოვალეობებს, მაგრამ ასეთი იყო მუჰამედ ალის ნება-სურვილი. 1837წ. 29 აპრილს ეგვიპტის ფაშამ წერილობით

მიმართა მუჰამედ შერიფ ფაშას, რომელშიც უბრძანებდა სამოქალაქო გუბერნატორს, რომ შეეთანხმებინა მმართველობის საშინაო საკითხები იბრაჰიმ ფაშასთან. მიუხედავად სერ-ასქერზე დამოკიდებული მდგომარეობისა, მუჰამედ შერიფ ფაშას დიდი ძალაუფლება გააჩნდა. ფრანგი ოფიცერი პერიე შემდეგნაირად აღწერდა ჰუქუმდარის ძალაუფლებას: «სირიის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორის რეზიდენცია იყო დამასკოში. მას ჰქონდა ფართო უფლებები და მისი მმართველობა ეგვიპტის საზღვრიდან ალეპოსა და კილიკიის საფაშოებამდე ვრცელდებოდა. ... შერიფ ფაშას ძალზე შურდა იბრაჰიმ ფაშას ძალაუფლებისა. მუჰამედ ალისთან ნათესაური კავშირი მას დაუსჯელობის იმედს აძლევდა» [94, 322]. ბრიტანეთის კონსული სირიაში _ ფარენი, რომლის რეზიდენციაც იყო დამასკოში ჰუქუმდარის ფართო ძალაუფლების შესახებ წერდა, რომ სირიის ადგილობრივი ხელისუფლები ემორჩილებოდნენ მუჰამედ შერიფ ფაშას, როგორც სირიის სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორს. მუჰამედ შერიფ ფაშა შესაფერისი კანდიდატი იყო ამ თანამდებობისთვის. ის იყო მუჰამედ ალის სიძე. მას ჰქონდა დიდი გამოცდილება, როგორც ზემო ეგვიპტის ყოფილ გუბერნატორს და გააჩნდა განსაკუთრებული უნარი სამხედრო გაწვევის ჩატარებისა. მუჰამედ შერიფ ფაშამ სირიის დედაქალაქად აქცია დამასკო. 1832წ. 2 დეკემბერს, ბარ აშ-შამში ჩამოსვლიდან 11 დღეში, მან გაუგზავნა წერილი ყადის, ჰალების გუბერნატორს და შეატყობინა მათ, რომ ყველა განცხადება სახელმწიფო დეპარტამენტებში უნდა გადასცემოდა მას, როგორც მუჰამედ ალის მიერ დანიშნულ ჰუქუმდარს. მუჰამედ შერიფ ფაშა ნიშნავდა ადგილობრივ ხელისუფლებს _ მუდირს, მუთასალიმსა და მუბაშირს.

მუჰამედ ალისა და იბრაჰიმ ფაშას ნდობით სარგებლობდა შტაბის უფროსი _ სულაიმან ფაშა ალ-ფარანსავი (ფრანგი ოფიცერი, პოლკოვნიკი სევი, რომელმაც ისლამი მიიღო). მან დიდი წვლილი შეიტანა ეგვიპტის არმიის ფრანგულ ყაიდაზე გარდაქმნაში. ის სერ-ასქერის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა. სულაიმან ფაშას მოვალეობა არ იყო მკვეთრად განსაზღვრული, თუმცა როგორც ჩანს, იგი სამოქალაქო სფეროზეც ვრცელდებოდა. შტაბის უფროსის კომპეტენციაში შედიოდა უცხოელ კონსულებთან და საერთოდ, ევროპელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის შუამავლობა [94, 321]. ამ სფეროში სულაიმან ფაშა დაუპირისპირდა მუჰამედ შერიფ ფაშას ავტორიტეტს, მაგრამ ამ უკანასკნელის შემრიგებლური პოზიციიდან შეიძლება

დავასკვნათ, რომ შტაბის უფროსს ძალზე ძლიერი მდგომარეობა ჰქონდა მუჰამედ ალისა და იბრაჰიმ ფაშას წყალობით.

სირიაში ეგვიპტელ ხელისუფალთა ოთხეულის წევრი იყო მთავარი საფინანსო მოხელე ჰანნა ბაჰრი ბეი _ ადგილობრივი წარმოშობის სომეხი კათოლიკე ჰომსიდან. ბაჰრი ბეი, იმ დროისათვის ერთ-ერთი პირველი ქრისტიანთაგანი იყო ოსმალეთის იმპერიაში, რომელმაც მიაღწია ასეთ მაღალ თანამდებობას, ატარებდა სამხედრო ჩინს _ მირ ლივა (სანჯაყ-ბეი). ის ხელმძღვანელობდა დამასკოს მაღალ დივან მაშურას [93, 423]. ქრისტიანული აღმსარებლობის მიუხედავად, მან მოიპოვა უდიდესი პიროვნული პატივისცემა. როდესაც ის დამასკოს მაჯლისში მიდიოდა, ყველანი ფეხზე ადგომით ხვდებოდნენ. ჰანნა ბაჰრის ხელში მოხდა სირიაში სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის საქმეთა გაერთიანება. დავთარდარს[13] ემორჩილებოდნენ ფინანსური მოხელეები _ მუბაშირები. მან წესრიგში მოიყვანა საგადასახადო სისტემა სირიაში [113, 407]. არსებითად ის იყო იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ შერიფ ფაშას ფინანსური მრჩეველი. პერიე ჰანნა ბაჰრი ბეის შესახებ წერდა: «ის არის მთავარი ფინანსური მრჩეველი. ამასთან მეთაურობს სამოქალაქო და სამხედრო შემოსავლების აღრიცხვას. წარმოშობით სომეხი, დაჯილდოებულია დიდი მოქნილობით. ძნელი წარმოსადგენია რა ზომამდე მიაღწია მის მიმართ იბრაჰიმ ფაშასა
და მუჰამედ შერიფ ფაშას ნდობამ'' [94, 324]. ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა დავთარდარის საქმიანობას ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის თანამედროვე დოქტორი მშაკა: «ჰანნა ბაჰრი ბეი იყო სამართლიანი, ღირსეული და მოუსყიდველი მმართველი. არ იყო მისთვის განსხვავება მუსლიმსა და ზიმიას, ღატაკსა და მდიდარს შორის. ყველას ექცეოდა სამართლიანად და პატიოსნად ასრულებდა მუჰამედ ალის ნებას» [112, 295].

სირია_პალესტინის მმართველი ოთხეული უშუალოდ ემორჩილებოდა მუჰამედ ალის, იღებდა მისგან ინსტრუქციებს, უთანხმებდა მმართველობის საკითხებს. მათ იერარქიულ კიბეზე მოსდევდა შემდეგი თანამდებობის პირები, რომელთა გავლენაც შეზღუდული იყო დიდი ქალაქით ან რაიონით :

---

[13] დავთარდარი ყადისა და ვალისთან ერთად ეკუთვნოდა ჩინოვნიკთა უმაღლეს ფენას _ ასქერი. ის სპეციალურ მომზადებას გადიოდა სახელმწიფო დაწესებულებებში ან ადგილობრივ საფინანსო-ადმინისტრაციულ აპარატში. მათი სამსახური მოითხოვდა ადგილობრივი პირობების კარგ ცოდნას. ამიტომაც დავთარდარი იშვიათად გადაყავდათ ეიალეთიდან ეიალეთში და ხშირად ირჩევდნენ ადგილობრივ აიანთა წრიდან [81,56-57].

1. მუდირი (კაიმაკამი) _ მუდირიის უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი, ითავსებდა სამოქალაქო ფუნქციებსაც. მუდირის მოვალეობა იყო სახალხო უსაფრთხოების დაცვა, მობილიზაციის ჩატარება, მოსახლეობის განიარაღება და ცენტრალური მმართველობის ინსტრუქციების შესრულება. მუდირის თანამდებობაზე სირიის ჰუქუმდარი უპირატესად ეგვიპტელებს ნიშნავდა. ადანასა და ტარსუსის, ჰალებისა და დამასკოს მუდირები ეგვიპტელები იყვნენ. ეს იყო მუთასალიმზე მაღალი თანამდებობა, შესაბამისად, მუდირს ჰქონდა მაღალი ხელფასი[14].

2. მუთასალიმი (მუსეილიმი)[15] _ იყო ქალაქის სამოქალაქო ხელისუფალი. ამ თანამდებობაზე ადგილობრივი წარმოშობის პირები ინიშნებოდნენ. მაგალითად: ჰუსეინ აბდ ალ-ჰადი და მისი შვილი -სულეიმანი _ ჰებრონში, ჯაბრ აბუ ღუში და კასიმ ალ-აჰმედი _ იერუსალიმში, მუსტაფა ბერბერი და იუსუფ აღა შერიფი _ ტრიპოლში, აჰმედ ბეი იუსუფი _ დამასკოში, აბდალლაჰ ბაბილისი _ალეპოში და ლიბანში ამირა ბაშირ II შიჰაბი. ეს უკანასკნელი მთელი ქვეყნის მმართველი იყო, ითვლებოდა საოკუპაციო რეჟიმის უერთგულეს მომხრედ და სარგებლობდა განსაკუთრებული პრივილეგიებით. პერიე მუთასალიმის შესახებ ამბობდა, რომ სირიის ყველა ქალაქს ჰყავდა მუთასალიმი, რომელიც გენერალ-გუბერნატორისაგან იღებდა ბრძანებებს და ზედამხედველობდა ქალაქის მმართველობას. ამ თანამდებობის პირი ასრულებდა ყველა იმ ფუნქციას, რაც საფრანგეთში მუნიციპალური საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენდა. ალეპოსა და აქქის მუთასალიმებს ჰქონდათ მუდირის ტიტული და მიმდებარე რაიონებსაც განაგებდნენ (ისმაილ ბეგი _ ალეპოში, ხოლო სულაიმან ფაშა ალ-ფარანსავი _აქქაში). ბეირუთში, მისი სავაჭრო მნიშვნელობის გამო, მუჰაფიზი მაჰმუდ ნამი ბეგი (1833-1840წწ.)

---

[14] რუსი კონსული ბეირუთში _კ.მ. ბაზილი მიუთითებს, რომ მუდირის დანიშვნა და მოხსნა შეეძლო იბრაჰიმ ფაშას ან თვით მუჰამედ ალის [2, 126].

[15]. XVIს. პროვინციის გამგებელი ნიშნავდა თავისი ამალის წევრს სანჯაყის ცენტრსა და მსხვილ ქალაქებში, მუთასალიმად. ვალის არ ყოფნის დროს ეიალეთის დედაქალაქში მუთასალიმის ფუნქციას მისი ქეთხუდა ასრულებდა. (ქეთხუდა (სპარსულად) _ სახლის პატრონი, ოჯახის უფროსი. ოსმალურ-თურქულში ამ ტერმინს ცვლიდა «ქახია'' _ საქმეთა მმართველი, ამქრის მეთაური. XVI_XVIIIსს. ის თანდათანობით ჩაერთო სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. XVIIIს. ქეთხუდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად გადაიქცა, რომელიც ფლობდა განსაზღვრულ ოფიციალურ სტატუსს (ორთუღიანი ფაშა) და სახელმწიფო მართვის მექანიზმში იყო ჩართული. მისი ხელფასი 2,5 ათას ყურუშს შეადგენდა. 1828წ.ქახია-ბეი გახდა მულქიე ნაზირი (საშინაო საქმეთა მინისტრი) [81, 59; 68, 34-47].

განაგებდა სირიის სანაპირო ზოლის პორტებსა და საზღვაო მიმოსვლას. ახლომდებარე სოფლების შეიხები ემორჩილებოდნენ მუსეილიმს. მათ დაქვემდებარებაში იყო პოლიცია, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს საჯარისო ნაწილებიც ეხმარებოდნენ [2, 126; 119, 179].

3. მუბაშირი _ ფინანსური მოხელე. თითოეული მუთასალიმის დაქვემდებარებაში იყო ამ ტიტულის მქონე ჩინოვნიკი. მის მოვალეობას წარმოადგენდა მეთვალყურეობის გაწევა გადასახადების აკრეფაზე, მუთასალიმის მიერ კონტროლირებად მხარეზე არსებული ფინანსური ცნობების შეკრება და შენახვა. იგი ასრულებდა ხარჯების რევიზორის, ხაზინადარის ფუნქციას. მუბაშირი რეგულარულად უკავშირდებოდა სირიის დავთარდარს _ ჰანნა ბაჰრი ბეის და აწვდიდა ცნობებს რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. რუსი დიპლომატი დიუგამელი მუბაშირის შესახებ წერდა: «რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ის მთლიანად ქრისტიანთა ხელში იყო, რომელთა შორისაც ირჩევდნენ მოლარეს, გადამწერებს. მათი უფროსი იყო მუბაშირი. ის თითოეული მუთასალიმის სამსახურში იმყოფებოდა, რათა აეკრიფა გადასახადები, გაეცა ხელფასი. ყოველი მათგანი ემორჩილებოდა ქრისტიან ჰანნა ბაჰრი ბეის”[94, 321]. მუბაშირები იღებდნენ მინიმალურ გასამრჯელოს, რის საკომ- პენსაციოდაც ათასნაირ ხერხს მიმართავდნენ (ოქროსა და ვერცხლის მონეტების კიდეების ჩამოჭრა, ამით მათი მიმოქცევიდან ამოღება და ა.შ.) [64, 240].

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს სირიის ქალაქებში _ 20 ათასი და მეტი მცხოვრებით, დაარსდა ქალაქის საბჭო _ მაჯლის აშ-შურა ან დივან მაშურა. ჯერ კიდევ, 1832წ. ივნისში, როცა მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები და საბოლოოდ არ იყო გარკვეული სირიის საკითხი, დამასკოში იბრაჰიმ ფაშამ შექმნა მაჯლისი. მასში 22 წევრი შედიოდა, ადგილობრივი მოსახლეობის შემლებული ფენების წარმომადგენლები [117, 80]. დივან მაშურას დაარსებით იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ ალის სურდათ, შეექმნათ საქალაქო ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ქალაქისა და მოქალაქეთა საქმიანობის ყველა სფეროს განიხილავდა. მაჯლისს უნდა განეხორციელებინა მთელი რიგი სასამართლო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და მუნიციპალური ამოცანები.

დივან მაშურაში შედიოდნენ ადგილობრივ წარჩინებულთა, ვაჭრების, სასულიერო წრის წარმომადგენლები რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. დივანის წევრთა

რაოდენობა დამოკიდებული იყო ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე და თორმეტიდან ოცდაერთამდე მერყეობდა. მაჯლისს ხელმძღვანელობდა მუთასალიმი, რომელიც ვალდებული იყო სათათბიროდ გაეტანა დივანში მმართველობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, ხოლო სამეურნეო სფეროში არ შეეძლო მაჯლისის თანხმობის გარეშე უმცირესი განკარგულების გაცემაც კი. მაჯლისის წევრებს დიდ ქალაქებში ენიშნებოდათ ხელფასი (2500-დან 50000 ყურუშამდე წელიწადში) [117, 82-92]. დივანის ფუნქციაში შედიოდა ქალაქის მომარაგება სურსათ-სანოვაგით, გადასახადების აკრეფა, ევროპელთა საქმეების განხილვა, რომლის განაჩენის გასაჩივრებაც შეიძლებოდა დამასკოს მაღალ დივან მაშურაში. თეორიულად შესაძლებელი იყო საკითხის განსახილველად გადაცემა კაიროს მაჯლისისთვის. საბოლოოდ განაჩენს მუჰამედ ალი ან იბრაჰიმ ფაშა ამტკიცებდა.[16] ამის შესახებ პერიე წერდა : «ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეეძლო გუბერნატორს, გადაეცემოდა მაჯლისს, რომელიც თავის მოსაზრებას გამოთქვამდა და აღსრულებისათვის გადასცემდა იბრაჰიმ ფაშას. ხოლო ის თავისი სურვილის მიხედვით გადაწყვეტდა» [94, 333].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სირიის მოსახლეობისათვის უცხო არ იყო მაჯლისის ინსტიტუტი. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამდე სირიის დიდ ქალაქებში ფუნქციონირებდა დივანი, მაგრამ შემადგენლობითა და უფლება-მოვალეობებით განსხვავდებოდა ეგვიპტური წარმონაქმნისაგან.[17]

მაჯლისი ასრულებდა საერო სასამართლოს ფუნქციასაც, უპირატესად კომერციული და სადაო საკითხების გადასაჭრელად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანზიმათის რეფორმების დასაწყისში, ოსმალთა ხელისუფლების რესტავრაციის შემდეგ, მაჯლისი განაგრძობდა არსებობას. ადგილობრივმა აიანებმა ის საკუთარი

---

[16] 1829წ. ეგვიპტეში შეიქმნა მაჯლისი, რომელიც შედგებოდა 156 წევრისაგან: 33 მაღალი თანამდებობის პირი და ალიმი, 99 გავლენიანი წრეების წარმომადგენელი [112, 608].

[17] თითოეული სანჯაყის ცენტრში არსებობდა სათათბირო დივანი, რომლის წევრებიც იყვნენ სამხედრო რაზმების მეთაურები, დავთარდარი, ყადი, მუფტი და სხვა გავლენიანი პირები. პარარელურად არსებობდა ადმინისტრაციული დივანი (დივან სერაიათ ალ-ჰუქმ), რომელიც დიდ როლს ასრულებდა სანჯაყის უსაფრთხოების ორგანიზებაში, გადასახადების აკრეფასა და ადგილობრივი ხარჯების განსაზღვრაში. დივანის მთავარი მოხელეები იყვნენ «ქათიბ ალ-დივან'', «ქათიბ ალ-არაბი''და «დივან ეფენდი''. დივანი ნიშნავდა შემდეგი თანამდებობის პირებს : სუბაში _ პოლიციის უფროსი, სარდახი _ იანიჩრების მეთაური, მუჰთასიბი _ ბაზრის მეთვალყურე და სხვა ჩინოვნიკებს [31, 146-147 ; 96, 33].

მიზნების განსახორციელებელ ინსტრუმენტად აქციეს[18], რომლის მეშვეობითაც გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციაზე და აკონტროლებდნენ ვალის. მისი ძალაუფლება ამ ფენასთან მიმართებაში შეზღუდული იყო. ის მხოლოდ ერთი წლით ინიშნებოდა. საეჭვოა რომ მას მოეხერხებინა ადმინისტრაციულ პრობლემებში გარკვევა აიანთა ფენის დახმარების გარეშე. აიანები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და კარგად ჩახედულნი რაიონის საქმეებში [104, 363]. პარალელურად არსებობას განაგრძობდა სასულიერო სასამართლო _ მაჰქამა. პროვინციის უმაღლესი მოსამართლე და ვალის შემდეეგ მეორე პირი იყო ყადი.[19] ოსმალეთის იმპერიაში ყადიების სათავეში იდგა შეიხ ულ-ისლამი. მაღალი დონის ყადიებად ითვლებოდნენ ანატოლიისა და რუმელიის ყადიები(კადი ალ-ასქერ), სტამბულის ყადი (ინსტანბულ კადისი), მექა-მედინის ყადიები (ჰარამაინ მულალლარი) და პროვინციათა დედაქალაქების, მაგალითად: დამასკოსა და კაიროს ყადიები (არბაა მულალლარი). განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა იერუსალიმის ყადის, რომლის უფლებებიც იერუსალიმის, ღაზისა და ნაბულუსის სანჯაყებზე ვრცელდებოდა და ჰაიფამდე აღწევდა. მაღალი რანგის ყადიებს ნიშნავდა შეიხ ულ-ისლამი, ამტკიცებდა სულტანი. შედარებით დაბალი რანგის ყადიებს (ანატოლიისა და იმპერიის აზიური პროვინციების ყადიები) ანატოლიის ყადი ალ-ასქერი ნიშნავდა [30, 111]. ყადის თანამდებობის მსურველს სპეციალური განათლება უნდა მიეღო სულტნის მიერ გახსნილ მედრესეებში, რომლებიც სტამბოლსა და პროვინციათა ცენტრებში (დამასკო, ჰალები, ტრიპოლი...) მდებარეობდნენ. მომავალი ყადი მუდარისის თანამდებობაზე მოღვაწეობდა და თანდათანობით მიიწევდა წინ [81, 56]. XVIIIს. სირიაში ყადის მხოლოდ ერთი წლის ვადით ნიშნავდნენ, მაშინ როცა მისი მოადგილეს _ ნაიბის სამსახურის ვადა არ იყო შეზღუდული. ყადის თანამდებობას უპირატესად თურქები იკავებდნენ, ხოლო ნაიბები სირიელები იყვნენ. სასამართლოსთან ფუნქციონირებდა საკანცელარიო სამსახური. ოსმალეთის იმპერიაში ოფიციალური სტატუსით ჰანიფიტური მაზჰაბი სარგებლობდა, ამიტომ

[18] XVIII ს.-ის სირიის მაგალითზე ვხედავთ, რომ ტერმინით აიან ერთიანდებოდნენ სხვადასხვა მაღალი სოციალური მდგომარეობის პირები, პირველ რიგში კი რელიგიური ინსტიტუტების სათავეში მდგომი ალიმები [31,148].

[18]ყადი (არაბ. ḳáḍã) _ მუსლიმი მოსამართლე. პირველად ხალიფა ომარ I დანიშნა მედინაში, ბასრასა და ქუფაში [59, 125].

დამასკოს მთავარ ჰანიფიტ ყადის _ «კადი ალ კუდათ'' _ განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სირიის დიდ ქალაქებში ჰანაფიტი ყადის გარდა მოქმედებდნენ შაფიიტი, მალიქიტი და ჰანბალიტი ყადიები, რომლებსაც ადგილობრივი რელიგიური წრეები შესაბამისი მაზჰაბების წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინებით ნიშნავდნენ [30, 112]. ყადის ყოველწლიური შემოსავალი ზუსტად არ იყო განსაზღვრული. ცნობილია, რომ მისი შემოსავლის ძირითადი წყარო ნაიბის თანამდებობის გაყიდვით მიღებული თანხა და ყოველი განხილული საქმიდან მიღებული წილი იყო, რაც 10% შეადგენდა. ყადი ახორციელებდა დავთარდარის ფინანსური საქმიანობის კონტროლს, აღკვეთდა არმიის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, ასრულებდა არბიტრის როლს სადაო საკითხებში. ყადი განიხილავდა მოქალაქეთა საჩივრებს თანამდებობის პირთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ. მის კომპეტენციაში შედიოდა სისხლის სამართლის საქმეებიც (მკვლელობა, ქურდობა, ჩხუბი, ძალადობა), აგრეთვე ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევები [55,158]. ყადის გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, მაგრამ მომჩივანს ჰქონდა არჩევანის უფლება _ მაჰქამა ან სულტნის საერო სამართალი.[20] იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ყადი ან ვალი თავად გადასცემდა ზოგიერთ საკითხს განსახილველად სულტნის ან დიდვაზირის დივანს. ოსმალეთის სულტანი პერიოდულად გამოსცემდა კანუნებს, რომლებიც დროებითად ითვლებოდნენ და ადმინისტრაციული ხასიათის იყვნენ. კანუნი არ შეიძლებოდა წინააღმდეგობაში ყოფილიყო შარიათის ნორმებთან, ფართოდ იყენებდა ჯარიმას, ფიზიკური დასჯის ან სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთის ნაცვლად [81, 57-66].

ისლამურ ქვეყნებში არსებობდა სამოქალაქო სამართალიც – ურფი (ურფ - ცოდნა) და ადათი. სახელმწიფო მმართველობის, ფინანსებისა და საგადასახადო საკითხებში შარიათის შევსება ხშირად საჭირო ზდებოდა ურფითა და ადათით. ურფი არეგულირებდა საერო ხელისუფლების მიერ წარმოებულ სამართალს. მისგან წარმოიშვა ტერმინი აჰლ-ი-ურფ _ ურფის ხალხი, ნაცვლად შარიათის ხალხისა _ ყადი და მუფთი [30, 115; 81, 65].

[20] მაჰქამა _ ისლამური სასულიერო სასამართლო. უცხოელთა და არამუსლიმთა საქმეებს არ განიხილავდა [2, 309].

მაჰქამას პარალელურად არსებობდა აგრეთვე ქრიტიანული და ებრაული სასამართლოები _ ეპისკოპოსებისა და რაბინების ხელმძღვანელობით. ოსმალეთის იმპერიაში, სამართალწარმოების რელიგიური ხასიათის გამო, ზიმიას არ მიიწვევდნენ შარიათის სასამართლოში, თუ ის არ დადიოდა ეკლესიაში ან სინაგოგაში [81, 55-67]. ქრისტიანთა და ებრაელთა კონფესიონალური სასამართლოები განიხილავდნენ საქმეების მხოლოდ ნაწილს, დანარჩენი კვლავ შარიათის სასამართლოს კომპეტენციაში რჩებოდა. ოსმალეთში XV ს. II ნახევრიდან რელიგიური თემის _ მილეთის სტატუსი მიიღეს ბერძნულ-მართლმადიდებლურმა_1457წ., სომხურ - გრიგორიანულმა _ 1461წ., იუდაველთა და სხვა თემებმა. ამ თემებს სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებდა და ისინი შეზღუდული ავტონომიური უფლებით სარგებლობდნენ. მილეთები დამოუკიდებლები იყვნენ ქორწინების, გაყრის, მემკვიდრეობის დაცვის, ქონების გაყოფის, განათლების საკითხებში. მილეთის სათავეში იდგა მილეთ-ბაში, რომელიც ასრულებდა შუამავლის ფუნქციას სულტანსა და არამუსლიმთა შორის. მილლეთ-ბაში ბერძენ-მართლმადიდებლებისა და სომეხ-გრიგორიანელებისთვის პატრიარქი იყო, ხოლო ებრაელებისათვის მთავარი რაბინი. დამტკიცების შემდეგ ის თემში ნიშნავდა ყველა თანამდებობის პირს. მისი ხელისუფლება დივანის მეშვეობით ხორციელდებოდა. სულტანი მილლეთ-ბაშის მეშვეობით კრეფდა გადასახადებს მილეთში [33, 134]. XVIIIს. გავრცელდა ე.წ. «კაპიტულაციების'' რეჟიმი, რომლის მიხედვითაც მრავალი არამუსლიმი დასავლეთის სახელმწიფოების მფარველობით სარგებლობდა [30, 116].

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ, სასულიერო სასამართლო მთლიანად სახელმწიფო ადმინისტრაციაზე გახდა დამოკიდებული. მაჰქამას შინაგან სტრუქტურას ცვლილებები არ შეხებია. დამასკოსა და იერუსალიმის მთავარ ყადიებს კვლავ სულტნის ხელისუფლება ამტკიცებდა ყოველწლიურად. ისინი, თავის მხრივ, ნიშნავდნენ მათდამი დაქვემდებარებული რაიონების ყადიებსა და ნაიბებს, რომლებიც ამ თანამდებობებისათის ფულს იხდიდნენ. სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა მაჰქამაში ან მაჯლისში ხდებოდა. შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემოდა იბრაჰიმ ფაშას. პოლიტიკური ხასიათის დანაშაულის განხილვა და დასჯა მხოლოდ სერ-ასქერის კომპეტენციაში შედიოდა. მას ძიებისა და სასამართლოს გარეშე შეეძლო ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი მტრულ

მოქმედებებში ეჭვმიტანილი ადამიანებს დასჯა [2, 126-127]. როგორც ავღნიშნეთ მაჰქამას შინაგანი სტრუქტურა უცვლელი დარჩა, მაგრამ მან დაკარგა დამოუკიდებლობა და მთლიანად სახელმწიფო ადმინისტრაციას დაექვემდებარა. ნებისმიერი თხოვნა მიდიოდა არა პირდაპირ ყადისთან, არამედ ჰუქუმდარის კანცელარიაში და ის იღებდა გადაწყვეტილებას _ თუ ვის განკარგულებაში გადაეცა კონკრეტული საქმე განსახილველად [49, 42]. ამით სირიაში დაიწყო სასულიერო სასამართლოს მოდერნიზაციის პროცესი. მაჰქამა დაექვემდებარა სახელმწიფოს.

იბრაჰიმ ფაშა უკმაყოფილო იყო სირიის სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობით. მან ამხილა ჩინოვნიკები მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებასა და მექრთამეობაში, გამოიკვლია სირიის ქალაქების (ღაზა, იაფა, სური, ბეირუთი, საფედი და ჰალები) გამგებლების მიერ ძალაუფლების გადამეტების შემთხვევები და სასტიკად დასაჯა ისინი. საფედის მუთასალიმის საქმიანობის გასარკვევად, იბრაჰიმ ფაშამ გაგზავნა ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც 15 დღე იკლევდა მუთასალიმისთვის წაყენებულ საჩივარს. ბრალდების დამტკიცების შემდეგ, ის 6 თვით აქქის ციხეში მოათავსეს. სეფედის მუთასალიმის ბედი გაიზიარა კადისის გამგებელმაც, რომელიც აბუქირში 3 წლით კატორღაში გაგზავნეს. იბრაჰიმ ფაშას სურდა «რომ სმენოდათ ეს დანარჩენ მუთასალიმებს და ყოფილიყო მათთვის გაკვეთილი’’[117, 77-78]. იბრაჰიმ ფაშამ აღმოაჩინა, რომ დამასკოს მაღალი დივან მაშურა ფაქტიურად 18 თვის მანძილზე არ ფუნქციონირებდა. მისი ბრძანებით «დააკავეს’’ მაჯლისის წევრები, ვიდრე დაგროვილი საკითხები არ გადაჭრეს [108, 81]. დივან მაშურას მრავალ ნაკლთაგან ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მის საქმიანობას აკონტროლებდა სირიის სერ-ასქერი, თუმცა თვითონ მაჯლისის შექმნის იდეა შეიძლება უაღრესად პოზიტიურად ჩაითვალოს. ეს იყო მცდელობა სახელმწიფოს მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვისა და პროვინციის სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქოზე თანდათანობით გადასვლისა. პერიე დივანის შესახებ წერდა: « ყველა ის ნაკლი, რომელიც შეიმჩეოდა მაჯლისის საქმიანობაში, გამოწვეული იყო ამ ინსტიტუტის სიახლით. ის ბავშვის ასაკში იმყოფებოდა, მაგრამ ჩანდა მუჰამედ ალის დიდი და ფართო შეხედულებები’’ [94, 333].

ოსმალეთის მიერ არაბული ქვეყნების დაპყრობის შემდეგ მოხდა ადმინისტრაციული სისტემის გადახალისება, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს

სისტემა მოძველდა და დაკარგა ეფექტური რეაგირების უნარი. მუჰამედ ალიმ ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაციასთან ერთად განაახლა ადმინისტრაციული მეთოდები. ეგვიპტიდან, მისი მითითებით, გაიგზავნენ კვალიფიციური კოპტი მოხელეები, მაგრამ მთელი რიგი სირთულეებისა მაინც არსებობდა. საოკუპაციო რეჟიმის დროს საქმის წარმოებაში გამოიყენებოდა არაბული და თურქული ენები. არაბული ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობის მშობლიური ენა იყო. მუჰამედ ალი კი სახელმწიფოს მართავდა თურქულ ენაზე და მაღალ სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე მისდამი ლოიალურად განწყობილ პირებს ნიშნავდა ალბანელთა და თურქთა რიგებიდან. ადგილობრივი, სირიელი და ეგვიპტელი არაბები აღწევდნენ სამოქალაქო ადმინისტრაციასა და სამხედრო იერარქიაში საშუალო და დაბალ ჩინს [110, 63]. იბრაჰიმ ფაშა მომხრე იყო არაბული ელემენტის დაწინაურებისა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. იგი წერდა მამამისს: « ოცი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ, მე გავიგე რომ, 1000 თურქიდან ერთგულია 300, ხოლო 1000 ეგვიპტელი არაბისგან კი 700» [51, 227]. ადმინისტრაციის საქმიანობაში არეულობა შეჰქონდა გაუთავებელ მობილიზაციას, რომლის დროსაც ხდებოდა სამხედრო სამსახურისათვის ვარგის ჩინოვნიკთა გაწვევა არმიაში. მუჰამედ ალი, სიტუაციის გამოსწორების მიზნით, აპირებდა დაეარსებინა სპეციალური დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელიც გარკვეული იქნებოდა სირიის ადმინისტრაციულ საკითხებში, მაგრამ რადგანაც სირიის სხვადასხვა რაიონს თავისი სპეციფიკა ჰქონდა, ეს საქმეს ართულებდა. ამიტომ შეიქმნა ე.წ. «მცირე ბიურო’’, რომელიც განიხილავდა მუდირიებიდან მიღებულ მასალებს, გადაამუშავებდა და დასკვნას ეგვიპტეში გზავნიდა [94, 328-329]. ადმინისტრაციულ სირთულეებს შორის აღსანიშნავია სირიის სხვადასხვა რაიონში არსებული დროის ათვლის განსხვავებული სისტემა _ ჰიჯრისა და გრიგორიანული. თანამდებობის პირთა ფუნქციები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული, რის გამოც ხშირად ხდებოდა მათი უფლება-მოვალეობების დამთხვევა. ბიუროკრატიული აპარატი აღმოსავლური მოუქნელობით გამოირჩეოდა. მუჰამედ ალის თანამედროვე კონსულთა მოხსენებებში და ევროპელ მოგზაურთა მოგონებებში ხშირადაა ნახსენები ჩინოვნიკთა კორუმპირებულობისა და უსაქმურობის მაგალითები. ერთ-ერთი თანამედროვე აღწერს სამხედრო დივანის მწერლის სამუშაო დღეს კაიროში, რაც იყო ტიპიური დედაქალაქის ყველა დაწესებულების თანამშრომელთათვის. მწერლის

სამუშაო დღე დილის 7-8 საათზე იწყებოდა, როცა ის ქრისტიანი ან მუსლიმი მსახურის თანხლებით, რომელსაც მისი ჩიბუხი მოჰქონდა, ცხადდებოდა დივანში. თავის ჭუჭყიან ოთახში შესვლისთანავე, ის მიირთმევდა ყავას და ეწეოდა ჩიბუხს. თუ ამ დროს მასთან მთხოვნელი მივიდოდა ან რაიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს მიუტანდნენ, ის არ ჩქარობდა საქმის დაწყებას. ჩვეულებრივი სამსახურეობრივი ჩანაწერის გაკეთებას მწერალი 2-3 საათი ანდომებდა. ამ ხნის მანძილზე ის დიდხანს, მონდომებით ამზადებდა საწერ მოწყობილებას, ქაღალდს, კვლავ იწყებდა ყავის სმას და ჩიბუხის წევას [64, 228]. ადვილი მისახვედრია, თუ ასეთი ვითარება იყო კაიროში, რა სიტუაცია იქნებოდა ოკუპირებული სირიის მუდირიებში. ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

მთლიანობაში, ადმინისტრაციულ რეფორმას სირიაში პოზიტიური შედეგი მოჰყვა. რეფორმამ ხელი შეუწყო ქვეყნის ცენტრალიზაციას, ფეოდალური ურთიერთობების შესუსტებას. ადგილობრივ ლიდერებს წაერთვათ დამოუკიდებლობა, გადასახადების ამკრეფთა სტატუსი. შეიქმნა ახალი იერარქიული კიბე, რომლის სათავეშიც იდგა იბრაჰიმ ფაშა, რომელსაც ემორჩილებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა მოხელე იღებდა ხელფასს. თვით იბრაჰიმ ფაშა მოქმედებდა მუჰამედ ალის ინსტრუქციებით.

§2 ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი და ლიბანის საამირო

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამდე, სირია-პალესტინაში შემდეგი ვითარება იყო: პალესტინის სანაპირო ზოლი იაფას ჩათვლით ეკავა აბუ ნაბუთის ოჯახს, იერუსალიმის მთიანეთს აბუ-ღუშის გვარი განაგებდა, ამრის გვარის შეიხები _ სამხ. პალესტინის მთიანეთს, შეიხები _ ჯერარის, კასიმის, ტუკანისა და აბდ ალ-ჰადის საგვარეულოებიდან __ ნაბულუსსა და სამარიას, ტარაბლუსის საფაშოს მართავდა მუსტაფა ბერბერი, ხოლო ლიბანის საამიროს _ ბაშირ II შიჰაბი [2, 144 ; 106, 21-22]. იბრაჰიმ ფაშამ შეკვეცა მათი პოლიტიკური უფლებები, ცვლიდა არასაიმედო ლიდერებს თავისი ხალხით. ასე მაგალითად, ნაბულუსში, იაფასა და იერუსალიმში ის ეყრდნობოდა აბდ ალ-ჰადის ოჯახს. აბუ ღუშის გვარს დაუნიშნა ფულადი

გასამრჯელო და ამით ორი საქმე გააკეთა: ჯერ ერთი იუდეას მთიანეთი უსაფრთხო გახდა პილიგრიმებისათვის და მეორეც, ეს გვარი ჩადგა საოკუპაციო რეჟიმის სამსახურში. ოსმალეთ-ეგვიპტის I კონფლიქტის დროს ტარაბლუსის (ტრიპოლი) შეიხმა მუსტაფა ბერბერმა ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა ეგვიპტის ჯარს. იბრაჰიმ ფაშამ მას, პირველ ხანებში, შეუნარჩუნა თანამდებობა. ასევე შეინარჩუნა და გაფართოვა თავისი საამირო ლიბანის ამირამაც.

ბაშირ II და მუჰამედ ალის შორის თანამშრომლობას საფუძველი ჯერ კიდევ 1821წ. ჩაეყარა, როცა ლიბანის ამირა, არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო, იძულებული გახდა დახმარება ეთხოვა ეგვიპტის ფაშისათვის.[21] მათ შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ამირა, საჭიროების შემთხვევაში, 10 ათას კაციანი რაზმით უნდა დახმარებოდა ფაშას. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, აქქის ალყის დროს (1831წ. ნოემბერი _ 1832წ. მაისი) იბრაჰიმ ფაშამ მოითხოვა დახმარება. ამირა ყოყმანობდა და ცდილობდა თავიდან აეცილებინა სულტნის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა. ის იმიზეზებდა ლიბანში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. დრუზები და მათი შეიხები _ ჯუმბლატები, იბადები, აბუ ნაქიდები სულტანს უჭერდნენ მხარს ამირასთან მტრობის გამო, ხოლო მარონიტები იბრაჰიმ ფაშას ემხრობოდნენ. ამასთან მაჰმუდ II წარმომადგენლები პირდებოდნენ მთიან ლიბანს მთელ რიგ პრივილეგიებს, რაზეც ბაშირ II უარით უპასუხა. თავის მხრივ, მუჰამედ ალიც შეპირდა ლიბანის საშინაო საქმეებში სრულ ჩაურევლობას [79, 77-80; 107, 1078]. იბრაჰიმ ფაშა მზად იყო ამირასთვის დრო მიეცა გადაწყვეტლების მისაღებად, მაგრამ მუჰამედ ალიმ ნოტა გაუგზავნა ბაშირ II-ს, შეახსენა ხელშეკრულების პირობები და დაემუქრა, რომ ჯარის გაგზავნის გაჭიანურების შემთხვევაში, მისი ბრძანებით, ეგვიპტის არმია შეიჭრებოდა საამიროს ტერიტორიაზე. ნოტამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ბაშირ II იბრაჰიმ ფაშას განკარგულებაში გადასცა თავისი ხალხი და რესურსები. ლიბანელთა შეიარაღებული რაზმები იბრძოდნენ იბრაჰიმ ფაშას ჯარის ნაწილებთან ერთად აქქას, ჰიმსის, დამასკოს, იაფას, იერუსალიმის, სურის, საიდას, ბეირუთის კედლებთან. მათ

[21] 1821წ. აქქას ფაშამ _ აბდალლაჰმა სცადა დამასკოს საფაშოს შეერთება. კონფლიქტში ჩაება ლიბანის ამირაც, რომელმაც მაზზასთან ბრძოლაში გაანადგურა მუჰამედ დარვიშ ფაშას ჯარები. სულთანმა მხარი დაუჭირა დამასკოს ფაშას. ბაშირ II პორტასთან შუამდგომლობა სთხოვა მუჰამედ ალის, რომელმაც სწორად შეაფასა მთიანი ლაბანის სტრატეგიული მდებარეობა და მისი ამირას სამხედრო ძალის მნიშვნელობა. მისი დახმარებით კონფლიქტი დარეგულირდა [79, 76-77 ; 107, 1078-1079].

საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს ეგვიპტის სამხედრო კამპანიის წარმატებაში [91, 421-422]. ამ დახმარებისათვის და ლიბანის მთებში წესრიგისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად, 1832წ. სირიის სერ-ასქერმა _ იბრაჰიმ ფაშამ ამირა ბაშირ II შიჰაბი ლიბანის მუდირად დაამტკიცა [13, 27]. საამიროს შეუერთდა ჯუბეილის ოლქი, რომელიც აქამდე ტარაბლუსის საფაშოს ეკუთვნოდა. ლიბანი ყოველწლიურად იხდიდა 1500 ქისას, მთლიანობაში კი, ფირდესთან ერთად, გადასახადი 6500 ქისას შეადგენდა (დაახ. 190 ათასი მანეთი ვერცხლით). ამირა თავისი შეხედულებისამებრ კრეფდა გადასახადებს, ეგვიპტის ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი შეზღუდვის ან კონტროლის გარეშე. სახაზინო გადასახადის გადახდის შემდეგ, მას საკმაოდ დიდი თანხა რჩებოდა თავისი ამალის, მცველების შესანახად და ბაით ად-დინში მშენებლობების საწარმოებლად. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, მამულებიდან მიღებული შემოსავლები, სულ ცოტა, 2500 ქისას შეადგენდა [2, 145].

მუჰამედ ალის მსგავსად, ამირა ბაშირმაც სცადა თავისი ვასალების ფეოდალური პრივილეგიების შეზღუდვა და მთელი ძალაუფლების თავის ხელში მოქცევა. მთიან ლიბანში XIX ს. არსებობდა ფეოდალური იერარქია, რომელშიც ყველა გვარს თავისი ადგილი გააჩნდა. ყველაზე მაღლა იერარქიულ კიბეზე იდგნენ შიჰაბების გვარის ამირები, შემდეგ აბუ ლამასა და არსლანების საგვარეულოების ამირები. ცენტრალური ლიბანის შეიხებს შედარებით დაბალი ადგილი ეკავათ. მათში უპირველესი იყო ჯუმბლატების გვარი, შემდეგ ამადის, აბუ ნაქადის, ტალკუკის, აბდ ალ-მალიქისა და ალ-იიდის ოჯახები. XIXს. დასაწყისში, ჯუმბლატის გვარს ეკავა 5 მუკატაა,[22] ლიბანის სამხრეთით, 200 სოფელი - 30 ათას კაცზე მეტი მოსახლეობით. აბუ ნაქადებს ცენტრალურ ლიბანში _ 31 სოფელი 13 ათასი მცხოვრებით. არსლანებს სამხრეთ ღარბის მუკატაა _ 70 სოფელი 4 ათასი კაცით. აბუ ლამას მათნის მუკატაა _ 40 მსხვილი და 47 პატარა სოფელით და ა. შ. [102, 56; 79, 56-57]. უმეტესობა ლიბანის ფეოდალური გვარებისა ფლობდა თავის მუკატაას საუკუნეების მანძილზე, მაგრამ გასხვისების უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ მმართველ ამირას შეეძლო მიწის ჩუქება ან ჩამორთმევა. სწორედ ეს უფლება გამოიყენა ბაშირ II, როცა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგე დრუზ შეიხებს ჩამოართვა მამულები. ოსმალეთ_ეგვიპტის I კონფლიქტის დასაწყისშივე დრუზი ფეოდალები, ტალკუკისა და აბდ ალ-მალიქების

[22] მუკატაა _ ლიბანში ფეოდი. 1861წ. ადმინისტრაციული ერთეული. მუკატაჯი _ ფეოდის მფლობელი. 1861 წლიდან კი ოლქის გამგებელი [2, 309].

კლანების წარმომადგენლების გარდა, მიემხრნენ სულტანს, რამაც დრუზთა თემი დაასუსტა. ფრანგი მოგზაური პუჟოლი წერდა, რომ ... დღეს ეს საბრალო ტომი 60 ათასი კაცით ცხოვრობს მორჩილებასა და შიშში დამპყრობთა მიმართ [64, 250].

XVIIIს. ბოლოსა და XIXს. დასაწყისში საგრძნობლად გაძლიერდა მარონიტების თემი ლიბანში. დრუზი მუკატაჯები ხალისით აძლევდნენ მიწას იჯარით მარონიტ გლეხებსა და ბერებს, რომლებიც აწარმოებდნენ აბრეშუმს, ავითარებდნენ ხელოსნობასა და ვაჭრობას, რასაც დრუზები თავისთვის უღირს საქმიანობად თვლიდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ მოიჯარე ხდებოდა მიწის გარკვეული ნაკვეთის მფლობელი. თუ თავდაპირველად დრუზი ფეოდალები ხელს უწყობდნენ მარონიტების დასახლებას მათ მიწებზე, მოგვიანებით მარონიტული თემის მზარდმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გავლენამ შეაშფოთა ისინი. ფრანგი მკვლევრის შევალიეს ცნობით, XIXს. 40-იან წლებში ალ-ჯურდის მუკატაას სოფლებში ცხოვრობდა 3 ათას 316 მარონიტი, მოსახლეობის 64% და 1 ათას 860 დრუზი ___36%. XIXს. დასაწყისში კი მთიან ლიბანში 70 ათასი დრუზი და 120 ათასი მარონიტი იყო [64, 249]. მარონიტული ეკლესია კონფლიქტის დასაწყისში მიემხრო ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმს. მღვდელ ანტუან შარაბატის ცნობით: პატრიარქმა იუსუფ ხუბეიშმა 900 მარონიტი მებრძოლი გადასცა იბრაჰიმ ფაშას, აქქის აღების შემდეგ, იმათ გარდა ვინც უკვე იბრძოდა ეგვიპტის ჯარში. ფაქტიურად ლიბანელი ქრისტიანები იყვნენ საოკუპაციო რეჟიმის ძირითადი დასაყრდენი ძალა ლიბანში. ეგვიპტის არმიის სამხედრო საწყობი მოაწყვეს ქრისტიანულ სოფელ _ ზაჰლაში. შერეული მოსახლეობის სოფლებში მარონიტები ასრულებდნენ პოლიციის ფუნქციას. ეგვიპტის ხელისუფლებამ შეაიარაღა მარონიტები, ამის გარდა იარაღი კონტრაბანდული გზითაც შედიოდა ლიბანში. უკვე 1838წ. ზაფხულში მარონიტებს 15 ათასამდე შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდათ [64, 251; 20,95].

მსხვილი დრუზი ფეოდალების განდევნის შემდეგ ამირა ბაშირ II-მ ლიბანის ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაცია მოახდინა. ქვეყანა ათ რაიონად დაიყო, რომელთა სათავეშიც უპირატესად ამირას ახლობლები ჩაუდგნენ. ბაშირ II ცდილობდა აიანთა ახალი ფენა შეექმნა იმ ქრისტიანთა რიგებიდან, ვინც მას ემსახურებოდა. ამ პირებს უზარმაზარ სამფლობელოებს ურიგებდნენ. მაგ. შეიხ ასად აბუ სააბმა (ცნობილი ლიბანელი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის ჰანნა იბნ ასად აბუ სააბის მამა), ბაშირ II –ის მხედართმთავარმა, მიიღო ალ-კალა ალ-მუნთავიიას

რაიონი მიმდებარე მინდვრებითა და საძორებით. ამირას საქმეთა მმართველმა _ სოფელი აჰდანი. პირველად ლიბანის ისტორიაში, ქრისტიანები უმრავლესობას შეადგენდნენ ამირას გარემოცვაში. ბაშირ II ხაზინადარი იყო ქრისტიანი ჯირჯის მიშაკა, ასევე მას ემსახურებოდნენ შეიხი მანსურ ად-დაჰდაჰი, იუსუფ ალ-ჰური აშ-შალაფუნი და სხვები [64, 252].[23] ქრისტიანების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებისათვის, ჯერ კიდევ 1817წ. პაპმა პიუს VII მადლობა გადაუხადა ლიბანის ამირას, ასევე შეაქო მისი პოლიტიკა და ერთგული ძე უწოდა მომდევნო პაპმა გრეგორი XVI-მ 1835წელს. სოფლებს მართავდნენ შეიხები, რომლებიც იცავდნენ წესრიგს, კრეფდნენ და ხაზინაში შეჰქონდათ გადასახადები. ისინი საერო მოსამართლის ფუნქციასაც ასრულებდნენ და არჩევდნენ უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეებს. სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეს ოლქის მმართველები და ბაშირ II-ის მიერ სამ ქალაქში _ დეირ ალ-კამარში, ზუკსა და სგურტში არსებული სასამართლოები განიხილავდნენ. ამასთან, დეირ ალ-კამარის მოსამართლე მხოლოდ დრუზი უნდა ყოფილიყო, დანარჩენი ორის კი მარონიტი სასულიერო პირები [64, 252]. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი ხვდებოდა რაოდენ საშიში და არასასურველი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა დრუზების და მარნიტების თემის გაერთიანებას. ამიტომ ეგვიპტელები ყოველნაირად ხაზს უსვამდნენ თავიაანთ კეთილგანწყობას მარონიტების მიმართ. სადავო მიწის საკითხი დრუზ და მარონიტ ფელლაჰებს შორის, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ წყდებოდა. ხელისუფლება ფულად კომპენსაციას აძლევდა მარონიტ გლეხებს, იმ შემთხვევაში თუ აჯანყების ჩახშობის დროს დამსჯელი ექსპედიცია მათ ნაკვეთს დააზიანებდა. საამიროში ვითარდებოდა ვაჭრობა და მრეწველობა. ლიბანის ქალაქებში _ საიდაში, ბეირუთსა და ტარაბლუსში ხდებოდა ნატურალური აბრეშუმის, ზეითუნის ზეთისა და შალის ნაწარმის გადაცვლა პურსა და ევროპული წარმოების საქონელზე. ბაშირ II ლიბანის მთებში დაამყარა სრული უსაფრთხოება, გაყავდა სავაჭრო-საქარავნო გზები [2, 147]. ბაშირ II ხელისუფლებამ გააძლიერა გლეხთა ექსპლოატაცია, ფართოდ გამოიყენებოდა იძულებითი შრომა, გაიზარდა გადასახადებიც.

---

[23] გავრცელებულია მოსაზრება,რომ XVIIIს. შუა წლებში შიჰაბის გვარი გაქრისტიანდა. მას აბუ ლამას კლანმაც მიბაძა. ქვეყანაში რელიგიურ თემებს შორის წონასწორობის შესანარჩუნებლად, მმართველი ამირები სამი რელიგიის რიტუალს ასრულებდნენ _ ბავშვებს ნათლავდნენ, ესწრებოდნენ ღვთისმსახურებას ეკლესიასა და მეჩეთში, ინახავდნენ მარხვასა და რამადანს, ხოლო მიცვალებულს მარხავდნენ დრუზების ადათით. ლიბანში ამბობდნენ, რომ მმართველი ამირები «იბადებოდნენ ქრისტიანებად, ცხოვრობდნენ როგორც მუსლიმები და იხოცებოდნენ დრუზებად» [78, 36].

ლიბანი ერთადერთი რაიონი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც მაჯლისი არ ჩამოყალიბდა. ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლება მხარს უჭერდა ამირას გავლენის ზრდას, იმის ნაცვლად რომ აემხედრებინა მისთვის მეტოქეები და საკუთარი გავლენა გაევრცელებინა ლიბანის მთებში. შესაძლოა ეს პოლიტიკური სიტუაციითაც იყო გამოწვეული. მუჰამედ ალის მმართველობას სირიაში უფრო მყარი საფუძველი რომ ჰქონოდა, სავარაუდოდ ის შეკვეცავდა ამირას უფლებებს და სირიის ერთიან ადმინისტრაციულ მოწყობას დაუმორჩილებდა მთიელ ტომებს. თავის მხრივ, ამირაც იყენებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას იბრაჰიმ ფაშას პოლიტიკური კურსისადმი და ცდილობდა გამხდარიყო შეუცვლელი პირი, რათა განემტკიცებინა თავისი გვარის უფლებები ლიბანზე.

თავი მესამე

განათლების საკითხი და რელიგიურ უმცირესობათა სტატუსი სირიაში ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის პერიოდში

სირიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის _ იბრაჰიმ ფაშას ბრძანებით შეიქმნა სირია-პალესტინაში საერო დაწყებითი სკოლების ქსელი _ ეგვიპტის მაგალითზე. მუჰამედ ალიმ ეგვიპტეში გახსნა დაწყებითი და საშუალო სკოლები. დაწყებით სკოლებში ბავშვები 8-12წწ. ასაკში სწავლობდნენ არაბულ ენას, მათემატიკას. 12-16 წლამდე მოსწავლეები თურქულ ენას, მათემატიკას, ისტორიასა და გეოგრაფიას ეუფლებოდნენ. სწავლის გაგრძელება შეიძლებოდა სპეციალურ სასწავლებლებში ოთხწლიანი კურსით _ სამხედრო, სამედიცინო, ვეტერინარული, ლინგვისტური, მექანიკური, სასოფლო-სამეურნეო, მუსიკალური. მსმენელებს აძლევდნენ სტიპენდიას, ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებლებში და უფასოდ იკვებებოდნენ [67, 53]. არსებობას განაგრძობდა ტრადიციული სასულიერო განათლების სისტემაც. მეჩეთებთან არსებობდა დაწყებითი სკოლა – მექთებე და უფრო მაღალი დონის _ მედრესე, რომელიც სასულიერო სემინარიისა და აკადემიის როლს ასრულებდა. სკოლებში ძირითადად ღარიბი ოჯახების წარმომადგენლები სწავლობდნენ. მექთებეში ისინი კითხვას, ანგარიშს და რიტუალის წესებს ეუფლებოდნენ, ირჩევდნენ რაიმე პროფესიას. მედრესეში სწავლობდნენ ის პირები, ვისაც რელიგიის

სამსახურში დარჩენა ჰქონდათ განზრახული. მედრესე შედგებოდა საწავლო დარბაზის, შეიხის ოთახისა და მოსწავლეების საცხოვრებელი სენაკისგან. სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას, შარიათს, არაბულ ენას [28, 156]. შეძლებული ოჯახები იყვევდნენ კერძო მასწავლებელს. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს აძლევდა დიპლომს _ ე.წ. «იჯაზას'', რომლითაც შეეძლო მეცნიერების გარკვეულ სფეროში მუშაობა და მასწავლებლობა. თორმეტ წლის ახალგაზრდას აძლევდნენ სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას, მაგრამ რასაკვირველია სამსახურეობრივ მოვალეობას ის მეურვის დახმარებით ასრულებდა [7, 276-277].

სირია-პალესტინის სამ ქალაქში _ დამასკოში, ჰალებსა და ანტოქიაში გაიხსნა დახურული სასწავლებლები, რომლებშიც მომავალ ოფიცრებს ამზადებდნენ. მსმენელებს, რომლებსაც სამხედრო ოფიცრები ასწავლიდნენ, ეცვათ ფორმა, ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებლებში. მეცადინეობა არაბულ ენაზე ტარდებოდა, ისწავლებოდა აღმოსავლური ენები, ისტორია და მათემატიკა. სტუდენტები იღებდნენ წოდებას «ეფენდი''. სასწავლებლებში დაახლოებით ათასი მოსწავლე ირიცხებოდა (დამასკოს სკოლაში 600 მსმენელი, ჰალებისაში კი 400-450) [108, 88; 117, 208]. სკოლების დირექტორი იყო ცნობილი ფრანგი ექიმი _ კლოტ-ბეი, რომელმაც მიიღო ინსტრუქცია იბრაჰიმ ფაშასაგან _ მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების გრძნობა ჩაენერგა [67, 97]. მთელ სირიაში გაიხსნა სამხედრო სკოლები, რომლებშიც რეკრუტებს წერა- კითხვას ასწავლიდნენ. ონბაშის (კაპრალი) ზემოთ სამხედრო ჩინის მისაღწევად საჭირო იყო ელემენტარული განათლების მიღება. სკოლები გაიხსნა რეკრუტთა შვილებისთვისაც [79, 203]. მუჰამედ ალიმ ხელფასი დაუნიშნა სასულიერო სკოლების მასწავლებლებს. ისინი საარსებო თანხას, აქამდე, ვაკფის შემოსავლიდან იღებდნენ. ტრადიციული ისლამური სკოლებისა და საოკუპაციო რეჟიმის მიერ გახსნილი სასწავლებლების გვერდით არსებობდა რელიგიურ უმცირესობათა (ქრისტიანები, ებრაელები) საგანმანათლებლო დაწესებულებები. დამასკოს ებრაულ თემს 10 პატარა სკოლა ჰქონდა. თითოეულში 8-13 წლის ასაკის 25-60 ვაჟი იღებდა განათლებას [117, 210]. XIXს. დასაწყისში, მარონიტების ეკლესიის პატრიარქის ინიციატივით ორ მონასტერში გაიხსნა სკოლა. შემდეგმა პატრიარქმა კიდევ სამი მონასტერი ქესრუანში 1827, 1830 და 1832 წლებში

გადააქცია სკოლებად.[24] 1833წ. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გახსნა თავისი პირველი სკოლა _ ტარაბლუსში __ ბალამანდის მონასტერში [79, 195].

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს თავიანთი საქმიანობა გააქტიურეს დასავლეთელმა მისიონერებმა როგორც კათოლიკური, ისე პროტესტანტული ორდენების წარმომადგენლებმა. 1834წ. ლაზარისტების ორდენმა[25] აინ-თურაში (ანთურა) დააფუძნა ფრანგული კათოლიკური სკოლა-კოლეგიუმი ინტერნატით, რომელსაც საშუალო საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა და არაბი კეთილშობილი ოჯახის შვილების აღსაზრდელად იყო განკუთვნილი. სწავლება მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე. მეორე ასეთი სკოლა გაიხსნა ჰალებში. საფრანგეთის მთავრობამ ამ სასწავლებლებში 40 სტიპენდიის დასაწესებლად გამოყო თანხა. მოგვიანებით, ლიბანში ბეირუთის ჩრდილოეთით მდებარე ღაზირაში არსებული დაწყებითი სკოლის ბაზაზე იეზუიტებმა[26] გახსნეს კათოლიკური სასულიერო სემინარია (1846-47წწ.) [65, 260]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისიონერთა რელიგიური მრწამსი წინააღმდეგობაში მოვიდა ადგილობრივ ქრისტიანულ რელიგიურ მიმართულებებთან. ღირსი ჰენრი ჯესუპი წერდა, რომ 1819 წ. პირველი ამერიკელი მისიონერები მოვიდნენ დასავლეთ აზიაში, მოიტანეს ქრისტეს მცნება და რომ მათი რელიგიური შეხედულებები განსხვავდებოდა სხვადასხვა აღმოსავლური ქრისტიანული სექტების მრწამსისაგან. ჯესუპი საძაგელ სანახაობად თვლიდა ბერძნულ ეკლესიაში მლოცველთა ბრბოების მოქმედებას, რომლებიც აკმევენ საკმეველს, ანთებენ სანთელს და დახატული დაფების წინაშე იხრებიან, მოკრძალებით კოცნიან მათ და პირჯვარს იწერენ. მიუხედავად მთელი რიგი ცდისა, მისიონერებმა ვერ შესძლეს ადგილობრივ ქრისტიანთა უმეტესობის რწმენის შერყევა. ასად ხაიათი, რომელიც 19ს. ევროპული ცივილიზაციის თაყვანისმცემელი იყო და პროტესტანტიზმსაც თანაუგრძნობდა აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანთა

---

[24] 1787წ. პატრიარქმა წმ. ანტონიას მონასტერში ქესრუანში გახსნა სასულიერო სემინარია. ორი წლის შემდეგ სემინარია საერო კოლეჯად გადაკეთდა. ამავე პერიოდში, ასეთივე ტიპის ბერძნულ-კათოლიკური სკოლა დაარსდა აინ - ტრაზში, ჯურდის რაიონში [79, 194].

[25] ლაზარისტები __ რელიგიური ორდენის წევრები. დაარსდა 1625 წელს ვინცენტ დე პოლის მიერ მისიონერული საქმიანობისათვის. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გააუქმეს. 1816წ. ორდენი აღდგა. სირიაში ისინი კათლიკური განათლების ორგანიზებას ეწეოდნენ. მათ ეკუთვნოდათკოლეგიუმები ჰალებსა და აინ-თურაში. ფინანსურად კათოლიკური ევროპის სახელმწიფოთა მეთაურები ეხმარებოდნენ [80, 324].

[26] იეზუიტების ორდენი დაარსა ესპანელმა აზნაურმა იგნატ ლაიოლამ 1834წ. პარიზში. პაპა პავლე II 1540წ 27 სექტემბერს დაამტკიცა ის სახელწოდებით « societus Jesu » _ იესოს საზოგადოება. ორდენის მიზანი იყო პაპის ინტერესების დაცვა, კათოლიციზმის გავრცელება და ერესთან ბრძოლა [84, 751].

არსებობა არის განსაცვიფრებელი საოცრება და რომ ისინი აღსდგნენ მრავალი პოლიტიკური ქარიშხალის, ტირანიის, დევნისა და იგნორირების მიუხედავადო. ამიტომ მისი აზრით, თუ არის სირიის დახმარების სურვილი ეს არ უნდა მოხდეს რელიგიური უთანხმოების ხარჯზე [89, 81].

XIXს. 30-იან წლებში სირია-პალესტინაში თავიანთი საქმიანობა გააქტიურეს ამერიკელმა მისიონერებმაც. 1834-35 წლებში მათ მისიონერ ტომსონის ხელმძღვანელობით ბეირუთში გახსნეს სკოლა და ეკლესია. 1860 წლამდე ამერიკული სკოლის მოსწავლე განათლებას იღებდა კლასიკურ არაბულ ენაზე. სწავლობდა ინგლისურ ენას, მათემატიკას, გეოგრაფიას, ქიმიას და ასტრონომიას [64, 269-271]. 1834წ. მისიონერ ელი სმიტის მეუღლემ ბეირუთში გახსნა სკოლა გოგონებისათვის. თავდაპირველად სკოლაში მხოლოდ 40 მოსწავლე იყო და ის იყო განთავსებული ამერიკული მისიის შენობის ერთ ოთახში. ეს სკოლა შეიძლება ჩაითვალოს ერთ - ერთ პირველ ამგვარ დაწესებულებად ოსმალეთის იმპერიაში. 1835წ. ზაფხულში ლიბანის მთიანეთში გაიხსნა მეორე სკოლა დრუზი გოგონებისათვის. 1835წ. ბოლოს 5 ასეთი სკოლა არსებობდა. მოსწავლეთა რიცხვი 300-ს აღწევდა [79, 204]. ამერიკელი მისიონერები იყვნენ «უცხოური მისიების საზოგადოების» წარმომადგენლები. ეს უმდიდრესი ორგანიზაცია სირიაში თავისი წევრების შესანახად ყოველწლიურად ხარჯავდა 50 ათას მანეთს ვერცხლით, რაც იმ ეპოქისათვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენდა. ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისევე როგორც ევროპის სახელმწიფოებს, თავისი ინტერესები ჰქონდა სირიაში. ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციაზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ევროპელი და ამერიკელი ვაჭრები შეისყიდიდნენ აღმოსავლურ პროდუქციას __ ნატურალურ აბრეშუმს, შალეულს, ზეითუნის ზეთს სირიის საპორტო ქალაქებში და მიჰქონდათ ევროპაში. ამგვარმა საქმიანობამ ხელი შეუწყო საპორტო ქალაქების ზრდა-განვითარებას, რის ნათელი მაგალითიცაა ბეირუთი, ეგვიპტის ჯარების შტაბის უფროსის, სულაიმან ფაშას რეზიდენცია. აქვე დაფუძდნენ უცხოური მისიებიც. 1832წ. ბეირუთის მოსახლეობა 8-10 ათას სულს შეადგენდა, ხოლო 1838წ. კი 15 ათას კაცამდე გაიზარდა. ის იყო ვაჭრობისა და ინდუსტრიის მზარდი ცენტრი საკონსულოებით, ვაჭართა კანტორებით, სასტუმროებით, კაფეებითა და საბილიარდოებით. 1830-40 წწ. მოგზაურებს ანცვიფრებდათ ქალაქის ევროპული სახე და მას «აღმოსავლეთის პარიზს»

უწოდებდნენ [65, 246-247; 97, 111-112]. 1834წ. ამერიკელმა მისიონერებმა კუნძულ მალტიდან ბეირუთში გადმოიტანეს სტამბა [70, 243]. აღმავლობას მხოლოდ ბეირუთი არ განიცდიდა. იგივე შეიძლება ითქვას დეირ ალ-კამარზეც. მე-18 ს. დასაწყისში ის რჩებოდა «პატარა, ჩამორჩენილ, დრუზებით დასახლებულ სოფლად», ამირა ბაშირ II-ის დროს კი გადაიქცა მოზრდილ ქალაქად 8 ათასი მცხოვრებით, რომელთა უმრავლესობასაც მარონიტები და ბერძენი კათოლიკები შეადგენდნენ. პოლკოვნიკი ჩერჩილი წერდა: «ვაჭრებმა ააშენებინეს შესაფერისი სახლები მარმარილოს ეზოებითა და შადრევნებით... მთელი ახლოს მდებარე მიწები დრუზების საკუთრება, მათ ხელში აღმოჩნდა. დეირ ალ-კამარის ქრისტიანები იყვნენ კმაყოფილნი კომერციული საქმიანობის სრული, დაუბრკოლებელი განვითარებით. მათმა ლიდერებმა დააგროვეს სიმდიდრე. მათი ცოლები და ქალიშვილები იცვამდნენ აბრეშუმსა და ატლასს, ელავდა ძვირფასეულობა, ოქრო, მარგალიტები და ბრილიანტები». იგივეს თქმა შეგვიძლია ქალაქებზე _ ზაჰლასა და ჰაზბაიაზე [97, 114-115].

სირია-პალესტინაში იგზავნებოდა, ეგვიპტეში 1822წ. დარსებულ ბულაკის სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა. არქივებში დაცულია სიები იმ წიგნებისა, რომლებიც სირიის სხვადასხვა ქალაქებში გაავრცელეს. ისინი მოიცავენ ლიტერატურას მათემატიკის, თეოლოგიის, მისტიციზმის, ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ასტრონომიის, ფიკჰის, რელიგიის შესახებ, აგრეთვე ლექსიკონებს. მისიონერმა ტომსონმა გამოსცა სირიის ძალზე საინტერესო და სასარგებლო აღწერილობა. ამ პერიოდშივე დაიწყო ამ ქვეყნის შესწავლა ევროპელი მეცნიერთა და მკვლევართა მიერ. 1838წ. ამერიკელმა არქეოლოგმა რობინსონმა მოაწყო სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიცია პალესტინაში [92, 748; 65, 265].

ეგვიპტის ფაშას მიერ გატარებულ ფართომასშტაბიან გარდაქმნებს სჭირდებოდა განათლებული კადრები. ინგლისელ ეკონომისტ ჯონ ბოურინგთან საუბარში ფაშამ განაცხადა: «მე ბევრი უნდა ვისწავლო ჩემს ხალხთან ერთად. მე ვგზავნი ახალგაზრდებს, რათა შეისწავლონ ყველაფერი, რაც შეუძლია მისცეს მათ თქვენმა ქვეყანამ. მათ უნდა იხილონ, გაიცნონ თქვენი მანუფაქტურები და შეეცადონ გაარკვიონ თუ რატომ გვჯობნით ჩვენ. როცა ისინი საჭირო ხანს დაყოფენ თქვენთან, დაბრუნდებიან და ასწავლიან ჩემს ხალხს”[112,199].1826 წლიდან ფაშა რეგულარულად გზავნიდა არაბ ახალგაზრდებს იტალიაში, საფრანგეთსა და

ინგლისში _ სამხედრო საქმის, ტექნიკის, აგრონომიისა და მედიცინის შესასწავლად [66,19].[27] ევროპიდან სამშობლოში დაბრუნებული ეს ახალგაზრდები იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს. ერთ-ერთი მათგანი იყო ბეირუთის მუჰაფიზი მუჰამედ ნამი ბეგი (1833-1840). მან ბრწყინვალე განათლება მიიღო საფრანგეთში. როგორც ბეირუთის ამერიკული ინსტიტუტის პროფესორი, დოქტორი ასად რუსტამი აღნიშნავდა: « მუჰამედ ნამი ბეგის დროს ბეირუთი ისუნთქავდა გამაცოცხლებელ ნიავს დასავლეთიდან, გამოიღვიძა საუკუნოვანი ძილისგან და პირველი ნაბიჯები გადადგა პროგრესისაკენ. მუჰამედ ალი, იბრაჰიმ ფაშა და მათი მსახური ნამი ბეგი იყვნენ პირველი ოსმალები, რომლებმაც ახალი იდეები შემოიტანეს" [112, 297-298]. 1837წ. კლოტ-ბეის ინიციატივით 10 ახალგაზრდა, მათ შორის 4 ლიბანელი ქრისტიანი გაიგზავნა კაიროში მედიცინის შესასწავლად. ამასთან, დიდ ქალაქებში _ აქქაში, საიდაში, დამასკოსა და ჰალებში, გაიხსნა საავადმყოფოები. ხოლო მცირე ქალაქებსა და სოფლებში მოძრავი სამედიცინო პუნქტები არსებობდა. სამედიცინო დახმარების სისტემა შექმნა კლოტ-ბეიმ იბრაჰიმ ფაშას დავალებით [79, 203]. როგორც ეგვიპტეში, სირიაშიც არსებობდა, საკარანტინო სამსახური, რომელსაც ეპიდემიების დროს ან პოლიტიკური მიზნებისათვის (საჭიროების შემთხვევაში საზღვრების ჩასაკეტად) იყენებდნენ. ცნობილია რომ აღმოსავლეთში ხშირად მძვინვარებდა სხვადასხვა სახის ეპიდემია. ეგვიპტე მათ «სამშობლოდ» ითვლებოდა. თუმცა მუჰამედ ალის სამსახურში მყოფი ექიმები ირწმუნებოდნენ, რომ ეპიდემიები სტამბოლიდან და ერზერუმიდან სამხრეთით სირია-ეგვიპტისკენ ვრცელდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების მეთვალყურეობის გარეშე, ვერც ერთი პირი ვერ შეაღწევდა სირიაში. სირია _ ეგვიპტეს შორის სწრაფი და რეგულარული ურთიერთობის არსებობას ემსახურებოდა საფოსტო სადგურები სირიის ტერიტორიაზე და სუეცის უდაბნოში. ქვეყანაში, სადაც არმია მუდმივ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ინფორმაციის სისწრაფესა და სიზუსტეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საფოსტო სისტემა გამართულად მუშაობდა. სადგურიდან სადგურში გადასაადგილებლად გამოიყენებოდა ცხენები, უდაბნოში კი აქლემები [2, 129-130].

---

[27] 1826 წელს მუჰამედ ალის მიერ საფრანგეთში გაგზავნილი 44 სტუდენტიდან სამი ქართველი იყო. მათგან ალი ეფენდი ალ-ქურჯიმ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, აღიდგინა ქართული გვარი და სახელი _ იოსებ წილოსანი. მისი შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება ის ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველ ქართველ ორიენტალისტად [87, 55-60].

მუჰამედ ალის მიერ გატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმას უამრავი ნაკლი ჰქონდა. ცვლილებები არ შეეხო ტრადიციულ, ისლამური განათლების სისტემას, რომელიც კვლავ რელიგიის წარმომადგენლების ხელში რჩებოდა [36, 110]. მაგრამ ფაშას საქმიანობის განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუჰამედ ალის, მიუხედავად განათლების სიმწირისა, კარგად ესმოდა რეფორმების გატარებისა და სიახლეების შემოტანის აუცილებლობა. რუსი დიპლომატი დიუგამელი მაღალ შეფასებას აძლევდა ფაშას: « მან არ იცოდა წერა და ცუდად კითხულობდა, მაგრამ მას ჰქონდა ის, რისი მოცემაც არ შეუძლია არანაირ განათლებას, საქმეში ალღო, ხალხის ცნობა და ჭკუა, რომელსაც უმაღლესი შეხედულებების გაზიარება შეეძლო. სულტანს რომ მისი მიმხრობა შეძლებოდა, ის ოტომანური იმპერიის ბურჯად იქცეოდა [5, 525]. ასევე დიდი შეფასება მისცა მუჰამედ ალის საქმიანობას რუსმა ექიმმა რაფალოვიჩმა, რომელიც წერდა: « მოხუცმა, უწიგნურმა, რომელსაც თავისი ცხოვრების 45 წლამდე არ ენახა სხვა ქალაქი, გარდა მშობლიური კავალლასი მაკედონიაში, არ იცნობდა სხვა ხალხს, გარდა მისი ნახევრადველური ამხანაგებისა და მამლუქებისა, არაფრისაგან შექმნა არმია და ფლოტი, დააარსა სამედიცინო, სამხედრო, პოლიტიკური და საინჟინრო სკოლები. ევროპელ _ გიაურებს მისცა უმაღლესი თანამდებობები და ტიტულები, დააარსა კარანტინები და სავადმყოფოები, შემოიღო აცრები და ნება დართო გვამების გაკვეთისა» [80, 331]. შეიძლება ითქვას, რომ მუჰამედ ალი იყო ერთ-ერთი პირველი ოსმალეთის იმპერიაში, ვინც არა-მარტო მიხვდა ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე განახლების აუცილებლობას, არამედ პრაქტიკულად განახორციელა იგი.

იბრაჰიმ ფაშა გამოცდილებით დარწმნდა, რომ კანონიერი ხელისუფლებისადმი მუსლიმთა მორჩილების უპირველესი პირობა, სამოქალაქო და სამხედრო რეფორმების წარმატების განმსაზღვრელი, რელიგიური ფანატიზმის შესუსტება იქნებოდა. სირია-პალესტინის ტერიტორიაზე მუსლიმი მოსახლეობის (სუნიტები, შიიტები, დრუზები) გვერდით ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქრისტიანული თემის წარმომადგენლები და ებრაელები. იბრაჰიმ ფაშა თვლიდა, რომ მუსლიმი უნდა იცნობოდეს მეჩეთში, ქრისტიანი ეკლესიაში. მეჩეთისა და ეკლესიის გარეთ კი ყველა თანასწორუფლებიანი ქვეშევრდომი იყო [2, 138-139]. ჯერ კიდევ, აქქის ალყის დროს მან გამოსცა ბრძანება პალესტინის ხელისუფალთა (მთავარი მოსამართლე, მოლა, უმაიანთა მეჩეთის შეიხი, მუფთი, ნაიბი) საყურადღებოდ: იერუსალიმის

ქრისტიანული და ებრაული წმიდა ადგილები გათავისუფლდნენ გადასახადისაგან. ეს ბრძანება გახდა შემდგომში სამოქმედო პროგრამა იბრაჰიმ ფაშას ურთიერთობისა რელიგიურ უმცირესობებთან. ოსმალთა რეჟიმის დროს, მარტო ერთი ბერძნული მონასტერი «წმიდა ადგილის» ფლობის უფლებისათვის იხდიდა ათას ქისას (დაახ. 100-120 ათასი მანეთი ვერცხლით), ხოლო სპეციალური გადასახადი ანუ ქაფფარი, რომელსაც ერთი პილიგრიმი იხდიდა, შეადგენდა 500 პიასტრს. ამის გარდა, ვალის და მისი ამალის წევრებზე ქრთამის სახით, იხარჯებოდა დაახლოებით 500 ქისა, იერუსალიმის ყადიზე _ 200 ქისა, დაახლოებით ამდენივე იერუსალიმის მუსეილიმსა და მის ამალაზე, ქათიბებზე, მაჰქამას წევრებზე. წელიწადში 500 ქისას ურიგებდნენ გავლენიან მუსლიმ ოჯახებს, რათა მათ მფარველობა გაეწიათ მართლმადიდებლური მონასტრისათვის. ყველაზე მძიმე გადასახადი იყო ჯერემე ანუ ვალის, ყადის ან მუსეილიმს მიერ ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში (მონასტრისათვის სახურავის შეკეთება, მინის ჩასმა და ა. შ.) შეწერილი გადასახადი [2, 88-89]. ჯერემე შეიძლება 10, 50 ან 100 ათასი პიასტრი ყოფილიყო. ზოგჯერ ფულის გამოძალვის საბაბი ხდებოდა ეჭვი, რომ ადგილობრივ ქრისტიანულ სამღვდელოებას კავშირი ჰქონდა ამბოხებულ ბერძნებთან.[28] ამის ნიადაგზე ფაშა თხოულობდა 500 ან ათას ქისას განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასულიერო პირებს ჩამოხრჩობით ემუქრებოდნენ. ამიტომ გასაგებია, რომ ქრისტიანულმა მონასტრებმა ოქროსა და ვერცხლის ზოდებად აქციეს დაახ. 2 ათასი ფუთი ვერცხლისა და 40 ფუთი ოქროს საეკლესიო ნივთები ჯერ კიდევ ბერძენი იმპერატორების მიერ შეწირული. ამის მიუხედავად მათ ვალად დაედოთ 30 ათას ქისამდე. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დამყარების დროს, ეკლესიებს ჰქონდათ ებრაელების, სომხებისა და მუსლიმების ვალი, რომლებიც მოითხოვდნენ მონასტრების გაყიდვას. ქრისტიანული სამღვდელოება და ეპისკოპოსები ითმენდნენ საშინელ სიღატაკესა და დამცირებას [2, 97-98]. ამდენად გასაგებია ის აღტაცება, რომლითაც სირიის რელიგიური

[28] ამ ეჭვს გარკვეული საფუძველიჰქონდა. საბერძნეთის აჯანყების დროს, გავლენიანი ქრისტიანი ვაჭრები დამასკოში რეპრესირებულ იყვნენ. ასეთივე ბრალდება წაუყენეს ბეირუთელ ქრისტიანებს, მას შემდეგ რაც 13 ბერძნულმა გემმა დესანტი გადასხა ბეირუთში აჯანყების მოწყობისათვის. 1823წ. ბეთლემის ანტითურქული ამბოხება სავარაუდოდ საბერძნეთის აჯანყების გავლენით მოხდა. აქქის ფაშამ _ აბდალლაჰმა ორი უძველესი ბერძნული და ლათინური მონასტერი დაანგრევინა იმ საბაბით, რომ ქრისტიანებს მათი სიმაგრეებად გადაქცევა სურდათ. რუსი მოგზაური სენკოვსკი წერდა რომ აბდალლაჰ ფაშამ ლიბანის მთები მარონიტების ცრემლითა და სისხლით მორწყა. 1821წ. ოსმალეთის ხელისუფლებამ კონსტანტინეპოლის სამღვდელოება და მართლმადიდებლური მოსახლეობა აჯანყების თანაგრძნობაში დაადანაშაულა [2, 89 ; 12, 31-39].

უმცირესობები შეეგებნენ იბრაჰიმ ფაშას, რომელსაც «მეორე მხსნელს» უწოდებდნენ.[29] ინგლისის აგენტი სირიაში რიჩარდ ვუდი იტყობინება ეგვიპტის ხელისუფლებისადმი სირიის ოთხი პატრიარქის მიერ აღვლენილი სამადლობელო ლოცვის შესახებ. ნეოფიტ კვიპროსელი წერდა: «პტოლემიადის[30] აღება აღინიშნა სიმღერითა და მუსიკით, მოედნებსა და ქუჩებში ზედიზედ ხუთი ღამის განმავლობაში. ზეიმში იერუსალიმის ყველა მცხოვრები მონაწილეობდა: თურქები, ბერძნები, სომხები, ფრანგები და ებრაელებიც კი. ყველას უხაროდა და მხიარულობდა, თვლიდა რა ეგვიპტელთა მმართველობას თავისუფლებად» [64, 235]. იბრაჰიმ ფაშამ ზოგ შემთხვევაში მუქარით, ზოგჯერ კი ხერხით მოახერხა რჯულშემწყნარებლური პოლიტიკის გატარება. მისი ბრძანებით, ვინც გაბედავდა პილიგრიმებისაგან ფულის აღებას ხელს მოკვეთდნენ. იაფადან _ იერუსალიმამდე გზას აბუ ღუშის ტომი აკონტროლებდა. ერთ პილიგრიმს გზის ამ მონაკვეთის გავლა ოსმალურ პერიოდში 90 ფარა უჯდებოდა.[31] როგორც ბაზილი იტყობინება, არაბებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს სერ-ასქერის ბრძანება. ისინი მოითხოვდნენ პილიგრიმებს ფული მიწაზე დაეყარათ და მათი წასვლის შემდეგ იღებდნენ მიწიდან. იბრაჰიმ ფაშამ, რათა მისი ბრძანების არსი განემარტა, რამდენიმე არაბს ხელი მოჰკვეთა, რის შემდეგაც კანონი არავის დაურღვევია. ამასთან, ფაშამ ფულადი კომპენსაცია დაუნიშნა აბუ ღუშის ტომს, რომელსაც უნდა უზრუნველყო გზის სრული უსაფრთხოება. ამ ღონისძიებამ გამოიწვია მლოცველთა რაოდენობის გაზრდა ოკუპაციის მეორე და მესამე წელს 10 ათას კაცამდე, ამათგან 3 – 4 ათასი იყო ბერძენი, ხოლო 5 – 6 ათასი სომეხი პილიგრიმი [2, 98; 64, 237]. შემდეგ წლებში მლოცველთა რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია. პილიგრიმობა ამდიდრებდა სირია – პალესტინის ქალაქებს. ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა, ხაზინამ დიდი შემოსავალი მიიღო.

---

[29] მხოლოდ ლიბანში მუსლიმების გვერდით (შიიტები, სუნიტები, დრუზები) ცხოვრობდნენ _ მართლმადიდებლები, კათოლიკები, მარონიტები, სომეხი-გრიგორიანელები და ებრაელები [78, 5-16].

[30] აქქა _ ფინიკიელთა სავაჭრო ქალაქი, პირველად მოიხსენიება ძვ. წ.-აღ-ის XVს. ჩვ. ერამდე IIIს. ქალაქი შევიდა პტოლემეების ეგვიპტის სახელმწიფოში და დაერქვა პტოლემიადა. XIIIს. ჯვაროსნებმა მას სენ ჟან დ'აკრ უწოდეს [80, 322].

[31] ფარა _ ოსმალური ფულის ერთეული, რომელიც შემოიღო სულთანმა მურად IV 1623წ. თავდაპირველი მასა იყო 1, 10გრ. და 4 ახჩას უტოლდებოდა. XVIIIს. დასასრულიდან დაკნინდა და მისი მასა 0, 77 გრ-მდე დაეცა. ფარა ფართობის ერთეულიც იყო [18, 225].

მოსახლეობა დარწმუნდა, რომ გაცილებით უფრო მომგებიანი იყო პილიგრიმობის ხელის შეწყობა, ვიდრე მლოცველების ძარცვა.

იბრაჰიმ ფაშას შეხედულება მისი ქვეშევრდომების რელიგიური მრწამსის შესახებ შემდეგი იყო: მუსლიმებიცა და ქრისტიანებიც _ ყველანი არიან ჩვენი ქვეშევრდომები. მათი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის საკითხი არ შედის ხელისუფლების კომპეტენციაში [64, 239]. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს გაუქმდა დისკრიმინაციული შეზღუდვები. არამუსლიმებს ნება დაერთოდ ჩაეცვათ ნებისმიერი ფერის სამოსი, დაეხურათ თეთრი ჩალმა, ცხენით გაევლოთ ქალაქში. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა, სასტიკად ისჯებოდა. დამასკოში პირველივე დარვიში,[32] რომელმაც თეთრი ჩალმით მოსილ ქრისტიანს შეურაცხყოფა მიაყენა მათრახის ასი დარტყმით დაისაჯა ფაშას ბრძანებით [2, 138]. სოფელ აბატიას მცხოვრები რვა ბავშვი, რომლებმაც ქვები ესროლეს მართლმადიდებელ მლოცველებს იერუსალიმი _ ნაზარეთის გზაზე, გაწკეპლეს და გამოსასწორებელ სამუშაოზე გაგზავნეს.

ქრისტიანულ და ებრაულ თემებს მიეცათ უფლება აღედგინათ თავიანთი ეკლესია-მონასტრები და ახლებიც კი აეშენებინათ [19,85]. ფანატიკოსების მიერ საკულტო ნაგებობების დაზიანება მკაცრად ისჯებოდა. ქრისტიანმა არაბმა ისტორიკოსმა იგნატიუს ალ-ჰურიმ აღწერა შემთხვევა, როცა ტრიპოლის მახლობლად მდებარე სოფელ კალამენის მცხოვრებნი თავს დაესხნენ სამხრეთით მდებარე საიდათ ან-ნატურის მონასტერს, გაძარცვეს ის, ბერები გააძევეს, ხოლო მონასტრის წინამძღვარი გაკოჭილი და თავშიშველი, ფეხშიშველი ტარაბლუსში ჩაიყვანეს. იბრაჰიმ ფაშამ პირადად დაკითხა ამ სოფლის შეიხები. თითოეული მათგანი ფიზიკურად დასაჯა და მონასტრის სასარგებლოდ 17 ათასი პიასტრის გადახდა დაავალა. თვით ფაშამაც ამავე რაოდენობის თანხა დაამატა საკუთრივ ზარალის ასანაზღაურებლად [64, 238]. ამერიკელი მისიონერი ელი სმიტი 1835წ. დეკემბერში წერდა: « ქრისტიანულმა თემმა აშკარად თავი დააღწია მოულოდნელი დაპატიმრებისა და სამხედრო ბეგარის შიშს» [97, 110].

---

[32] დარვიში (სპარსულად) _ არაბ. ფაკირი _ მუსლიმი ბერი, სუფიზმის მიმდევარი (სუფიზმი _ სხვადასხვა მისტიურ - ასკეტურ მიმდინარეობათა სახელი ისლამში. სუფიები ერთიანდებოდნენ ორდენებში _ ტარიკატები, რომლებიც ხალხში დიდი აღიარებით სარგებლობდნენ. სუფი – მოხეტიალე ასკეტის ან მქადაგებლის სამოსი იყო) [2, 307; 1, 736].

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი იცავდა არამუსლიმი მოსახლეობის პირად თუ ქონებრივ უსაფრთხოებას. 1834წ. პალესტინის აჯანყების დროს, მუსლიმი მოსახლეობა თავს დაესხა ებრაელებს, ძარცვავდა და ხშირად კლავდა მათ. ჰუქუმდარმა შერიფ ფაშამ ჯარი გაგზავნა ამგვარი ქმედების აღსაკვეთად. ებრაელებმა დახმარებისათვის მიმართეს ევროპის სახელმწიფოთა საკონსულოებს. ინგლისის წარმომადგენელმა კემპბელმა თავის მთავრობას გაუგზავნა ევროპის ქვეყნების მიერ ებრაელების დასახმარებლად გაგზავნილი თანხების სია პიასტრებში:

გერმანელები	1,536,936	ავსტრიელები	425,651
ფრანგები	1, 390, 156	რუსები	344,160
პრუსიელები	980,101	ბერძნები	344,084
ტოსკანელები	733, 730	სხვა ერები	40,951

სულ 5,797,770 პიასტრი

თავის მხრივ, ამირა ბაშირმაც დაიწყო მოსახლეობისაგან თანხის შეგროვება, რითაც შესაძლებელი გახდა 864,494 პიასტრის ანაზღაურება. უნდა ავღნიშნოთ, რომ ზარალი გაორმაგებულად უჩვენეს ებრაელებმა [118, 189-190].

ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმმა წერტილი დაუსვა სირიის პოლიტიკურ კარჩაკეტილობას, გახსნა სანაპირო ზოლი ევროპელი ვაჭრების, მოგზაურებისა და მისიონერებისათვის, რომლებსაც სახალხო უსაფრთხოება და რელიგიური შემწყნარებლობა საშუალებას აძლევდა ჩასულიყვნენ ამ რაიონში [89, 68]. დამასკოსა და იერუსალიმში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა საკონსულოები. 1833წ. დამასკოში დიდი ზეიმით შევიდა ბრიტანეთის კონსული. მუსლიმი მოსახლეობა აშკარა არაკეთილგანწყობით ადევნებდა თვალს ცხენებზე ამხედრებულ ქრისტიანთა მსვლელობას. თვითმხილველთა გადმოცემით, კონსული იჯდა წმიდა სისხლის ბედაურზე, ქუდი შემკული ჰქონდა თეთრი და წითელი ფრთებით, რომლებიც ბრილიანტებით იყო დამაგრებული. ამ მსვლელობას იცავდა ეგვიპტის არმია. 1838წ. იერუსალიმშიც გაიხსნა ბრიტანეთის საკონსულო, ხოლო 1841წ. ბოლოს კი ანგლიკანური ეპარქია დაარსდა [108, 85; 104, 359].

რელიგიურ უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები. ჯერ კიდევ სირიის ოკუპაციამდე, მუჰამედ ალი სამსახურს სთავაზობდა როგორც ადგილობრივ, ისე სირიელ და ბერძენ ქრისტიანებს. მან მარონიტი ნიკულა მასაბკი დამასკოს ცნობილი ოჯახიდან

სასწავლებლად იტალიაში გაგზავნა, იქიდან დაბრუნებული კი გახდა ბულაკის სტამბის დამფუძნებელი [64, 229]. სირიის მმართველობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ბერძენი კათოლიკე ჰომსიდან ჰანნა ბაჰრი ბეი, რომელიც ატარებდა ბეგის ტიტულს და ჰქონდა მირ ლივას ჩინი. იგი სარგებლობდა მუჰამედ ალისა და იბრაჰიმ ფაშას ნდობით. ყოველწლიურად ჰანნა ბაჰრი 300 ათას პიასტრს იღებდა და ითვლებოდა იბრაჰიმ ფაშასა და შერიფ ფაშას შემდეგ, სირიის ადმინისტრაციაში ყველაზე მაღალ შემოსავლიან ჩინოვნიკად. მისი ხელფასი სამჯერ აღემატებოდა დამასკოს მუთასალიმის შემოსავალს. მის ძმას _ ჯერმანუსს ეკავა ჰალების მუდირიის ფინანსური უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა. ის 90 ათას პიასტრს იღებდა ყოველწლიურად. თანამედროვეთა გადმოცემით, ჰანნა ბაჰრი ბეი ცხოვრობდა ისეთ ფუფუნებაში, როგორის შესაძლებლობაც ჰქონდა « მხოლოდ ძალიან მდიდარ მუსლიმს» [64, 242; 103,66]. მის ფინანსურ უწყებაში მუშაობდნენ კოპტები და ადგილობრივი ქრისტიანები.

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები მაჯლისების მუშაობაშიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, დამასკოს მაღალ დივან მაშურას 21 წევრიდან ერთი _ მიხაილ ქაჰილი იყო ქრისტიანი, ერთიც ებრაელი. მაჯლისს ჰანნა ბაჰრი ხელმძღვანელობდა. კონსულ ვერის ინფორმაციით, ალეპოს მაჯლისის შემადგენლობაში ცხრა ადგილობრივი, სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების ვაჭარი შედიოდა. ჰომსის მაჯლისს ქრისტიანი ხელმძღვანელობდა. ბეირუთში დივანის 13 წევრიდან 6 _ ჯიბრაილ ჰუმსი, ბიშარ ნასრალი, ილიას მუნსი, ნასიფ მატრი, იუსუფ აირუთი და მუსა ბუტროსი ქრისტიანები იყვნენ [64, 244; 49, 44]. ჰაურანში მთელი ჩინოვნიკური აპარატი შედგებოდა ყოფილი ზიმიებისაგან, რომლებიც ცხენებზე ისხდნენ და ეცვათ ძვირფასი სამოსი. ჰალებისა და აინთაბის ხაზინადარები _ ხავაჯა შუქრი და მუალიმ ჰანაც ქრისტიანები იყვნენ. მირის აკრეფაზე პასუხისმგებელი იყო ბერძენი მართლმადიდებელი ნიკულა დაჰირი [64, 249].

რელიგიური ფანატიზმის შესუსტებითა და სწორი საგადასახადო პოლიტიკით ისარგებლეს როგორც უცხოელმა, ისე ადგილობრივმა ქრისტიანმა და ებრაელმა ვაჭრებმა. მთიანი ლიბანის ერთ-ერთ სოფელში (სოფ. ბტეტერი) სამხრეთ საფრანგეთის სავაჭრო ოჯახის წარმომადგენელმა პორტალისმა გახსნა აბრეშუმის ფაბრიკა. მას ფინანსური მხარდაჭერას უწევდა მდიდარი ვაჭარი პასტოსი, ხოლო

მფარველობდნენ ადგილობრივი დრუზი შეიხები _ აბდ ალ-მალიქები [80, 344]. 1839წ. ბეირუთის სავაჭრო ფირმების ნახევარი უცხოელებს ეკუთვნოდათ, დარჩენილის დიდი ნაწილი კი ადგილობრივ ქრისტიან ვაჭრებს. ჰალებში ევროპასთან სავაჭრო კავშირების მქონე 30-მდე ვაჭარს ჰქონდა 1 მლნ. პიასტრის კაპიტალი თითოეულს. მათ შორის ყველაზე მდიდარი კი 3-4 მლნ. პიასტრს ფლობდა, რაც წარმატებული მუსლიმი და ებრაელი კონკურენტების ქონებას რამდენჯერმე აღემატებოდა. დამასკოში 24 მდიდარი ებრაელი ვაჭარი ერთობლივად 16-18 მლნ. პიასტრის კაპიტალს ფლობდა. 29 ქრისტიან ვაჭარს ჰქონდა 4,5 _ 5,5 მლნ. პიასტრი, ხოლო 66 მუსლიმს 20-25 მლნ. [64, 248]. ჰალების მსხვილ ბერძენ-კათოლიკე ვაჭრებს სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო ევროპასთან, არამედ ურფასთან, დიარბექირთან, მოსულსა და ბაღდადთან.

მუჰამედ ალის ზრუნვა ქრისტიანებისა თუ ებრაელების მიმართ იყო ერთი მხრივ ცდა მიეღწია ევროპის მხარდაჭერისათვის მისი ექსპანსიონისტური ამბიციებისადმი და ქმნიდა კონტრასტს სულტნის რელიგიურ პოლიტიკასთან. აგრეთვე ეს წარმოადგენდა პირველ აღიარებას მუსლიმი სახელმწიფო ლიდერის მიერ, რომ შარიათი (მუსლიმური სამართალი) დისკრიმინაციას უწევდა სხვა რელიგიის წარმომადგენლებს [89, 68]. მუჰამედ ალიმ საზეიმოდ განუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს ბარონ ბუალეკომტს თავისი რელიგიური შეხედულებების შესახებ: « ჩემი რწმენა და სინდისი მკარნახობენ, რომ ყველას შეეძლოს ჩემს სამფლობელოებში თავისუფლად აღასრულოს ადამიანის უპირველესი ვალდებულება _ თაყვანი სცეს თავის შემოქმედს. ...მე ბოლო მოვუღე ყველა დამცირებას, რომლებსაც პორტა ქრისტიანებს აყენებდა. მათ ჩემამდე თავიანთი ეკლესიების აღდგენის ნებაც კი არ ჰქონდათ»[64, 221].

რჯულშემწყნარებლურმა პოლიტიკამ თავდაპირველად პოპულარობა მოუტანა საოკუპაციო რეჟიმს რელიგიურ უმცირესობებს შორის, მაგრამ გააღიზიანა მუსლიმი მოსახლეობა, რომლებიც ამბობდნენ « დამთავრდა ისლამური სახელმწიფო და დაიწყო ქრისტიანული» [115, 134]. იბრაჰიმ ფაშამ რელიგიური ფანატიზმის შესუსტებასთან ერთად გარკვეულად შელახა მუსლიმთა რელიგიური გრძნობები. ფაშა და მისი ამალა იშვიათად ჩნდებოდა მეჩეთში, არ ასრულებდა ლოცვებს და არ იცავდა რამადანის მარხვას, ეგვიპტის არმიაში არ იყვნენ იმამები. მრავალმა

ევროპელმა დაათვალიერა ომარის ცნობილი მეჩეთი იერუსალიმში[33], რომელიც მექის შემდეგ მეორე წმიდა ადგილად ითვლება მუსლიმთათვის. 1834წ. იბრაჰიმ ფაშა დაესწრო იერუსალიმში უფლის საფლავთან არსებულ მონასტერში ღვთიური ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალს. ქრისტიანები დაუფარავად აღნიშნავდნენ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებს. ფრანგი პოეტი ალფონს დე ლამარტინი, რომელმაც 1833წ. ზაფხულში მოინახულა დამასკო წერდა: «ზოგიერთი ქრისტიანი ბოროტად იყენებს დამყარებულ რჯულშემწყნარებლობას და შეურაცხყოფს თავის მოწინა- აღმდეგეებს, არღვევს მათ წესებს და აღვივებს ფანატიკურ განწყობას.» ამის აშკარა დადასტურება იყო დამასკოში, ისლამის ამ ციტადელში, 1834წ. აღდგომას 400 მარონიტის მიერ მოწყობილი საზეიმო მსვლელობა ჯვრებითა და გალობით _ «ქრისტე აღსდგა». მათ მთელი დამასკოს ცენტრი შემოიარეს და მუსლიმებში სიბრაზისა და სიძულვილის გრძნობა გააღვივეს [64, 238-239]. მუსლიმთა თემი უკიდურესად შეურაცხყო ფირდეს შემოღებამაც. ისინი მკვდრებს შენატროდნენ და გაიძახოდნენ «უმჯობესია სიკვდილი». ყოველივე ამან მუსლიმებში გამოიწვია უკიდურესი პროტესტის გრძნობა საოკუპაციო რეჟიმისადმი. დავიწყებას მიეცა იბრაჰიმ ფაშას დამსახურება, როგორც ვაჰაბიტების წინააღმდეგ წარმატებული მებრძოლისა, ასევე მისი მონაწილეობა ყოველწლიურად ჰაჯის მოწყობაში მუსლიმთა რელიგიურ ცენტრებში _ მექასა და მედინაში. მუსლიმები სერიოზულად ეჭვობდნენ, რომ იბრაჰიმ ფაშა განუდგა ისლამს. მუსლიმი მოსახლეობის გაღიზიანება შემდეგში აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მიუხედავად რელიგიური და პოლიტიკური მხარდაჭერისა, რომლითაც ქრისტიანული თემი სარგებლობდა, ის მაინც არ იყო ახალი ხელისუფლების საიმედო მოკავშირე. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადასახადების გაზრდამ, სამხედრო გაწვევის შემოღებამ და განიარაღების მოთხოვნამ მათი უკმაყოფილება გამოიწვია. ქრისტიანებს და კერძოდ მარონიტებს უფრო ეშინოდათ ახალი ხელისუფლების, ვიდრე ენდობოდნენ მას. «რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ მუჰამედ ალის წინააღმდეგ? _ ამბობდნენ ისინი. ეგვიპტელების მოსვლამდე, როცა აქქის ფაშა აკრძალავდა

[33] ალ-მასჯიდ ალ-აკსა (უშორესი მეჩეთი) – ალ-ჰარამ აშ-შარიფის სამხ. ნაწილში. გაიგივებულია იმ ადგილთან, სადაც ყურანის თანახმად ბურაკზე ამხედრებულმა მუჰამედმა მექიდან ღამით შეასრულა სასწაულებრივი მოგზაურობა. პირველი მცირე მეჩეთი ამ ადგილას ხალიფა ომარ I (613-644წწ) ააგო. ხალიფა ალ-ვალიდის (705-715წწ.) დროს ის შეცვალა კაპიტალურმა ნაგებობამ, რომელიც შემდეგ არაერთხელ იქნა რესტავრირებული. ალ-მასჯიდ ალ-აკსა კუბათ ას-საჰრასთან ერთად, თავისი მნიშვნელობით მესამე სალოცავია ისლამში მექისა და მედინის შემდეგ [25, 128].

ჩვენთვის ხორბლის მოწოდებას, ჩვენ დამასკოს ფაშასაგან ვყიდულობდით. ეხლა მთელი ქვეყანა მუჰამედ ალის ეკუთვნის. მისი ერთი ბრძანება საკმარისია, რომ ჩვენ ყველანი შიმშილით დავიხოცოთ» [64, 253]. მარონიტების ეს სიტყვები ნათლად ასახავს ქრისტიანი მოსახლეობის დამოკიდებულებას საოკუპაციო რეჟიმისადმი, რაც აშკარა გახდა ლიბანის 1840წ. აჯანყების დროს, როცა ქრისტიანები მუსლიმთა მხარდამხარ გამოდიოდნენ ეგვიპტის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავი მეოთხე

იბრაჰიმ ფაშას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა სირიაში და მისი შედეგები.

სირიის ეკონომიკური აღმავლობისა და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას. ოსმალურ პერიოდში არსებობდა შემდეგი სახის გადასახადები:

1) მირი _ მიწის გადასახადი.
2) ხარაჯა _ სულადობრივი გადასახადი, იკრიფებოდა არამუს- ლიმთაგან. [34]
3) ილთიზამებიდან ამოღებული გადასახადები _ სახელმწიფო მიწაზე დაწესებული თანხა, ბაჟი საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე, ხელოსნებისაგან მოკრეფილი გადასახადი.[35]
4) მონოპოლიები _ აქაც, ისევე როგორც მთელ ოსმალეთის იმპერიაში ვრცელდებოდა ზოგიერთ პროდუქტზე ფაშას შეხედულებისამებრ.
5) ფაშას მიერ შეწერილი გადასახადი ქალაქის, რაიონის, სოციალური ფენის თუ ზოგიერთი პირისათვის [2, 127].

ეს უკანასკნელი გადასახადი, რომელიც მხოლოდ პროვინციის გამგებლის გამდიდრებას უწყობდა ხელს, საერთოდ გაუქმდა. ეგვიპტის საოკუპაციო მმართველობის დროს გადასახადებს კრეფდა ცენტრალიზებული ფინანსური უწყება, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლები გადაიქცნენ ამ უწყების აგენტებად, რომლებიც

[34] ხარაჯა – თავდაპირველად მიწაზე დაწესებული გადასახადი. არსებობდა ხარაჯა მისაჰა და ხარაჯა მუკასამა. XVIIIს.-ის დასასრულიდან შეერწყა ჯიზიას და გახდა სულადობრივი გადასახადი [26, 436; 99, 119].

[35] ილთიზამი _ ფეოდალური მამული. მულთაზიმი _ ილთიზამის მფლობელი. მულთაზიმი კრეფდა გადასახადს გლეხებისაგან და ხაზინაში იხდიდა განსაზღვრულ თანხას მიწის გადასახადის _ მირის. თანხას, რომელიც თვით მულთაზიმს რჩებოდა ეწოდებოდა ფაიზი [56, 37].

იღებდნენ განსაზღვრულ ხელფასს, რაც აკრეფილი საგადასახადო თანხის 10%-ს არ აღემატებოდა. [50, 155][36].

ოსმალეთის იმპერიაში საბაჟო ტარიფები არ იყო მტკიცედ განსაზღვრული. ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ უზრუნველყოთ დაბალი საბაჟო გადასახადი თავიანთი ვაჭრებისთვის. უცხოელთათვის მაქსიმალური იყო 3%, მაშინ როცა ადგილობრივი ვაჭარი იხდიდა 12%-ს. 1521 წელს სულაიმან I-ის დროს კაპიტულაციური უფლებები მიიღეს ვენეციელებმა, 14 წლის შემდეგ, 1535წ., საფრანგეთის მოქალაქეებმაც, 1580 წელს კი უკვე ინგლისელებმა. 1569-1581წწ. საფრანგეთის მფარველობაში გადავიდნენ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ევროპელი კათოლიკეები [78, 31]. XVII საუკუნიდან ფრანგი ვაჭრები ოსმალეთის იმპერიაში იხდიდნენ იმპორტისა და ექსპორტის 3%. სხვა ევროპელი და ადგილობრივი ქრისტიანი ვაჭრები სარგებლობდნენ მათი სახელით სავაჭრო ოპერაციების წარმოების დროს, რისთვისაც საკომისიოდ მოგების 1% იღებდნენ. საფრანგეთის კონსული ჰალებში უჩიოდა ზოგიერთი ფრანგის სიხარბეს, რომლებიც საკომისიო თანხისთვის ნებას რთავდნენ უცხოელებს, იქნებოდნენ ესენი ინგლისელები თუ სულტნის ქვეშევრდომები, ესარგებლათ მათი სახელით ევროპაში საქონლის გასაგზავნად და ამით ეროვნულ ვაჭრობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ [89, 34-35]. იბრაჰიმ ფაშამ გამოაშკარავებინა კონსულების მიერ მათი პრივილეგიების დამახინჯების ფაქტები. ადგილობრივი ვაჭრები სარგებლობდნენ უცხოურ საკონსულოთა მფარველობით, იმისთვის რომ გვერდი აევლოთ გადასახადების გადახდისათვის. ეს პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ სირიაში და განსაკუთრებით ბეირუთში, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საპორტო ქალაქად გადაიქცა ამ პერიოდში.

სირიელი ვაჭრების უმეტესობა უფრო ხელსაყრელად მიიჩნევდა უცხოელთათვის მუშაობას, ვიდრე დამოუკიდებელი ბიზნესის წარმოებას. სირიაში დიდი მოთხოვნილება იყო ფრანგულ ქაღალდზე, ავსტრიულ მინის ჭურჭელზე, ბრიტანულ მანქანური წარმოების ტანსაცმელზე, რომელიც ადგილობრივ ნაწარმზე გაცილებით იაფად იყიდებოდა. ამან დიდი ზიანი მიაყენა ტრადიციულ სამრეწველო დარგებს სირიაში [108, 77-86]. ახალ პერიოდში საფეიქრო მრეწველობა შენარჩუნდა

[36] ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო პირები წარმომავლობისდა მიუხედავად სამსახურისთვის იღებდნენ თიმარებსა და ზეამეთებს და ქმნიდნენ სამხედრო-ბიუროკრატიულ ელიტას [58, 62-65]..

დამასკოში, ჰალებში, ჰიმსში, ჰამაში, ტრიპოლში, საფადსა და ბაალბექში, გაქრა სურსა და რუსაფაში. მინას აწარმოებდნენ დამასკოში, ჰალებსა და ჰებრონში. საპნის ხარშვა, იარაღის და ქაღალდის წარმოება დაქვეითდა [83, 206].

იბრაჰიმ ფაშას მიერ მტკიცედ დაფიქსირდა საბაჟო ტარიფები. ფაშების თვითნებობის შეზღუდვის შემდეგ, ვაჭრისა თუ ხელოსნის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. როგორც ბაზილი ამტკიცებს, უკვე ოკუპაციის მეორე წელს ჰალებიდან და იერუსალიმიდან ბეირუთში ოქროთი დატვირთული კურიერები დაცვის გარეშე გადაადგილდებოდნენ [3, 259]. მათთვის ცნობილი იყო თუ რა სახის, რა რაოდენობის გადასახადი უნდა გადაეხადათ, დარჩენილ კაპიტალს კი ბრუნვაში უშვებდნენ. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის დროს გაიზარდა სატრანზიტო ვაჭრობა. სირიის ტერიტორიის გავლით გაჰქონდათ ინგლისური წარმოების ქსოვილები ირანსა და ინდოეთში. ყოველწლიურად 2000 კანტარი შალი გაჰქონდათ სირიიდან მარსელში, ლივორნოსა და ტრიესტში. როგორც ბაზილი აღნიშნავდა, ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად, სირიის ვაჭრობა გაათკეცდა, ხოლო საბაჟო შემოსავლები გაოთხმაგდა. 1827წ. ბეირუთში 34 სავაჭრო ფირმა არსებობდა, ამათგან 21 ლიბანელებს ეკუთვნოდათ. უკვე 1839 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 67-მდე, რომელთაგან საკუთრივ ლიბანური 34 იყო [82, 11]. ვაჭრობის გაფართოვებამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას. საიდა, ბეირუთი და ტრიპოლი გადაიქცნენ სავაჭრო ცენტრებად, სადაც ადგილობრივი წარმოების პროდუქტის (ნატურალური აბრეშუმი, ზეითუნის ზეთი) გადაცვლა ხდებოდა ევროპულ სამრეწველო ნაწარმზე. 30-იანი წლების ბოლოს ყველაზე მსხვილი კაპიტალის მფლობელები იყვნენ ევროპასთან და ბაღდადთან სავაჭრო კავშირის მქონე ვაჭრები. მათ ეკუთვნოდათ 1,5-დან _ 2,5-მდე მლნ. პიასტრი [83, 100].

სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის, იბრაჰიმ ფაშამ 10 წლის ვადით გაათავისუფლა გადსახადებისგან ყველა ის პირი, ვინც ყამირ მიწებს დაამუშავებდა. მიტოვებულ მიწებზე ფაშა ასახლებდა მომთაბარე ტომებს. ამ პოლიტიკის შედეგად, მთიელები ლიბანიდან, აქქარასა და დანნიის რაიონებიდან დასახლდნენ ყამირ მიწებზე. მხოლოდ დამასკოსა და ჰალებს შორის დამუშავდა დაახლოებით 15 ათასი ფედდანი მიწა,[37] ხოლო ჰაურანში ათვისებული ყამირი მიწების რაოდენობა ორი

[37] ფედდანი _ მიწის ნაკვეთი ან მიწის ერთეული [83, 198].

წლის განმავლობაში 2 ათასიდან _ 7 ათას ფედდანამდე გაიზარდა [49, 45; 2, 193-194]. 1837 წლის იბრაჰიმ ფაშას მოხსენებაში მუჰამედ ალისადმი აღნიშნულია, რომ სირიაში სოფლების საერთო რიცხვი 1008 აღწევს, აქედან 237 აღდგენის პროცესშია [108, 87]. სირიაში ოსმალთა ხელისუფლების რესტავრაციის შემდეგ მოხდა ათვისებული მიწების გაუკაცრიელება. ბაზილის ინფორმაციით, დამასკოს საფაშოში დაცარიელდა 70 სოფელი, ჰაურანში დამუშავებული მიწების რაოდენობა შვიდიდან ორი ათას ფედდანამდე შემცირდა [2, 194]. საფრანგეთის კონსული _ანრი გისი XIX ს. 30 – 40-იან წლებში მარცვლეულის მოსავლის შესახებ აღნიშნავდა, რომ მთიან ლიბანში ყოველი ნაკვეთი ნათესებისა იძლევა 20, ხოლო ბიკაას რაიონში კი 30 საწყაოს. რაც შეეხება ჰაურანს, ხორბლის და საერთოდ მარცვლეულის მოსავალი ძალიან მაღალი იყო [83, 38-39]. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი ზრუნავდა მიწათმოქმედების აღორძინებაზე ყველა შესაძლო საშუალებით. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ შემთხვევა, როცა ჰამასა და ჰალებს შორის მოსავალს განადგურებით დაემუქრა კალია, იბრაჰიმ ფაშა სამხედრო პოლკებით (4 ქვეითი პოლკი) დაიძრა მარცვლეულის გადასარჩენად. მისი ბრძანებით, ადგილობრივი მცხოვრებნი და ჯარისკაცებიც განსაზღვრულ თანხას იღებდნენ კალიის განადეგურებისათვის [2, 129]. უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის მიერ იქნა გახსნილი დიდ ქალაქებში _ ჰალები, ადანა, დამასკო _ ბანკი 1000 ქისის კაპიტალით (500 000 პიასტრი).[38] ბანკი აფინანსებდა ყამირი მიწების ამთვისებლებს მარცვლეულის, შრომის იარაღების შესაძენად [106, 38-39]. სესხის გაცემა ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის წინსვლას, მაგრამ მან უარყოფითი შედეგიც გამოიღო. რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცერი პ.პ. ლვოვი წერდა : « ... ფაშა ყოველწლიურად აძლევს ერთიდან სამ მილიონამდე თურქულ პიასტრს მევახშეებს. ისინი თანხას უღარიბეს მცხოვრებლებს ასესხებენ, რის სანაცვლოდაც ჯერ კიდევ აუღებელ მოსავალს იბევებენ» [8, 215]. ბაზილის ცნობით XIX ს. 30-იან წლებში გლეხი მევახშისგან სესხს იღებდა 3-5% თვეში მომავალი მოსვლის გარანტიით ან აძლევდა მოსავლის ნაწილს საბაზრო ღირებულების ნახევარ ან ორ მესამედ ფასში [2, 112].

[38] პიასტრი _ ყურუში, ყირშის ევროპული სახელი _ ვერცხლის მონეტა, ოსმალეთის იმპერიაში მოიჭრა XVII საუკუნის ბოლოს. ჟაბართის დროს უდრიდა 40 ფარას [1, 727].

ეგვიპტის ხელისუფლების ინტერესი მხოლოდ მარცვლეული კულტურების ზრდით არ შემოიფარგლებოდა. სირიაში გავრცელებული იყო მევენახეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, გაშენებული იყო თუთისა და ზეთისხილის პლანტაციები [83, 39]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეგვიპტის ხელისუფლების მხარდაჭერით მხოლოდ აქქის რაიონში დაირგა 150 000 ზეთისხილის ნერგი, მაშინ როცა ცნობილია, რომ ზეთისხილი ნაყოფს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა. ფართოდ გავრცელდა ხელისუფლების მიერ მიწების იჯარით გაცემის პრაქტიკა. ქალაქ იაფას ყადიმ 1837 წელს იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი გალავნის გარეთ და დაამუშავა ის. ქალაქის ხელისუფლებამ, მაჯლისის მხარდაჭერით, პროტესტი გამოთქვა. ყადიმ დახმარებისთვის მიმართა იბრაჰიმ ფაშას, რომელმაც საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მიწის იჯარით აღება შეეძლოთ არა მარტო მუსლიმებს, არამედ სხვა რელიგიური თემის წარმომადგენლებსაც. ქრისტიანმა არაბმა ექიმმა ხელისუფლებისაგან აიღო დასამუშავებელი მიწის ნაკვეთი, თუმცა მას არ გაუმართლა. ყაჩაღებმა გაძარცვეს, მოსავალი მოიპარეს, ხოლო პირუტყვი გაიტაცეს [108, 87-88]. მიუხედავად ასეთი სამწუხარო ფაქტებისა, მთლიანად იბრაჰიმ ფაშას სამეურნეო პოლიტიკამ გაამართლა. ფრანგი ისტორიკოსი ლუის ბილანი თავის წიგნში «ათი წლის ისტორია» წერდა : « ... მივაპყროთ მზერა ანტიოქიის ველებს, რომლებიც ზეთისხილის ხეებითაა დაფარული და ბეირუთის გარეუბნებს, სადაც ბევრია ვენახები, ალეპოსა დ დამასკოში გამოცოცხლებულ საქმიანობას. ჭეშმარიტად, მუჰამედ ალის დროს ქვეყანამ, რომელშიც ბატონობდა ანარქია მიაღწია წესრიგსა და ცივილიზაციას» [112, 300]. ბაზილის მონაცემებით, სირია – ლიბანში XIX საუკუნის 30 _ 40-იან წლებში მოყავდათ 3 ათასი კანტარი ნატურალური აბრეშუმი. ნახევარს გადაამუშავებდნენ ადგილზე, მეოთხედს ჰალებისა და დამასკოს, კაიროს სახელოსნოებში, მეოთხედი კი ევროპაში გაჰქონდათ. ლატაკიასა და ანსარიაში მოყავდათ თამბაქო, საიდასა და ჩრდ. სირიაში _ ბამბა, ბიკაას ველსა და ჰაურანში კი მარცვლეული კულტურები. დამასკოს ოაზისი და ტრიპოლის რაიონი განთქმული იყო მებაღეობით [82, 8-11].

საოკუპაციო რეჟიმი სირიას ეგვიპტური მრეწველობის ნედლეულის წყაროდ თვლიდა. ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციების დამთავრებამდე, მუჰამედ ალის ბრძანებით, იბრაჰიმ ფაშამ დაიწყო სირიის ნედლეულის მოძიება. ჩინოვნიკთა ნაწილი თვალს ადევნებდა ოკუპირებულ რაიონში ხე-ტყის დამზადებასა და გატანას

სირიის პორტებით ეგვიპტეში. სირიის ოკუპაციამდე ხე-ტყე შემოჰქონდათ ავსტრიიდან. სხვა ჩინოვნიკები ოკუპირებულ რეგიონში მადნეულის მოძიებასა და დამუშავებას მეთვალყურეობდნენ. სირიაში მოიპოვებოდა ქვანახშირი, რკინა. ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლება თანხებს არ ზოგავდა საბადოების მოძიებისა და დამუშავებისთვის. მათ უცხოელი (ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი) სპეციალისტები ჩამოიყვანეს სირიაში და ძალიან მაღალ ხელფასს უხდიდნენ. ძიების საქმეში მონაწილეობდნენ ეგვიპტელებიც _ მუჰამედ ეფენდი, აჰმედ ეფენდი და სხვები. ეგვიპტეში საინჟინრო სასწავლებლები თავიანთი კურსდამთავრებულების სიებს გადასცემდნენ მაჯლისის ხელმძღვანელს, რომელიც მათ სირიაში გზავნიდა მადნის საძიებო სამუშაოზე. კურსდამთავრებულები გამგზავრების წინ იღებდნენ ტანსაცმლის სრულ კომპლექტს, საბანს და საინჟინრო ხელსაწყოებს. მათ უნიშნავდნენ ხელფასს [121, 390-394].

ეგვიპტური მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რკინის მადანს. ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს, იბრაჰიმ ფაშამ დაიწყო საძიებო სამუშაოები. რკინის მადნის საბადოებს ძირითადად ალ-მათნის რაიონში, მარიაბაში ამუშავებდნენ. ასევე ფართო მოთხოვნა იყო ნახშირზეც. 1838წ. ეგვიპტის დივანმა მოითხოვა 48611 კანტარი ნახშირის გაგზავნა ალექსანდრიაში, რადგან სირიული ნახშირზე სამრეწველო მოთხოვნა მაღალი იყო. იბრაჰიმ ფაშას მითითებით უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა ტყვიის, ფისის, გუდრონის, ვერცხლის, სპილენძის და სხვა ნედლეულის მოსაპოვებლად. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმი იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობის შრომას ძალიან დაბალი ანაზღაურებით. 1837 წელს გისი წერდა, რომ ბაშირ II-მ შეარჩია დაახლოებით ორასი გლეხი მათნში, კარნაილში, მთავრობის კონტროლირებად ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოდ და უხდიდა მათ მხოლოდ 3 პიასტრს დღეში [121, 367-389].

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, სირიაში მტკიცე საგადასახადო პოლიტიკის გასატარებლად დაინიშნა დავთარდარი[39] _ ჰანნა ბაჰრი ბეი, რომლის შესახებაც პერიე წერდა: «ჰანნა ბაჰრი ბეი ხელმძღვანელობდა სამოქალაქო და სამხედრო ანგარიშსწორებას. ის დაჯილდოებული იყო დიდი მოქნილობით. ძნელი დასაჯერებელია რა დონემდე მიაღწია მის მიმართ მეფისნაცვლისა და იბრაჰიმ ფაშას

[39] დავთარდარი _ ოსმალეთის იმპერიის ფინანსური უწყების ჩინოვნიკი [2, 308].

ნდობამ» [94, 323]. გადასახადებს კრეფდა ცენტრალიზებული ფინანსური უწყება, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლები გადაიქცნენ ამ უწყების აგენტებად, რომლებიც იღებდნენ განსაზღვრულ ხელფასს, რაც აკრეფილი საგადასახადო თანხის 10%-ს არ აღემატებოდა [50, 155]. დავთარდარმა ეგვიპტიდან ჩამოიყვანა კოპტი ბუღალტრები, სამუშაოდ მიიწვია ადგილობრივი სირიელები, უმეტესად რაიების წრიდან,[40] რადგან მათ შორის უფრო ადვილი იყო ანგარიშსწორების მცოდნეთა პოვნა. არსებითად, ჰანნა ბაჰრი ბეი ასრულებდა იბრაჰიმ ფაშასა და მუჰამედ შერიფ ფაშას ფინანსური მრჩევლის ფუნქციას. თავისი თანამდებობის წყალობით, ის დაუახლოვდა ევროპელ კონსულებსა და ვაჭრებს, შუამავლობდა მათსა და ადგილობრივ ხელისუფლებს შორის სხვადასხვა სადაო საკითხის გადასაჭრელად. დოქტორი მშაკა [41] მაღალ შეფასებას აძლევდა დავთარდარს როგორც პიროვნებას, ისე თანამდებობის პირს. « ჰანნა ბაჰრი ბეის მაღალი ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკაში. იყო სამართლიანი და მოუსყიდავი მმართველი. არ ანსხვავებდა მდიდარსა და ღარიბს, მუსლიმსა და ზიმიას. ერთგულად ასრულებდა მუჰამედ ალის ნებას» [112, 295]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნდობის მიუხედავად, იბრაჰიმ ფაშამ მოითხოვა ეგვიპტიდან ინსპექტორის გამოგზავნა დავთარდარისა და მისი უწყების საქმიანობის შესამოწმებლად. ინსპექტორმა გამოიკვლია ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და აღმოაჩინა, რომ საგადასახადო რეესტრი იყო მოუწესრიგებელი, ხოლო ორი წლის განმავლობაში აკრეფილი გადასახადების რაოდენობა დაუზუსტებელი. სოფლის უწიგნური ზედამხედველის საქმიანობა დამძიმდა ბუღალტერიითა და ანგარიშწარმოებით. საქმე იქამდე მივიდა, რომ იბრაჰიმ ფაშამ სამხედრო ჩინოვნიკები დაახმარა გადასახადების აკრეფასა და ოქმების შედგენაში [108, 81-82].

XIX ს. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ცხადი გახდა, რომ ახალი კონფლიქტი კაიროსა და სტამბოლს შორის გარდაუვალი იყო. ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება არც ერთი მეომარი მხარის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. მუჰამედ ალიმ არ მიიღო სირია – პალესტინა მემკვიდრეობითი უფლებით, არ გამოცხადდა ეგვიპტის დამოუკიდებლობა. ოსმალეთის სულტანი ვერ ურიგდებოდა იმპერიის ტერიტორიების 35-40%-ის დაკარგვას. ორივე მხარე აქტიურად ემზადებოდა

[40]რაია _ XVIII ს. ამ ცნებაში იგულისხმებოდა მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა [2 , 309].

[41] დოქტორი მიხაილ მშაკა (1800- !888წწ.) _ ა. კრიმსკი ვარაუდობდა, რომ ის არის იგივე მიხაილ დამასკელი [65, 423-428].

ომისთვის, რამაც გამოიწვია გადასახადების გაზრდა. 1834წ. 1 მაისს მუჰამედ ალი დათანხმდა ყოველწლიურად ხაზინაში სირიისთვის შეეტანა 32 ათასი ქისა[42](6 მლნ. პიასტრი), მაშინ როცა სულთანი მოითხოვდა 90 ათას ქისას (13 მლნ. ფრანკი) [72, 8]. სირიის ბიუჯეტიდან ამ თანხის გადახდა ძნელი იყო. სირია-პალესტინის მთელი შემოსავალი 70 მლნ. პიასტრს (4 მლნ. მანეთი ვერცხლით) შეადგენდა. ამ თანხის სამი მეოთხედი იხარჯებოდა სამხედრო საჭიროებისთვის. სამოქალაქო მმართველობას მხოლოდ ერთი მეოთხედი ხმარდებოდა. სირიის ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვა ეგვიპტის ბიუჯეტს, რომელიც ყოველწლიურად 30-40 მლნ. პიასტრს სირიის ხარჯების დასაფარავად იხდიდა [2, 129].[43] ამიტომ შემოღებულ იქნა ახალი გადასახადი _ ფირდე, რომელსაც თანაბრად იხდიდა ყველა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, სამღვდელოებისა და მოხელე - ჩინოვნიკების გარდა [67, 40; 113,402]. ფირდეს აკრეფისათვის განხორციელდა 16 - 60 წლის ასაკის მამაკაცების სულადობრივი აღწერა. ესა თუ ის ქალაქი ან სოფელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იხდიდა მთლიან თანხას. დივან მაშურაში ხდებოდა მცხოვრებთა დაყოფა ქონებრივი ნიშნით. მოხუცები და ღატაკები თავისუფლდებოდნენ გადასახადის გადახდისაგან. დანარჩენები კი დიფერენცირებულად იხდიდა ფირდეს _ მდიდრები 500 პიასტრს, შედარებით ღარიბები კი 15 პიასტრს [8, 214]. ფირდეს შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები. მაგალითად დამასკოს შემოსავალი 6 000 ქისიდან გაიზარდა 11 ათას ქისამდე.

იბრაჰიმ ფაშამ შემოიღო შრომითი ბეგარა _ სამხედრო გზების, ყაზარმების, თავდაცვითი ნაგებობების, წყალგაყვანილობის სისტე-მის მშენებლობაზე. ბეგარა ითვალისწინებდა მაღაროების მომარაგებას, ხე-ტყისა და ქვანახშირის გადაზიდვას. ზოგჯერ იძულებით შრომას ანაზღაურებდნენ, მაგრამ ძალიან მცირე თანხით, ამასთან გლეხი თვეობით შორდებოდა თავის მეურნეობას, რაც რასაკვირველია მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ბაზილი იხსენებს შემთხვევას, როცა მთიელმა ლიბანიდან 5 პიასტრად გაყიდა თავისი ცხენი, რათა თავი დაეღწია

[42] ქისა _ ფულის კრებითი ერთეული. XVIII ს. მიწურულს ეგვიპტეში უდრიდა 500 პიასტრს [1, 701].

[43] არაბი ისტორიკოსი 1836 წლის ხარჯების ანგარიშს გვაწვდის. სულტნის ხაზინაში შესატანი გადასახადის გარდა, სამხედრო ბანაკების, სიმაგრეების მშენებლობისათვის, ქალაქების თვითმართველობისა და ჩინოვნიკთა ხელფასებისათვის, სასამართლოების, სასწავლებლების, გზების მშენებლობისათვის და ა.შ. დაიხარჯა დაახლოებით 78, 846 ქისა [117, 109].

საბატონო ბეგარისთვის [3, 258-259]. ფართო მოხმარების საქონელზე : სამშენებლო მასალაზე, საპონზე, აბრეშუმზე, ბამბაზე, ქვანახშირსა და რკინის მადანზე დაწესდა მონოპოლია. სახელმწიფო განსაზღვრულ ფასში შეისყიდიდა მატყლს, ზეითუნის ზეთსა და ტყავეულს [93, 423 ; 97, 112]. საინტერესოა სირია-პალესტინაში ბრიტანეთის კონსულის ჯონ ფარენის 1834 წლის 15 აპრილის პატაკი « შენიშვნები სირიის კომერციულ, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. « იგი წერდა : «წელს აბრეშუმის წარმოება არ იყო ცუდი და ფასი არ აღემატებოდა 160 პიასტრს 1 ოკკაზე.[44] ამიტომ იბრაჰიმ ფაშას მიერ დაწესებული 155 პიასტრი სამართლიანი ფასი იყო და ყველა ნებაყოფლობით მიყიდდა აბრეშუმს სახელმწიფოს, რომ არა აგენტების მიერ ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები. …... ჯერ კიდევ აბდალლაჰ ფაშას დაწესებული გადასახადი საპონზე _ ერთ ცენტნერზე 50 პიასტრი, იბრაჰიმ ფაშამ არ გაზარდა. ადანას პროვინციაში 1 ოკკა ბამბაზე ბაჟი 1 პიასტრი დაწესდა. სხვა რაიონები კი თავისუფალია გადასახადებისაგან... « [106, 37-46].

გადასახადებმა მოიცვეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო. სახელმწიფო გადასახადს კრეფდა ხეხილის ბაღებიდან, პლანტაციებიდან, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგიდან, ფუტკრის სკებიდან, წისქვილებიდან, აბანოებიდან თუ დუქნებიდან. ლიბანის ამირა ბაშირ II დაბეგრა აბრეშუმის პარკის გასაშლელი ბორბლები და სამღებროები. რუსი ოფიცერი ლვოვი ასე აფასებდა ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის ეკონომიკურ პოლიტიკას სირიაში : « მიწათმოქმედი, მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს აძლევს ხელისუფლებას, უხდის თითოეულ ზეთისხილის ხეზე, ხოლო თუ აბრეშუმს აწარმოებს არ შეუძლია მისი თავისუფალ ფასებში გაყიდვა, არამედ აძლევს ხელისუფლებას დადგენილ ფასში. ამას გარდა, თითოეული ხელოსანი თუ ვაჭარი ვალდებულია შეიტანოს განსაზღვრული თანხა ვაჭრობისა და ხელოსნობის უფლებისათვის» [8, 215]. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, რომ ფართოდ გავრცელდა ადგილობრივი ვაჭრების მიერ უცხოური საკონსულოების მფარველობის გამოყენების პრაქტიკა. არაბი პოეტი ჰაფიზ იბრაჰიმი წერდა : « ჩაგვრა (რომელიც) ჩვენ გამოვიარეთ იყო ქაოტური, ახლა ის არის დახვეწილი და კარგად ორგანიზებული» [108, 77]. იბრაჰიმ ფაშას მიერ დამყარებული ახალი რეჟიმი,

[44] ოკკა _ წონის ერთეული, 1,248 გრ. [1, 736].

თავდაპირველად პროგრესული იყო. მან შექმნა შემოქმედი ადმინისტრაცია, წარმომად-
გენლობითი მაჯლისები ქალაქებში. ფაშა ცდილობდა მექრთამეობისა და კორუფციის მოსპობას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მისი რეფორმების წყალობით სირია-პალესტინა ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. მაგრამ განვლო მცირე ხანმა და საოკუპაციო რეჟიმის უარყოფითი მხარეები თვალსაჩინო გახდა. 1833-34 წლებში მუჰამედ ალის განკარგულებებმა (ფართო მოხმარების საქონელზე მონოპოლიის შემოღება, ფირდეს დაწესება, განიარაღება და სავალდებულო სამხედრო სამსახური) გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება [95, 29]. ეგვიპტის მმართველობის რვა წლის მანძილზე გადასახადები გაიზარდა 3,5-ჯერ.

მოსახლეობის განსაკუთრებულ პროტესტს იწვევდა განიარაღების მოთხოვნა და სარეკრუტო გაწვევა. ჯერ კიდევ, საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს, 1832 წ. მუჰამედ ალიმ მოითხოვა ოკუპირებულ რაიონებში სარეკრუტო გაწვევის ორგნიზება. იბრაჰიმ ფაშამ გააფრთხილა ის, რომ მსგავს ნაბიჯი შეიძლება კატასტროფული გამომდგარიყო მათი მიზნებისათვის. იგივე განაცხადა ჰუქუმდარმაც ბაშირ II-სთან და ჰანნა ბაჰრი ბეისთან მოთათბირების შემდეგ [106, 50-51]. იბრაჰიმ ფაშა თვლიდა, რომ სარეკრუტო გაწვევის ორგანიზება სირიაში გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ეგვიპტეში. «ეგვიპტე ჩვენია და შეგვიძლია რაც გვსურს ის გავაკეთოთ, მაგრამ ეს (სირია) არის ახლახანს დაპყრობილი ქვეყანა. როგორ შევაჩერებთ რეკრუტების გაქცევას, როცა ჩვენი ჯარისკაცები გარბიან და ვერ ვპოულობთ მათ ?» [100, 223]. რატომ იწვევდა სავალდებულო სამხედრო სამსახური ასეთ მძაფრ პროტესტს ? რა იყო მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი ? ამ კითხვებზე პასუხი უნდა ვეძიოთ სოციალურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ასპექტებში. სირიაში, ისევე როგორც მთელ ოსმალეთის იმპერიაში, სამხედრო საქმე სეიფიების (სამხედრო პირების) ხელში იყო [49, 46]. მთიან ლიბანში და ზოგ სხვა რეგიონში ფელაჰები თავიანთი ამირას ან შეიხის მეთაურობით მიდიოდნენ საბრძოლველად. ისინი იბრძოდნენ ღირსების ან საკუთრების დასაცავად, მოკავშირის დასახმარებლად. ეს ბრძოლა მათი საცხოვრებელი ადგილებიდან რამდენიმე დღის სავალზე მიმდინარეობდა. ომის შემდეგ ისინი ჩვეულებრივ, მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. იარაღი მათი პირადი საკუთრება იყო. მთაში შეუიარაღებელი მამაკაცი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ეგვიპტის

საოკუპაციო ჯარში სამსახურის ვადა 15 წლით განისაზღვრა. რეკრუტების ნაწილი მსახურობდა მშობლიური ადგილებიდან მოშორებით _ ჰიჯაზში, სუდანსა და ეგვიპტეში. ჯარისკაცების უმეტესობა ვერ უძლებდა კლიმატის, შეჩვეული ცხოვრების წესის შეცვლას, მძიმე სამხედრო დისციპლინას და იღუპებოდა. ამიტომ ხალხმა სამხედრო გაწვევას «სისხლით საზღაური» უწოდა. ჯარისკაცის ოჯახი კარგავდა მფარველსა და მარჩენალს. სარეკრუტო გაწვევა უარყოფით გავლენას ახდენდა მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაზე. ყოველი გაწვევის დროს მამაკაცები მთებში გარბოდნენ [108, 80 ; 113, 408]. სირიაში სარეკრუტო გაწვევასა და განიარაღების მოთხოვნას თან სდევდა ამბოხებები. დიუგამელი წერდა : « სამხედრო გაწვევამ და ეგვიპტის ხელისუფლების მიერ მოსახლეობის შევიწროებამ, სირიის მცხოვრებნი გაამწარა და ისინი ერთიანად მზად არიან აჯანყდნენ საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ» [5, 73]. იბრაჰიმ ფაშას რაზმები ალყაში აქცევდნენ ქალაქების ქუჩებს, მოედნებსა და ბაზრებს, მეჩეთებს. პარასკეობით, როცა ხალხი სალოცავად მეჩეთში იყრიდა თავს, ჯარიკაცებს სამხედრო სამსახურისთვის გამოსადეგი მამაკაცები პირდაპირ მეჩეთიდან მიყავდათ რეკრუტებად. მუსლიმები შენატროდნენ ქრისტიანებისა და ებრაელების ბედს, რადგან მათ სამხედრო გაწვევა არ ეხებოდათ.[45] ჰალებში ბრიტანეთის კონსული ასე აღწერდა სარეკრუტო გაწვევას : « დათქმულ რიცხვში, ღამით სირიის ყველა მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის ქუჩებში განლაგდება ჯარი, რომელიც აკონტროლებს ყველა შესასვლელ – გამოსასვლელს. შემდეგ იწყება ჩხრეკა. პირდაპირ საწოლებიდან მიყავთ მამაკაცები ასაკისა და მდგომარეობის მიუხედავად. მათ თავს უყრიან ციტადელში სამედიცინო შემოწმების გასავლელად. ... ამგვარი სისტემა მძიმე ტვირთად აწევს, უპირველეს ყოვლისა, პატიოსან და მშრომელ ხალხს, რადგან მრავალრიცხოვანი უსაქმურები და მაწანწალები, რომლებითაც სავსეა სირია, როგორც წესი, წინდაწინ ხვდებიან სამხედრო გაწვევის მოახლოებას და გაქცევით შველიან თავს» [49, 46]. დამასკოში სამოქალაქო გუბერნატორმა სარეკრუტო გაწვევის წარმატებით ჩასატარებლად შემდეგ ხერხს მიმართა. მისი ბრძანებით გამოცხადდა, რომ მექაში მიმავალი პილიგრიმთა ქარავნის დამცველი რაზმში ჩაირიცხებოდნენ ადგილობრივი

[45] არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ რეკრუტებად ბავშვებიც მიყავდათ. თანამედროვე ფრანგი თვითმხილველის გადმოცემით, მან დაახლოებით 12 წლის ასაკის ჯარისკაცებიც ნახა [74, 64].

მცხოვრებნი. დათქმულ დროს შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს მოტყუებულ დამასკოელებს და მათგან შეარჩიეს რეკრუტები [15, 22]

იბრაჰიმ ფაშა უჩიოდა უსახსრობას, რის გამოც ვერ უხდიდა ჯარისკაცებს ხელფასს. « ისინი (თურქები) უხდიან ჯარისკაცებს რეგულარულად ხელფასს. უკანასკნელი თანხა კი, ჩვენ 14 თვის წინ მივიღეთ» [100, 224]. ამისდა მიუხედავად ჯარისკაცები ფული უნდა გადაეხადათ ადგილობრივ მოსახლეობისთვის ყველა იმ პროდუქტში, რომელიც სჭირდებოდათ. მოგვიანებით, როცა სირია კვლავ სულტანს დაუბრუნდა, იბრაჰიმ ფაშამ ამაყად თქვა : « მე ვიხდიდი ფულს ყველაფერში, რასაც ვიყენებდი. მე პასუხს ვაგებ ჩემი ჯარისკაცების სამართლიან საქციელზე» [100, 225]. ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლება ჯარის მეშვეობით აკონტროლებდა სიტუაციას დიდ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. მაგრამ მთიან რაიონებში, როგორიცაა ჰაურანი, ნაბულუსი და პალესტინის სამხრეთი, სამხედრო გაწვევამ მღელვარებები გამოიწვია, რომელთა სათავეშიც ადგილობრივი აიანები _ ტრადიციული ლიდერები იდგნენ.

1834 წლის აპრილში პალესტინაში, იერუსალიმთან ახლოს, დაიწყო პირველი აჯანყება. აჯანყების დაწყებამდე იბრაჰიმ ფაშა შეხვდა პალესტინელ ნოტაბლეებს იერუსალიმში, გამოაცხადა სამხედრო სამსახურის შემოღება და მოითხოვა ნაბულუსის რაიონიდან 2000, იერუსალიმის _ 1500, თვით იერუსალიმიდან _ 200, ჰებრონსა და მიმდებარე რაიონებიდან 500 რეკრუტი. ხელისუფლების მოლაპარაკება აჯანყებულებთან წარუმატებლად დასრულდა. აჯანყებულები აცხადებდნენ, რომ ისინი იბრძოლებდნენ განიარაღებისა და სარეკრუტო გაწვევის წინააღმდეგ. თავდაპირველად, მათ წარმატება მოიპოვეს. იბრაჰიმ ფაშამ ბრძოლის ველზე დატოვა 1 პოლკოვნიკი, 2 კაპიტანი, 3 სერჟანტი, 10 კაპრალი და 43 ჯარისკაცი. მან უკან დაიხია იაფაში და რევანშისათვის დაიწყო მზადება. 6 _ 7 ივნისს ფაშა 3 ათას კაციანი რაზმით დაიძრა იაფადან, აიღო აბუ ღუშის სამაგრე კარიათ ალ-ინაბი, აჯანყებულებმა 700 კაცი დაკარგეს [106, 53]. მაგრამ უკვე ივნისის ბოლოს თითქმის მთელი პალესტინა _ ღაზას, იერუსალიმის, აქქასა და იაფას გარდა, ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა. მათ დაამარცხეს ეგვიპტის არმიის მე-19 პოლკი. 1200 ჯარისკაციდან იაფას მიაღწია სამასმა კაცმა. პოლკის მეთაური მუსტაფა ბეგი დაიჭრა. სიტუაციის გასარკვევად მუჰამედ ალიმ ჯერ თავისი მდივანი ჰასან ჰუსნი ეფენდი გაგზავნა სირიაში, 3 ქვეითი ჯარის, 2 კავალერიის პოლკთან და 1000 ბედუინთან

ერთად, რომელთაც მეთაურობდნენ აჰმედ მენიქლი ბეგი და მუჰამედ სელიმ ფაშა. მოგვიანებით, მუჰამედ ალიმ გადაწყვიტა თვითონ ჩასულიყო ოკუპირებულ რეგიონში. კაიროში ადმინისტრაციული საბჭოს მეთაურს მან განუცხადა, «მიუხედავად იმისა, რომ გავგზავნე 3 ქვეითი, 2 კავალერიის პოლკი და 1000 ბედუინი, მაინც მჯერა, რომ პირადად უნდა წავიდე. მე შევხვდები არა მარტო ჩემს ვაჟს, არამედ საბოლოოდ გადავწყვეტ ამ საკითხს» [106, 64-65].

პირველ ივლისს მუჰამედ ალი ჩავიდა იაფაში. მის დასახვედრად გაიმართა დიდი ზეიმი. ფაშა ნაპირზე დღის 4 საათზე გადმოვიდა, ამხედრდა ცხენზე. ის ესალმებოდა ხალხს ყველა მხარეს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის გაკვირვება, რადგან აქამდე ისინი ფაშას გასეირნების დროს თავის აწევას ვერ ბედავდნენ. იბიდი წერდა : « ფაშა არის კარგი გარეგნობის, მოხუცი კაცი. მისი სამოსი თურქულია, არა სამხედრო. წვერი აქვს თეთრი, სახე ღაჟღაჟა, თვალები ცოცხალი და გამომხატველი. მისი ყველა მოძრაობა საკვირველად მხნე და ენერგიულია.» მუჰამედ ალი ესაუბრა ბაშირ II-ის შვილსა და ჰანნა ბაჰრი ბეის არსებული მდგომარეობის შესახებ. ვილიამ ტომსონი წერდა ამ აუდიენციის შესახებ, რომ მუჰამედ ალიმ მიიღო ისინი მჯდომარემ. ისინი დაემხვნენ და ეამბორნენ მის ფეხს, რის შემდეგაც მთელი საუბრის მანძილზე, დაახლოებით ორი საათი, ფეხზე იდგნენ. [106, 68-70]. იბრაჰიმ ფაშამ მოახერხა აბუ ღუშის ოჯახის შემორიგება. მათი უხუცესი იბრაჰიმ აბუ ღუში ციხიდან გაათავისუფლეს. ჯაბრ აბუ ღუში კი იერუსალიმის მმართველად დანიშნეს. მართალია, ერთი წლის შემდეგ იგი გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან, მაგრამ სახელმწიფო მას ყოველწლიურად ხელფასის ნახევარს უხდიდა ხაზინიდან საკომპენსაციოდ. აჯანყების სხვა მონაწილეები ეგვიპტის საოკუპაციო ხელისუფლებამ სამაგალითოდ დასაჯა. იერუსალიმის ნოტაბლეების ნაწილი გადაასახლეს, იაფას გამგებელი და შეიხები ისა ალ-მადი და მასუდ ალ-მადი სიკვდილით დასაჯეს აქქაში [106, 71]. ნაბულუსის აჯანყებას ხელმძღვანელობდა აიანი კასიმ ალ-აჰმედი ჯერარის ოჯახიდან. ამბოხებულები ჰებრონში გამაგრდნენ იმ იმედით, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდნენ. ბრძოლაში საოკუპაციო ჯარმა დაკარგა 260 კაცი, ხოლო 700 აჯანყებული ტყვედ ჩავარდა. მათგან 400 ეგვიპტეში კატორღაში გაგზავნეს. შეიხი კასიმი და აჯანყების სხვა ლიდერები სირიის უდაბნოში ბედუინებთან გაიქცნენ. იბრაჰიმ ფაშამ აიღო ამბოხებულთა ქალაქები, მათი შეიხების ნაწილი დააპატიმრა, ნაწილი სიკვდილით დასაჯა.

ბედუინებმა დაარღვიეს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია, შეიხი კასიმი და სხვა ლტოლვილები იბრაჰიმ ფაშას გადასცეს, რომელმაც ისინი სიკვდილით დასაჯა [106, 80-82 ;70,243].

პალესტინის აჯანყებას იმავე წლის ოქტომბერში მოჰყვა ბუნტი ნასირიაში. ლიბანური კონტინგენტის დახმარება გადამწყვეტი აღმოჩნდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, იბრაჰიმ ფაშამ მოსთხოვა ბაშირ II-ს 1600 დრუზი რეკრუტი. ამირას თხოვნით ეს ციფრი განახევრდა, მაგრამ მაინც ძნელი იყო ფაშას მოთხოვნის შესრულება. ამ პერიოდში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ აპირებდნენ 1500 ლიბანელი ქრისტიანის მობილიზაციას. მარონიტების პატრიარქმა, ევროპის სახელმწიფოთა კონსულების მხარდაჭერით, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ქრისტიანების გაწვევას მუსლიმურ ჯარში. დრუზებს არავინ გამოსარჩლებია. მუჰამედ ალის დაჟინებული მოთხოვნით, ბაშირ II-მ 1000 დრუზი ახალწვეული გადასცა იბრაჰიმ ფაშას, რომელმაც მათი რაზმები ცალკე, დანარჩენი საჯარისო ნაწილებისგან მოშორებით განალაგა. სარეკრუტო გაწვევის დამთავრებისთანავე, მუჰამედ ალიმ დრუზი მოსახლეობის განიარაღება მოითხოვა. იბრაჰიმ ფაშა ყოყმანობდა, რადგან დრუზებმა მას დიდი დახმარება გაუწიეს პალესტინის აჯანყების ჩახშობაში. 1835 წლის შემოდგომაზე შუფში ეგვიპტის ჯარი შევიდა. ბაშირ II მოუწოდა დრუზებსა და ქრისტიანებს წინააღმდეგობის გაუწევლად განიარაღებულიყვნენ [79, 83-84]. 1837 წელს დიდმა აჯანყებამ იფეთქა ჰაურანსა და ანტილიბანში. ვადა გაუვიდა ხუთწლიან შეღავათს, რომლითაც ამ რაიონის მცხოვრები დრუზები სამხედრო გაწვევისაგან გათავისუფლდნენ. მთავრობამ 72 რეკრუტი მოითხოვა. დრუზების შეიხი დამასკოში გამოიძახეს. მან ითხოვა შეღავათიანი ვადის გაგრძელება, თუმცა უშედეგოდ. შეიხს ოთხასი მხედარი გააყოლეს ჰაურანში რეკრუტების მოსაკრებად. დრუზები აჯანყდნენ. ისინი ალ-ლეჯის რაიონში გამაგრდნენ. აჯანყებას მხარი დაუჭირეს ანტილიბანის, ვადი-თ-თაიმის დრუზებმა შიბლი არიანის ხელმძღვანელობით და ბედუინებმა. შეიხები ნასირ ად-დინ ალ-იმადი, ჰასან ჯუმბლატი და სხვა შეიხები ეხმარებოდნენ ამბოხებულებს. აჯანყება ცხრა თვე გაგრძელდა. მათ დაამარცხეს სირიის ჰუქუმდარის - მუჰამედ შერიფ ფაშას მიერ გაგზავნილი ჯარი. იბრაჰიმ ფაშამ მოსთხოვა ლიბანის ამირას 4 ათასი ლიბანელი ქრისტიანი მთიელის გაგზავნა მისი ვაჟის ხელმძღვანელობით აჯანყების ჩასახშობად. ამირა შეყოყმანდა, რადგან ეს

ბრძანება ეწინააღმდეგებოდა ლიბანის პოლიტიკურ რეალობას. აქამდე, მარონიტებსა და დრუზებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია [97, 115]. მაგრამ ბაშირ II-მ ვერ შეძლო ბრძანების იგნორირება და დრუზ _ მარონიტების დაპირისპირების თავიდან აცილება. მისი ჯარი შეუერთდა იბრაჰიმ ფაშას 20 ათას კაციან არმიას, რომელშიც რეგულარულ ნაწილებთან ერთად იმყოფებოდნენ ქურთი ტომები, ალბანური კონტინგენტი კრეტას გუბერნატორის ხელმძღვანელობით. იბრაჰიმ ფაშამ სასმელი წყალი მოაწამლინა. ათასამდე დრუზმა შიბლი არიანის მეთაურობით ალყა გაარღვია და ანტილიბანში, ჯებელ შეიხის მთებთან გააგრძელა პარტიზანული ომი. საბოლოოდ, შიბლი არიანი შეურიგდა საოკუპაციო რეჟიმს. იბრაჰიმ ფაშამ ის კავალერისტების მეთაურად დანიშნა [112, 307-308 ; 79, 87-89]. საოკუპაციო რეჟიმის დროს იბრაჰიმ ფაშამ გაიწვია 35 ათასი რეკრუტი სირიის მამრობითი სქესის მოსახლეობის 10%. დაახლოებით ასი ათასი კაცი ოსმალეთის იმპერის ტერიტორიაზე გადავიდა ან ბედუინებთან გაიქცა [79, 87-89 ; 51, 156].

სირია _ პალესტინა ძვირადღირებული შენაძენი აღმოჩნდა მუჰამედ ალისთვის.

თავი მეხუთე

ოსმალეთ_ეგვიპტის მეორე კონფლიქტი და ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია მის დარეგულირებაში.

§1 ოსმალეთ _ ეგვიპტის ურთიერთობანი მეორე კონფლიქტის წინ.

XIX ს. 30 – იანი წლების ბოლოს ოსმალეთის იმპერიაში კვლავ დაიწყო ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ამჯერადაც გამოწვეული იყო მუჰამედ ალისა და სულტან მეჰმედ II-ს შორის წინააღმდეგობების გამწვავებით. ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულებამ (1833წ. 5 მაისი) არცერთი მეომარი მხარე არ დააკმაყოფილა. სულტანი ვერ ურიგდებოდა იმპერიის მნიშვნელოვანი პროვინციების ფაშას ხელში გადასვლას. თავის მხრივ, არც მუჰამედ ალი იყო კმაყოფილი მიღწეული შედეგით. მას თრგუნავდა სულტანზე ფორმალური დამოკიდებულება. ეგვიპტის ფაშა ფლობდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის 35 – 40%. ამისდა მიუხედავად მუჰამედ ალი ოფიციალურად სულტნის ვასალად ითვლებოდა. მაჰმუდ II ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო ჩამოერთვა მისთვის ფირმანით ბოძებული პროვინციები.

დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ფაშას მეამბოხედ გამოაცხადებდნენ. თავისი ქვეშევრდომების თვალში ის იქნებოდა თვითმარქვია მეამბოხე, აჯანყებული თავისი სულტან _ ხალიფას წინააღმდეგ [73, 8]. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკვე 1833 წლიდან მუჰამედ ალი მოითხოვდა მის მიერ ბრძოლით მოპოვებული პროვინციების მემკვიდრეობითი უფლებებით გადაცემას. ცნობილი რუსი დიპლომატი ა. ო. დიუგამელი სულთანსა და ფაშას ურთიერთობის შესახებ წერდა: « მე არ მომეთხოვებოდა განსაკუთრებული გამჭრიახობა რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ქუთაჰიას ზავი არასაიმედო იყო. მაჰმუდ II ვერ ურიგდებოდა სირიისა და ადანას ოლქის დაკარგვას. თავის მხრივ, მუჰამედ ალის არ ჰქონდა არანაირი გარანტია იმისა, რომ სულტანი არ წაართმევდა ბრძოლით მოპოვებულ ტერიტორიებს. ის მიისწრაფოდა გაეწყვიტა უკანასკნელი ძაფები დამაკავშირებელი პორტასთან, ყოფილიყო სრულიად თავისუფალი და გადაეცა თავისი სამფლობელო შვილებისათვის. პირად კავშირებსაც არ შეეძლოთ მათი ურთიერთობის გაუმჯობესება. მუჰამედ ალის სძულდა სულტანი და მისი ვეზირები, განსაკუთრებით კი ხუსრევ ფაშა და არც ცდილობდა თავისი გრძნობების დაფარვას. სულტანიც ასევე ვერ იტანდა თავის ვასალს. ამგვარად, მშვიდობა აღმოსავლეთში ძაფზე ეკიდა და აშკარა იყო, რომ უკმაყოფილების ახალი აფეთქება ორივე მხრიდან გარდაუვალი იყო» [5, 515].

კონფლიქტები მუჰამედ ალისა და მაჰმუდ II-ს შორის ზავის დადებისთანავე დაიწყო. 1833წ. მაისში, ფაშამ განგებ შეაყოვნა სტამბოლში გადასახადის გაგზავნა. მან კარგად იცოდა, რომ იმპერიის ხაზინა დაცარიელებული იყო და პორტას დროულად სურდა ფულის მიღება. ამიტომ სცადა გამოეყენებინა ეს შემთხვევა სულტანზე გავლენის მოსახდენად. მუჰამედ ალი ყოველწლიურად იხდიდა 32 ათას ქისას, ანუ 6 მლნ. ფრანკს. პორტა მოითხოვდა გადასახადის გაზრდას 90 ათასს ქისამდე (13 მლნ. ფრანკი).

ქუთაჰიას ზავის დადების შემდეგ, მუჰამედ ალი გახდა უფრო დამოუკიდებელი არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. ავსტრიელი დიპლომატი პროკეშ – ოსტენი გვამცნობს, რომ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი - პოღოს ბეი (წარმოშობით სომეხი ქრისტიანი) ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა ეგვიპტეში. თანამედროვენი პოღოს იუსუფიანს ახასიათებდნენ, როგორც უაღრესად ჭკვიან, სასიამოვნო მანერების მქონეს და უსაზღვროდ ერთგულს

მუჰამედ ალის მიმართ. 1834 წ. პოღოს ბეიმ პროკეშ-ოსტენს აცნობა მუჰამედ ალის განზრახვა გამოყოფოდა ოსმალეთის იმპერიას. ამ გადაწყვეტილებას ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ პალესტინის მღელვარებების ინსპირირება სტამბოლიდან მოხდა. ამ მოსაზრებას იზიარებს ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი დოდვილი. წიგნში « თანამედროვე ეგვიპტის ფუძემდებელი» ის პირდაპირ წერს: « უეჭველია, რომ აჯანყება წაქეზებული იყო კონსტანტინეპოლის აგენტების მიერ. ... ნაბულუსში მეჩეთის მინარეთზე ავიდა თურქი და იყვირა _ კიდევ არსებობს მუსლიმთა რელიგია? მოკვდა ის ? ვართ ჩვენ ოსმალები? დაე ყველამ ვისაც უყვარს მოციქული იარაღი აიღოს ხელში ურწმუნო და გიაური იბრაჰიმ ფაშას წინააღმდეგ» [106, 29-30]. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა _ ტიერმა კაიროში საფრანგეთის წარმომადგენელთან ფერდინანდ ლესეპსთან საუბარში განაცხადა: ჩვენ მოუწყობთ ახალ ნავარინს იმას, ვინც პირველი გაბედავს მოქმედებას [5,515-516]. 1839 წ. მან ხელახლა დააყენა ეგვიპტის დამოუკიდებლობის საკითხი, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოზიცია კარგად ჩანს ავსტრიის მთავრობის განცხადებაში: « ევროპას სურს სიმშვიდე და ოსმალეთის იმპერიის შენარჩუნება. ის მომხრეა სულტანისა და მისი ვასალის შეთანხმებისა. ეგვიპტის დამოუკიდებლობა ევროპის ინტერესებში არ შედის» [16, 423]. იმავე წლის 25 მაისს, პოლკოვნიკ კემპბელთან საუბარში მუჰამედ ალიმ განაცხადა, რომ მისი შვილების მომავალი აიძულებდა ებრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის. მაჰმუდ II არ აპირებდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. პირიქით, სულტანი ფაშას პირად მტრად თვლიდა და მისი თავიდან მოცილება სურდა. ცნობილია მაჰმუდ II-ის გამონათქვამი: « ვინც მომიტანს ფაშას თავს, მთელ იმპერიას ვაჩუქებ» [74, 62-64].

სულტანი ემზადებოდა მუჰამედ ალისთან ახალი ომისთვის. ევროპელი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით, მან შექმნა

რეგულარული ქვეითი ჯარი, რომელიც 1837 წ. 70 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. 1834წ. სულტნის დადგენილებით შეიქმნა ტერიტორიული მილიცია. თითოეულ სანჯაყში, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით (23 _ 32 წლის მამაკაცები), იქმნებოდა მილიციის რაზმები _სულ 1400 მილიციელის ოდენობით. მაჰმუდ II ცდილობდა შეექმნა ბრძოლისუნარიანი სამხედრო_საზღვაო ფლოტი. სულტანმა მოაწესრიგა იმპერიის ადმინისტრაციული სისტემა. 1834წლიდან შეიქმნა ახალი

ადმინისტრაციული ერთეულები. 1834-39 წწ. ოსმალეთის იმპერიაში შეიქმნა სამინისტროები, 1837წ. მინისტრთა საბჭო, 1838წ. დიდვაზირს დაერქვა პრემიერ_მინისტრი. 1831წ. ოსმალეთში სამხედრო-ლენური სისტემის ლიკვიდაცია დაიწყო, რომელსაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ფეოდალები და რომელიც, ამის გამო, 30 წელი გაგრძელდა. მთლიანად ჩამოართვეს 2500 მიწის ნადელი, რომელთა მართვა და გადასახადების აკრეფაც სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ყოფილ მიწათმფლობელებს სულტანი ყოველწლიურად პენსიას უხდიდა _ 60 მლნ. პიასტრს, რაც 3,5 ჯერ აღემატებოდა ახალი სამხედრო ფორმირებების შენახვისათვის საჭირო თანხას [27, 155-162; 77, 186-187; 38,]. მაჰმუდ II- განზრახული ჰქონდა, მუჰამედ ალის მსგავსად, ვაკფების კონფისკაციაც, მაგრამ ვერ გაბედა აშკარა ზიანის მიყენება მუსლიმი სასულიერო წრის ეკონომიკური ინტერესებისათვის და მხოლოდ ვაკფის შემოსავლებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებით დაკმაყოფილდა [90, 94; 98, 58-61]. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სულტნის საგარეო პოლიტიკაშიც. ოსმალეთის ხელისუფლებამ ევროპა თანასწორუფლებიან პარტნიორად აღიარა და მჭიდრო დიპლომატიური კავშირი დაამყარა მასთან[46]. 1834 წელს ოსმალეთის საელჩოები გაიხსნა პარიზსა და ლონდონში, 1835 წ. _ ვენაში, 1837წ. ბერლინსა და 1840წ. ათენში კი წარმომადგენლობები. პარიზში იმპერიის საგანგებო წარმომადგენლად დაინიშნა მუსტაფა რეშიდ ფაშა, რომელიც როგორც სამშობლოში, ისე ევროპაში გამოცდილ დიპლომატად ითვლებოდა. მის წინაშე შემდეგი ამოცანები იდგა:

ა) შეესუსტებინა მუჰამედ ალისთვის საფრანგეთის მხარდაჭერა.

ბ) დაებრუნებინა საფრანგეთის მიერ 1830წ. ოკუპირებული ალჟირი.

რეშიდ ფაშა თვლიდა, რომ საელჩოების არსებობა ევროპის სახელმწიფოებში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთს იმპერიისათვის. მათი მეშვეობით, შესაძლებელი გახდებოდა ევროპულ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების დროულად გაგება და ზომების მიღება. მისი აზრით, სწორედ თურქული საელჩოების არ არსებობის გამო მოახერხა მუჰამედ ალიმ ევროპის საზოგადოებრივი აზრის მიმხრობა [46, 66-69]. სულტანი ყოველნაირად ცდილობდა ფაშას დასუსტებას. ის

[46] .უკვე XVIII ს-დან ოსმალეთს ჰქონდა საელჩოები პარიზში, ლონდონში, ვენაში, ბერლინსა და ათენში. ევროპის ქალაქებში ჰყავდა გენერალური კონსულები _ბაშ-შეხბენდერები და კონსულები შეხბენდერი [4,111-112].

ეხმარებოდა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულ სირია–პალესტინის მოსახლეობას, რის საპასუხოდაც, მუჰამედ ალიმ 1834 წ. დაიკავა ურფა მიმდებარე ტერიტორიებით. მაჰმუდ II-მ ოკუპირებული პროვინციების მეზობლად მდებარე სივასის საფაშოს ვალიდ დანიშნა რეშიდ მეჰმედ ფაშა, რომელმაც სასტიკად ჩაახშო სარეკრუტო გაწვევის წინააღმდეგ ქურთებისა და თურქმენების გამოსვლები [73, 11-12].

თავის მხრივ, მუჰამედ ალიც ემზადებოდა სულტანთან მოსალოდნელი ომისათვის. მას სურდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს ეგვიპტეში ჰყოლოდათ არა კონსულები, არამედ სრულუფლებიანი წარმომადგენლები. კაირომ დაიწყო სტამბოლის კონკურენცია, როგორც პოლიტიკურმა ცენტრმა ახლო აღმოსავლეთში. ეგვიპტის რეგულარული არმია 150 ათას კაცს აღწევდა. საზღვრის გასწვრივ საოკუპაციო ხელისუფლება აშენებდა სიმაგრეებს, ყიდულობდა სამხედრო აღჭურვილობას. ადანას რაიონში ეგვიპტის გარნიზონი 10 ათას მეომარს ითვლიდა [112, 312]. მიუხედავად ორმხრივი საომარი სამზადისისა, ომის დაწყებისათვის არცერთი მხარე მზად არ იყო. ფრანგი მარშალი მარმონი 1835წ. აღნიშნავდა: « სულტანი არ არის საკმაოდ ძლიერი, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ფაშას, მაგრამ არც მუჰამედ ალი დაიწყებს ომს. ... ფაშა გრძნობს რომ თავდაცვისათვის ყოველთვის უნდა იყოს მზად.» მარმონის აზრით, შეტევისათვის მოსამზადებლად ფაშას დაახლოებით 4 – 5 წელი დასჭირდებოდა [74, 65].

გარეგნულად სულტანსა და მის ვასალს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ. მუჰამედ ალი იხდიდა გადასახადს. მან დაცალა ურფა. ეგვიპტის ჯარები ეხმარებოდნენ სულტანს ქურთების აჯანყების ჩახშობაში. თავის მხრივ, მაჰმუდ II-ც არ ერეოდა ფაშას ურთიერთობაში დრუზებთან. მუჰამედ ალის მომხრეები ჰყავდა სტამბოლის უმაღლეს წრეებშიც. ზოგი მათგანი მოითხოვდა მის დანიშვნას დიდვაზირის პოსტზე. მუჰამედ ალისთან შერიგების მომხრეები დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ სერ-ასკერ ხუსრევ ფაშას მხრიდან. 1836წ. სასახლის ინტრიგების შედეგად, ის გადააყენეს თანამდებობიდან. მასთან ერთად თანამდებობები დატოვეს რეის ეფენდიმ (საგარეო საქმეთა მინისტრმა) _ მეჰმედ აკიფ ფაშამ და სხვა მაღალჩინოსნებმა. ხუსრევ ფაშას ადგილი დაიკავა სულტნის სიძემ _ რიფათ ხალილ ფაშამ. სერ-ასქერის გადაყენებისთანავე დაიწყო მოლაპარაკებები სტამბოლ-კაიროს შორის ურთიერთშეთანხმებაზე. 1837 წლის

იანვარში მუჰამედ ალისთან მოლაპარაკების საწარმოებლად გაიგზავნა ბეილიკჩი (საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე) _ სარიმ ეფენდი. პორტა თანხმდებოდა მემკვიდრეობითი უფლებებით გადაეცა მუჰამედ ალისთვის ეგვიპტე და არაბეთის ნახევარკუნძული. უარის შემთხვევში აქქისა და ტარაბლუსის სანჯაყებს უმატებდა სიცოცხლის მანძილზე სამართავად. მუჰამედ ალიმ უარი განაცხადა შეთავაზებულ პირობებზე. მოლაპარაკება ჩაიშალა, რასაც სულტანსა და მის ვასალს შორს ურთიერთობის კვლავ გამწვავება მოჰყვა [74, 66]. 1837წ. ივნისში მუსტაფა რეშიდ ფაშა დაინიშნა ოსმალეთის იმპერის საგარეო საქმეთა მინისტრად. აგვისტოში ინგლისის დედოფალთან აუდიენციის დროს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა პალმერსტონმა მუსტაფა რეშიდს ამცნო, რომ ინგლისი მუჰამედ ალის თვლის მხოლოდ ეგვიპტის გუბერნატორად და არასოდეს დათანხმდება ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე [47, 77].

ბრიტანეთის პროოსმალურ პოლიტიკას შემდეგი მიზეზები განაპირობებდა:

ა) ეგვიპტე-ოსმალეთის I შეიარაღებული კონფლიქტის დროს ფაშას სამხედრო წარმატებებმა გამოიწვიეს რუსეთის ჩარევა ოსმალეთის საშინაო საქმეებში. რუსეთმა ჯარები გადმოსხა სტამბოლში და დადო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება, რომლის საიდუმლო მუხლითაც, რუსეთის სამხედრო გემებს (სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით) შეეძლოთ მარმარილოს ზღვაში შესვლა. ამასთან, ორივე მხარემ ვალდებულება აიღო საგარეო პოლიტიკაში არ გადაედგათ არანაირი ნაბიჯი კონსულტაციების გარეშე. ლორდ პალმერსტონს მიაჩნდა, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის ელჩი ხდებოდა სულტნის მთავარი მრჩეველი.

ბ) ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებს არ პასუხობდა ეგვიპტის ფაშას პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე. სირიის შეერთებით ეგვიპტე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ იქცა ხმელთაშუა ზღვის აუზში. ის აკონტროლებდა ინდოეთისაკენ მიმავალ გზებს, როგორც წითელი ზღვისა და სუეცის ყელის მიდამოებში, ისე მდინარე ევფრატსა და ერაყის რაიონში [88, 174; 113, 409-410;].

გ) 1838წ. დაიდო ინგლის _ ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერეს ოსმალეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა მუსტაფა რეშიდ ფაშამ და ინგლისის მხრიდან ბრიტანეთის ელჩმა ოსმალეთის იმპერიაში პონსონბიმ. ხელშეკრულების «თავისუფალი ვაჭრობის შესახებ» მიხედვით ინგლისის

ქვეშევრდომებს მიეცათ შეუზღუდავი ვაჭრობის უფლება იმპერიაში. ევროპული საქონლის იმპორტზე გადასახადი 5%-ით განისაზღვრა, ხოლო ექსპორტზე _ 12%-ით. გაუქმდა მონოპოლიები ზოგიერთი პროდუქტის შესყიდვაზე. ინგლისის სავაჭრო გემებს შეეძლოთ თავისუფალი ნაოსნობა შავ ზღვაზე და სრუტეებში. 1839 წლის 1 მარტს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. ოსმალეთი გადაიქცა ღია ბაზრად ევროპული ეკონომიკისთვის. თურქი ჟურნალისტი ავჯიოღლუ უარყოფით შეფასებას აძლევდა ხელშეკრულების შედეგებს. იგი წერდა: «დიდმა რეშიდ ფაშამ თურქეთს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა» [45, 69-80; 86, 34; 76, 8-9]. ხელშეკრულებას დადებითი შედეგებიც ჰქონდა ოსმალეთის იმპერიისთვის. მოხდა სახელმწიფო მონოპოლიების სისტემის ლიკვიდაცია და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა. 1839_41წწ. ხელშეკრულებას შეუერთდა საფრანგეთი, პრუსია, გერმანიის სავაჭრო ქალაქები, სარდინია, ჰოლანდია, შვეცია, ესპანეთი, ბელგია, დანია, ტოსკანა, 1846წ. კი რუსეთი [47, 94].

XIX ს. 30 – 40-იან წლებში ინგლისმა განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა თურქეთთან ვაჭრობაში, ხოლო საფრანგეთმა დათმო თავისი პოზიციები. 1789წ. საფრანგეთის ვაჭრობა ლევანტში შეადგენდა სხვა ევროპული სახელმწიფოების საერთო თანხის ნახევარს, 1842წ. კი მხოლოდ მეექვსედს. ამავე წელს ინგლისის წილი 25% გაუთანაბრდა. ბრიტანელებმა გახსნეს ახალი გზები დამასკოსა და ტრაპიზონის გავლით. მათ ალღო აუღეს თურქი მომხმარებლის გემოვნებას და რეორგანიზებული თურქული არმიის საჭიროებას. მუჰამედ ალის მიერ ოკუპირებულ პროვინციებში ხელშეკრულება არ ამოქმედდა. ფაშამ აკრძალა ინგლისის იაფი საფეიქრო ნაწარმი, რაც ადრე სირიისა-ეგვიპტის ბაზრებს ავსებდა და ადგილობრივ მეწარმეებს აკოტრებდა. ეს იყო ინგლისის პირდაპირი გამოწვევა [51, 242]. ყოველივე ამან გამოიწვია ბრიტანეთის აგრესიული პოლიტიკა მუჰამედ ალის მიმართ.

მაჰმუდ II არ შეეძლო საომარი კამპანიის დაწყება ევროპის სახელმწიფოთა თანხმობის გარეშე. 1834წ. აჯანყების დროს სირია-ლიბანში სულტანმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ხელსაყრელი შემთხვევა და განეახლებინა საომარი მოქმედებები. მან ოსმალეთის ფლოტის ეგვიპტის სანაპიროებისაკენ გაგზავნის ბრძანებაც კი გასცა, მაგრამ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგობამ ააღებინა ხელი განზრახვაზე. 1834წ. ინგლისმა მხარი არ დაუჭირა სულტნის მოთხოვნას სამხედრო კამპანია დაეწყო მუჰამედ ალის წინააღმდეგ. დ.გ. როზენი აღნიშნავდა, რომ ინგლისს სჭირდებოდა

მუჰამედ ალის კეთილი ნება ინდოეთთან კავშირის გასაუმჯობესებლად და ამიტომ ურჩია დივანს თავი შეეკავებინა თავდასხმისაგან [14,239-240]. XIX ს. 30-იანი წლების I ნახევარში ინგლისი, ჯერ კიდევ, ცდილობდა მუჰამედ ალისთან მეგობრული კავშირის დამყარებას. ინგლისის კაბინეტის მეთაური გრეი წერდა: «ინგლისს ჰქონდა ფართო სავაჭრო კავშირები მუჰამედ ალისთან, რომელთა გაწყვეტაც მის ინტერესში არ შედიოდა»[47, 65]. ამერიკელი ისტორიკოსი როდკიც აღნიშნავდა, რომ ბრიტანელთა ნაწილი თვლიდა, რომ მათ ქვეყანას, საფრანგეთის მსგავსად, მხარი უნდა დაეჭირა მუჰამედ ალისათვის და არა სულტნისთვის. მაჰმუდ II საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ოსმალეთ – ეგვიპტის კონფლიქტის გადაჭრა ევროპის სახელმწიფოთა ჩარევის გარეშე არ მოხერხდებოდა. ასეთი იყო ბრიტანეთის პოზიცია ამ კონფლიქტთან მიმართებაში.

რაც შეეხება ევროპის სხვა წამყვან სახელმწიფოებს, პრუსიამ, ჯერ კიდევ, 1833წ. განაცხადა რომ არ ჩაერეოდა აღმოსავლეთის საკითხში. ავსტრიას არ სურდა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრა, რადგან ეს გამოიწვევდა უნკიარ-ისკელესიის ხელშეკრულების ამოქმედებას და რუსეთის ჯარების შესვლას იმპერიის ტერიტორიაზე. გარეგნულად მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ავსტრია რუსეთის გავლენის სფეროების გაზრდის წინააღმდეგი იყო. ოსმალეთის ელჩი ჯერ პარიზში, შემდეგ კი ლონდონში, ხოლო 1837 წლიდან იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი _ მუსტაფა რეშიდ ფაშა ავსტრიის პოლიტიკას რუსეთის მიმართ შემდეგნაირად აფასებდა: « აჩვენებს რა თავს რუსეთის ერთგულ მეგობრად, არკვევს მის მისწრაფებებს და შეუმჩნევლად უთანხმებს თავის მოქმედებას რუსეთის მოწინააღმდეგე ქვეყნების მოქმედებას, ეწინააღმდეგება რუსეთის სანუკვარი მიზნების განხორციელებას ამ სახელმწიფოთა მეშვეობით» [47, 84].

რუსეთი, მიუხედავად უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებისა, არ იყო მომხრე საკითხის სამხედრო გზით მოგვარებისა. ის აფართოებდა ეგვიპტესთან ვაჭრობას, სურდა ფაშასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ დაიწყებდა ომს სულტნის წინააღმდეგ. ამავე დროს, მეფის რუსეთი ცდილობდა ინგლისთან ხელშეკრულება დაედო ახლო აღმოსავლეთის საკითხზე და ამისთვის ინგლის _ საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობები გამოეყენებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1836 წლის მარტის რუსეთ_ოსმალეთის ხელშეკრულება,

რომლის საფუძველზეც რუსეთმა უარი თქვა ადრიანოპოლის ზავით მიღებული კონტრიბუციის ნაწილზე და
ვალდებულება აიღო დარჩენილი თანხის მიღებიდან ერთ წელში გაეყვანა ჯარები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიიდან [63, 219].

საფრანგეთი მხარს უჭერდა მუჰამედ ალის მისი საშინაო პრობლემების გადაწყვეტაში, ეხმარებოდა რეფორმების განხორციელებაში და იზიარებდა მის პრეტენზიას _ შეენარჩუნებინა ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულებით მიღებული პროვინციები. საფრანგეთის ინტერესების სფეროში შედიოდა ახლო აღმოსავლეთში ეგვიპტის გაძლიერება, რაც ფაქტიურად მისი გავლენის გაზრდას ნიშნავდა ხსენებულ რეგიონში. ამ პერიოდში, საფრანგეთის გავლენის სფეროში აღმოჩნდა ალჟირი, იგი იბრძოდა თუნისში გაბატონებისათვის. თუ სირია_ეგვიპტე მუჰამედ ალის გადაეცემოდა, მაშინ ხმელთაშუა ზღვის აუზში მისი გავლენა ფაქტობრივად შეუზღუდავი იქნებოდა. არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ ხმელთაშუა ზღვა საფრანგეთის ტბად გადაქცეულიყო [73, 45]. ამისდა მიუხედავად საფრანგეთი არ ემხრობოდა პრობლემის შეიარაღებული გზით გადაწყვეტას, რადგან ეს გამოიწვევდა უნკიარ – ისკელესის ხელშეკრულების ამოქმედებას და რუსეთის ჩარევას ოსმალეთის საშინაო საქმეებში. ასეთი იყო ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის მიმართ.

1838წ. პოლიტიკურ ასპარეზზე, დაბრუნდა და იმპერიის სახელმწიფო საბჭოს _ რეის-ი-შურას ხელმძღვანელად დაინიშნა ხუსრევ ფაშა, რაც, ერთი შეხედვით, სამხედრო ოპერაციების დაწყებას ნიშნავდა, მაგრამ ამჯერად ხუსრევ ფაშა არ იყო ომის განახლების მომხრე. ის სთხოვდა სულტანს გაეგრძელებინა ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი სამოქალაქო და სამხედრო რეფორმები [74, 67].

მაჰმუდ II აქტიურად ემზადებოდა მუჰამედ ალისთან ომისთვის. 1838 წლის ოქტომბერში მუსტაფა რეშიდ ფაშა, სულტანის ბრძანებით, გაემგზავრა შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში ევროპის სახელმწიფოების პოზიციის გასარკვევად. ავსტრიის კანცლერმა _ მეტერნიხმა განაცხადა, რომ რადგან მუჰამედ ალი ნებაყოფლობით არ იტყოდა უარს ძალაუფლებაზე, უმჯობესი იქნებოდა დაეცადათ ფაშას სიკვდილისთვის. პრუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვერთერმა ასევე საკითხის გადადება ურჩია. ლონდონში მუსტაფა რეშიდ ფაშამ დაიწყო მოლაპარაკება პალმერსტონთან, რომელმაც არ მოიწონა ოსმალეთის პროექტი დაუყოვნებლივ

მოექცია სირიის სანაპირო ზოლი ბლოკადაში. ინგლისი ერიდებოდა კონფლიქტში რუსეთისა და საფრანგეთის ჩართვას [47, 103]. თუ 1837 წლის დასაწყისში პალმერსტონი თვლიდა, რომ ომი მუჰამედ ალისთან შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო ოსმალეთის იმპერიისთვის, უკვე აგვისტოში ის სირიის სწრაფ გათავისუფლებაზე ალაპარაკდა. მისი აზრით, სათანადო მომზადების შემდეგ მაჰმუდ II შეძლებდა ურჩი ვასალის დასჯას და სირიის დაბრუნებას [47, 79]. « პალმერსტონმა გადაწყვიტა არ გაემეორებინა 1833წ.-ის შეცდომები და მხარი დაეჭირა სულტნისთვის საფრანგეთთან ან მის გარეშე « _ წერდა ტატიშჩევი [16, 420].

§2 ევროპის სახელმწიფოთა წვლილი ოსმალეთ _ ეგვიპტის II (1839 – 1841 წწ.) კონფლიქტის დარეგულირებაში

1839 წლის 21 აპრილს მაჰმუდ II-ის ბრძანებით ოსმალეთის არმიამ გადალახა ანატოლიის საზღვარი და დაიკავა ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებული პუნქტები. პორტას ზოგიერთი მინისტრი და მსხვილი ფეოდალი წინააღმდეგი იყო სამხედრო კამპანიისა რადგან მიაჩნდათ, რომ ოსმალეთის არმიას არ შეეძლო ეგვიპტის ჯარის დამარცხება. თავის მხრივ, არც იბრაჰიმ ფაშას ჰქონდა მყარი მდგომარეობა სირიაში, რადგან 30-იანი წლების მეორე ნახევარში, მან მკვეთრად გაზარდა გადასახადები, რამაც სამხედრო გაწვევის შემოღებასა და განიარაღების მოთხოვნასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამის მიუხედავად, ეგვიპტის არმია ბრძოლისუნარიანობით ჯობნიდა ოსმალეთის ჯარს. 1 ივნისს ჰაფიზ ფაშამ დაიკავა აინთაბი, 7 ივნისს სულტანმა მუჰამედ ალი და იბრაჰიმ ფაშა მეამბოხეებად გამოაცხადა და სირია _ ეგვიპტის გამგებლად ჰაფიზ ფაშა დანიშნა [112, 317]. სერ-ასქერი _ იბრაჰიმ ფაშა, შტაბის უფროსი _ სულაიმან ფაშა და სამხედრო მინისტრი აჰმედ მენიქლი ფაშა ჰალებიდან ადევნებდნენ თვალყურს ოსმალეთის ჯარების მოძრაობას. 19 მაისს თურქები მიადგნენ ნეზიბს [40, 99]. მაჰმუდ II კარგად იცნობდა პოლიტიკურ სიტუაციას სირიაში, იცოდა მოსახლეობის განწყობა. ის თვლიდა, რომ იმპერიის ჯარების კონცენტრაცია სირიის საზღვართან, გამოიწვევდა ანტიეგვიპტურ გამოსვლებს ქვეყანაში, რაც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზრდებოდა. ამავე დროს, სირია _ პალესტინის ტერიტორიაზე სხვადასხვა მხრიდან შეიჭრებოდნენ: ალი ფაშა ბაღდადელი _ ერაყიდან, მოსულიდან _ ინჯე

მეჰმედ ფაშა, მარაშის ქურთი გამგებელი _ სულაიმან ფაშა- მომთაბარე ქურთებით. სულტნის სარეზერვო დივიზიები ჰაჯი ალი – ფაშასა და იზზეთ მეჰმედ ფაშას ხელმძღვანელობით _ კონიასა და ანკარაში იყვნენ დისლოცირებულნი. ოსმალეთის ფლოტი სირიის სანაპირო ზოლს გააკონტროლებდა. ამგვარად, ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებით შესაძლებელი გახდებოდა იბრაჰიმ ფაშას დამარცხება [2, 158]. მაგრამ იბრაჰიმ ფაშამ არ აცადა მოვლენებს ამგვარი განვითარება. მან მოწინააღმდეგის ზურგში შემოვლითი მანევრი განახორციელა და ჰაფიზ ფაშას ბრძოლის საკუთარი გეგმა მოახვია თავს. ჰაფიზ ფაშას არმიაში მყოფმა პრუსიელმა ოფიცრებმა ადვილად გამოიცნეს სერ-ასქერის განზრახვა _ საომარი მოქმედებები მტრის ზურგში გადაეტანა, რის შედეგადაც ოსმალეთის არმია დაკარგავდა მის მიერ არჩეულ და კარგად გამაგრებულ პოზიციებს. მათ ურჩიეს ჰაფიზ ფაშას უკან დაეხია გამაგრებულ ბანაკში ბირეჯიკში _ ევფრატის სანაპიროზე. ჰაფიზ ფაშამ არ გაითვალისწინა პრუსიელების რჩევას, რადგან სამხედრო ბანაკში მყოფმა იმამებმა განაცხადეს, რომ სულტნის «ძლევამოსილი» არმია ყოველთვის წინ მიიწევს და არ ამბობს უარს ბრძოლაზე. მან არ დაიკავა ხიდი და გადასასვლელი ფონი, რომლითაც ეგვიპტის ჯარი მდინარეზე უნდა გადასულიყო, რის შედეგადაც მან ბრძოლის დროსა და ადგილის არჩევის საშუალება დაკარგა. სულტნის არმია შედგებოდა 57 ბატალიონის, 50 კავალერიის ესკადრონისაგან _ სულ დაახლოებით 33 ათასი ქვეითი, 5 ათასი კავალერისტი, 3 ათასი კანონირი და 140 ერთეული საარტილერიო იარაღი. ეგვიპტის არმიაში იყო 14 ქვეითი პოლკი და 3 ბატალიონი, 32 კავალერიის ესკადრონი, 3 ათასი ბედუინი და 4 საარტილერიო პოლკი _ 130 ერთეული იარაღით _ სულ 40 ათას კაცამდე. ჰაფიზ ფაშას შეცდომების შედეგად, ოსმალეთის არმია დამარცხდა. მთელი ბანაკი, არტილერია, აღალი, 10 ათასი ტყვე, 12 ათასი ერთეული იარაღი და არმიის ხაზინა – 6 მლნ. ფრანკით ხელთ იგდო ეგვიპტის ჯარმა [119, 199; 112, 323; 2, 168-170]. 29 ივნისს იბრაჰიმ ფაშამ დაიკავა ურფა, აიღო ქალაქები მალათია, აინთაბი, მარაში. 1839 წლის 28 ივლისის ფირმანით, ჰაფიზ ფაშას ბრალად დაედო სულტნის ბრძანების გარეშე საომარი მოქმედებების დაწყება. მიუხედავად იმისა, რომ მან წარადგინა სულტნის პირადი წერილი, რომელშიც მაჰმუდ II მას საბრძოლო მოქმედებების დაწყებას უბრძანებდა, ის სივასში გადაასახლეს. მუჰამედ ალის ბრძანებით, მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამდღიანი სალუტით აღნიშნეს ნეზიბთან გამარჯვება.

1839 წლის 1 ივლისს გარდაიცვალა სულტანი მაჰმუდ II, მან ვერ შეიტყო თავისი არმიის მარცხი. ტახტზე ავიდა თექვსმეტი წლის
აბდულ-მეჯიდი [123,]. სულტნის სიკვდილმა მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. დაიწყო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ბრძოლა ძალაუფლებისათვის. დიდვაზირად დაინიშნა ხუსრევ ფაშა, თუმცა სტამბოლში მომხრეები ჰყავდა მუჰამედ ალის კანდიდატურასაც. 1839 წლის 14 ივლისს ოსმალეთის ფლოტი (9 დიდი სახაზო გემი, 10 ფრეგატი, 5 ხომალდი, 21, 107 ჯარისკაცი და მეზღვაური) აჰმედ ფევზი ფაშას ხელმძღვანელობით ჩაბარდა ეგვიპტის ფლოტს [112, 324-325]. ამგვარად, ოსმალეთის იმპერიამ სამ კვირაში დაკარგა სულტანი, არმია და ფლოტი. პორტა იძულებული გახდა ზავი შეეთვაზებინა მუჰამედ ალისთვის. 10 ივლისს ეგვიპტის ფაშასთან გამოცხადდა ელჩი, რომელმაც გადასცა სულტნის სპეციალური ხატტი ჰუმაიუნი, დიდვაზირის წერილი და ორდენი «ნიშან ი-იფთიხარი» (დიდების ორდენი). სულტანი მემკვიდრეობითი უფლებებში აძლევდა მუჰამედ ალის ეგვიპტეს. ფაშამ მოითხოვა მთელი სირია, კრეტა, არაბეთის ნახევარკუნძული, ამასთან ხუსრევ ფაშას გადაყენება. სანაცვლოდ აღუთქვა ფლოტის დაბრუნება. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა [73, 44]. სულტანს არ შეეძლო სამხედრო ოპერაციების გაგრძელება და გადაწყვიტა სირიის დათმობა. მუჰამედ ალისთან გასამგზავრებლად ემზადებოდა იუსტიციის მინისტრი ელ _ ჰაჯი საიბ ეფენდი, მაგრამ ვიზიტი არ შედგა. კონფლიქტის შესახებ პირველივე ცნობებმა შეაშფოთეს ევროპის სახელმწიფოები. მეფის რუსეთს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა კონსტანტინოპოლის დალაშქვრისა. დანარჩენი ევროპული ქვეყნები ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების პირობების განხორციელებას. 1839წ. მაისში ლორდმა პალმერსტონმა შესთავაზა საფრანგეთს ხელშეკრულების დადება და გაერთიანებული ფლოტის შეყვანა დარდანელში, რათა წინ აღდგომოდნენ რუსების გამოჩენას კონსტანტინეპოლთან. საფრანგეთმა უარი თქვა ამ წინადადებაზე, რადგან ეშინოდა ომის პროვოცირებისა და ამასთან, არ ენდობოდა ინგლისს. მაისში ავსტრიამ შესთავაზა ვენაში კონფერენციის გამართვა ევროპის ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც განიხილავდა ოსმალეთის იმპერიაში რუსეთის პროტექტორატის შეცვლას კოლექტიური ევროპული გარანტიით. აქვე გადაწყდებოდა სრუტეების საკითხიც [44, 387]. 27 ივლისს ავსტრიის კანცლერმა მეტერნიხმა გადასცა პორტას ევროპის

სახელმწიფოების კოლექტიური ნოტა, რომელშიც მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ საკითხის გადაწყვეტისგან მათი თანხმობის გარეშე. ნოტის მიხედვით: « ქვემორე ხელის მომწერებს აქვთ პატივი აცნობონ ბრწყინვალე პორტას, ... რომ უზრუნველყოფილია 5 სახელმწიფოს სოლიდარობა აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ მათ დავალებული აქვთ სთხოვონ ბრწყინვალე პორტას თავი შეიკავოს ნებისმიერი მოქმედებისგან მათი თანხმობის გარეშე და დაუცადოს ამ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას» [44, 389]. ნოტა ნიშნავდა ევროპის სახელმწიფოთა აშკარა ჩარევას იმპერიის საშინაო საქმეებში, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთის მმართველ წრეებსა და დედაქალაქის მოსახლეობაშიც. მუჰამედ ალი ცდილობდა პირდაპირი მოლაპარაკებები დაეწყო სულტანთან. მას მრავალი მომხრე ჰყავდა იმპერიის გავლენიან წრეებში, რომელთა შორის სულტნის დედაც (ვალიდე სულტანი) მოიაზრებოდა [73, 58-59]. ოსმალეთის იმპერიის მმართველი წრეების ძირითადი პოლიტიკური ამოცანები იყო: ა) მუჰამედ ალისთვის მემკვიდრეობითი უფლებებით გადაეცა მხოლოდ ეგვიპტე, ბ) გაეუქმებინა 1833წ. 8 ივნისის უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება და გ) დაეკეტა სრუტეები სხვა სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის.

1839 წლის 15 სექტემბერს რუსეთის წარმომადგენელი ბარონი ბრუნოვი ჩავიდა ინგლისში აღმოსავლეთის საკითხზე მოლაპარაკებების საწარმოებლად და ინგლისთან ხელშეკრულების დასადებად. ნიკოლოზ I-ის გადაწყვეტილება ინგლისთან კავშირი შეეკრა შემდეგმა მიზეზებმა განაპირობეს: 1830 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთს არ სურდა ხელშეკრულების დადება საფრანგეთთან. ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ რუსეთის ძირითადი მეტოქეები ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სირიასა და ეგვიპტეში. ნიკოლოზ I-ის აზრით საფრანგეთთან დაპირისპირება ინგლისს რუსეთთან კავშირისკენ უბიძგებდა. იმპერატორის მიერ მცდარი გადაწყვეტილების მიღებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ნესელროდეს თვალსაზრისმა, რომელიც უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებას საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბვის მთავარ მიზეზად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო მისი გაფართოება ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ჩართვით [21, 60-61]. ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის ოფიციალურ გახსნამდე მან გამართა საიდუმლო მოლაპარაკება პალმერსტონთან. რუსეთი, რათა ინგლისი მასთან კავშირით

დაეინტერესებინა, უარს ამბობდა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რის სანაცვლოდაც მოითხოვდა სრუტეების ჩაკეტვას სამხედრო გემებისათვის როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოება. პალმერსტონი მოწონებით შეხვდა ნიკოლოზ I-ის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მას სურდა სადაო საკითხების საფრანგეთთან ერთად გადაჭრა, რუსეთი კი საფრანგეთის იზოლაციას ესწრაფოდა. ბრუნნოვმა ვერ მოახერხა ინგლისთან ხელშეკრულების დადება და ოქტომბერში დაბრუნდა პეტერბურგში ახალი ინსტრუქციების მისაღებად.

პალმერსტონმა შესთავაზა საფრანგეთს მუჰამედ ალისთვის მემკვიდრეობითი უფლებით გადაეცათ ეგვიპტე და აქქის საფაშო (აქქის გარეშე). მეტერნიხი და ვერთერი ავსტრიისა და პრუსიის სახელით ურჩევდნენ ლუი-ფილიპეს (საფრანგეთის მონარქის) დათანხმებოდა ინგლისის წინადადებას. ამ პერიოდში ბრუნნოვიც დაბრუნდა ლონდონში ნიკოლოზ I-ის ახალი წინადადებით სრუტეების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სულტანს დახმარება დასჭირდებოდა, რუსეთის ფლოტი არ ჩაუკეტავდა ბოსფორსა და დარდანელს სხვა ევროპული ქვეყნების ესკადრებს. ამ შემთხვევაში, რუსეთმა მიაღწია ბრიტანეთის ხელისუფლების თანხმობას.

1839 წლის დეკემბერში, პალმერსტონის ინიციატივით, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის სამთავრობო კაბინეტები შეიკრიბნენ ლონდონის კონფერენციაზე. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გიზო ყოველნაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა შეთანხმების მიღწევა. თავდაპირველად ის იმიზეზებდა, რომ პორტას წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ კონფერენციას. 1840 წლის მარტიდან კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ოსმალეთის წარმომადგენელი _ ნური ეფენდი, ივნისიდან კი შეიკიბ ეფენდი [41, 42-44]. მათი მონაწილეობა ოსმალეთისათვის იყო იმის გარანტი, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის (ამ შემთხვევაში ინგლის_რუსეთს შორის) არანაირ გარიგებას იმპერიის გაყოფაზე ადგილი არ ექნებოდა. ინგლისის, რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლებმა შესთავაზეს საფრანგეთის მთავრობას, გადაეცათ მუჰამედ ალისთვის ეგვიპტე მემკვიდრეობით უფლებებში, ხოლო აქქის საფაშო სიცოცხლის მანძილზე სამართავად. მათ მოსთხოვეს საფრანგეთის წარმომადგენელს მიეღო

გადაწყვეტილება. მაგრამ საფრანგეთის მთავრობა კვლავ ცდილობდა დროის გაჭიანურებას, რადგან 1840 წლის მაისში გადააყენეს მუჰამედ ალის პირადი მტერი _ დიდვაზირი ხუსრევ ფაშა, რასაც მოჰყვა სულტანსა და ფაშას შორის საიდუმლო მოლაპარაკებების დაწყება საფრანგეთის ელჩის _ პონტუას მეთვალყურეობით. ეს საიდუმლო ადვილად გახსნეს ინგლისის ელჩმა კონსტანტინეპოლში _ პონსონბიმ და ავსტრიის წარმომადგენელმა პარიზში _ აპპონიმ. პალმერსტონმა გადაწყვიტა საფრანგეთის გარეშე, ვიდრე სულტანი და მისი ვასალი შეთანხმებას მიაღწევდნენ, დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოებთან დაედო ხელშეკრულება. რეალურად არსებობდა იმის საფრთხე, რომ ამას ევროპაში ომი გამოეწვია, მაგრამ პალმერსტონი დარწმუნებული იყო რომ ლუი-ფილიპე ომს არ დაიწყებდა, რაც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს. 1840 წლის 15 ივლისს ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ დ პრუსიამ ხელი მოაწერეს ლონდონის I კონვენციას, რაც ინგლისის დიპლომატიისა და მისი მეთაურის ლორდ პალმერსტონის უდიდესი გამარჯვება იყო. კონვენციის პირობებით:

1) მუჰამედ ალის მემკვიდრეობითი უფლებებით გადაეცემოდა ეგვიპტე, სიცოცხლის მანძილზე სამართავად კი პალესტინა (აქქის საფაშო). დანარჩენი ტერიტორიები უბრუნდებოდა სულტანს.

2) ფაშა ვალდებული იყო დაეცვა ოსმალეთის იმპერიის კანონები მის მფლობელობაში მყოფ პროვინციებში და განეხორციელებინა სულტნის მიერ ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება.

3) მას უნდა დაებრუნებინა ოსმალეთის ფლოტი.

4) ეგვიპტის სახმელეთო და საზღვაო ძალები ითვლებოდა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებად.

5) თუ ფაშა ათ დღეში არ შეასრულებდა ამ მოთხოვნებს, ის დაკარგავდა აქქის საფაშოს.

6) ოცი დღის გასვლის შემდეგ კი მუჰამედ ალის ეგვიპტესაც ჩამოართმევდნენ [120, 102].

ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება იყო დიდი მოულოდნელობა საფრანგეთისთვის. ლუი-ფილიპემ ამ აქტს დიპლომატიური ვატერლოო უწოდა. მან სცადა კონვენციის დარღვევა, ავსტრია _ პრუსიის დაშინება საფრანგეთთან ომითა და რეინის ოლქის ოკუპაციით. ინგლისს შესთავაზა 1834 წლის ინგლის _ საფრანგეთის

ხელშეკრულების განახლება და «აღმოსავლეთის საკითხში» თანამშრომლობა. ბრიტანეთის კაბინეტის წევრთა უმრავლესობამ, რომლებიც რუსეთთან დაახლოებას ეწინააღმდეგებოდნენ, მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. მაგრამ პალმერსტონმა აუცილებლად ჩათვალა კონვენციის შენარჩუნება [44, 402].

მეფის რუსეთი, რომელიც ხელშეკრულებას ძირითადად ბრუნნოვის ინფორმაციით იცნობდა, ეთანხმებოდა კონფერენციის გადაწყვეტილებას ძირითადად მისი ანტიფრანგული მიმართულების გამო. საფრანგეთის მონარქმა რუსეთის მონაწილეობა ლონდონის I კონვენციის დადებაში შემდეგნაირად შეაფასა: « იმპერატორი ვერ შეეგუა ჩემს ათ წლიან რევოლუციურ მმართველობას. .. ჩემი ჩამოგდების ყველაზე რეალურ საშუალებად მან ჩათვალა ინგლისს-საფრანგეთის განხეთქილება» [6, 1-2]. ნიკოლოზ I გვიან მიხვდა, რომ საფრანგეთის დროებითი იზოლაცია რუსეთს ძალიან ძვირი დაუჯდა. მან დათმო ოსმალეთის იმპერიაში ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები [63, 222; 61, 422]. ლონდონის I ხელშეკრულება იყო ინგლისის გამარჯვება, რომელმაც საფრანგეთის დროებითი ჩამოშორებით, მიაღწია რუსეთთან შეთანხმებას სრუტეებთან დაკავშირებით. პალმერსტონმა განახორციელა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი, რომელიც უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების «გაფართოებას» გულისხმობდა მასში ევროპის სხვა სახელმწიფოების ჩართვით. ამ კონვენციამ განამტკიცა ინგლისის გავლენა ოსმალეთის იმპერიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში და შეარყია საფრანგეთის პოზიცია ხსენებულ რეგიონში.

ლონდონის I კონვენციის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ოსმალეთ_ეგვიპტის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, მოსწრებულად შენიშნა ერთ-ერთმა სირიელმა ისტორიკოსმა: ყუთი ინსტამბულში იყო, გასაღები კი ლონდონში.

1840 წლის 5 აგვისტოს მუსტაფა რეშიდ ფაშამ განაცხადა თანხმობა კონფერენციის პირობებზე. ოსმალეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი სადიკ რიფათ ეფენდი გაიგზავნა ეგვიპტეში ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილების შესატყობინებლად. 5 სექტემბერს მუჰამედ ალი დათანხმდა მემკვიდრეობითი უფლებებით მიეღო ეგვიპტე და მოითხოვა იბრაჰიმ ფაშასთვის სიცოცხლის მანძილზე სამართავად გადაეცათ სირია, ადანას ოლქი, კრეტა, უკიდურეს შემთხვევაში კი ტრიპოლის, დამასკოსა და ჰალების საფაშოები. ეს პასუხი სულტანმა ჩათვალა, როგორც უარი და 14 სექტემბრის ფირმანით მუჰამედ ალის ჩამოართვა

ეგვიპტე [73, 69]. 21 სექტემბერს ალექსანდრიაში ევროპის სახელმწიფოების კონსულებმა სულტნის ფირმანი გადასცეს ეგვიპტის ფაშას.

1840წ. ხმელთაშუა ზღვის აუზში შევიდა გაერთიანებული ესკადრა, რომლის შემადგენლობაშიც იყო: ინგლისის 11 სახაზო გემი, 6 ფრეგატი, 5 ბრიგი, 5 ორთქმავალი და 2 სადესანტო ბატარეა, 2 ავსტრიული ფრეგატი და 3 კორვეტი, რამდენიმე თურქული გემი. ფლოტის მეთაური იყო ადმირალი სტოპფორდი [2, 199]. ქვეითი ოპერაციებისთვის გამზადებული იყო 5400 კაციანი თურქული ბრიგადა, ინგლისური დესანტი _ 2 ათასი კაცი და 500 ავსტრიელი. ეგვიპტის არმია კი 75 ათას ჯარისკაცს ითვლიდა [116, 150-152; 97, 117]. რუსეთს სურდა ათი სამხედრო გემი გაეგზავნა ინგლის-ავსტრიის დესანტთან ერთად, მაგრამ ბრიტანეთის ხელისუფლება კატეგორიულად შეეწინააღმდეგა მის ამ განზრახვას. ასევე ჩაიშალა იმპერატორის გეგმა რუსეთის სადესანტო კორპუსის გაგზავნისა გრაფ ორლოვის ხელმძღვანელობით კონსტანტინოპოლის დასაცავად [42, 113]. 1840 წლის 11 სექტემბერს ნეპირმა დაბომბა ბეირუთი და მის ჩრდილოეთით გადასხა დესანტი, რამაც გააძლიერა ლიბანში ინგლისის მიერ ინსპირირებული ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ, 1836 წელს ინგლისის აგენტმა _ რიჩარდ ვუდმა ოსმალეთის იმპერიის მხარეს გადაიბირა ბაშირ II-ის ნათესავი ბაშირ III შიჰაბი და მთელი რიგი ქრისტიანი ლიდერები, მათ შორის მარონიტების პატრიარქი _ იუსუფ ჰუბეიში. პატრიარქს პორტას სახელით შეპირდნენ ლიბანში მარონიტების ავტონომიური საამიროს შექმნას და გადასახადების შემცირებას. 1839 - 40 წწ. ლიბანში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ ეგვიპტის ხელისუფლება აპირებდა ქრისტიანების სამხედრო სამსახურში გაწვევას. 1840 წ. მაისში, ბეირუთის პორტში შევიდა ეგვიპტის სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული გემი. მისი გამოჩენა მარონიტებმა ჩათვალეს სამხედრო გაწვევის დასაწყისად. ამას დაერთო ეგვიპტის ჯარის ახალი ქვეგანაყოფების შესვლა ბაალბექსა და ტარაბლუსში. დაასრულა ეს საეჭვო მოვლენები იბრაჰიმ ფაშას მოთხოვნამ, რომ ბაშირ II-ს განეიარაღებინა მარონიტები [64, 253]. 1840 წლის 31 მაისს ლიბანის ამირა წერდა ეგვიპტის არმიის შტაბის უფროსს _ სულაიმან ფაშას, რომ ლიბანის მოსახლეობა იყო « მსგავსი ნაცრით დაფარული ცეცხლისა. იმ მომენტში როცა მას შეეხები, ამ ცეცხლისგან შეიძლება საყოველთაო ხანძარი გაჩაღდესო «[82, 63]. მიუხედავად ამისა, ბაშირ II დაემორჩილა ეგვიპტის სამხედრო ხელისუფლების

გადაწყვეტილებას და მოუწოდა დეირ ალ-კამარის რაიონის მოსახლეობას (მარონიტებსაც და დრუზებსაც) განიარაღებულიყვნენ [79, 91]. ამას შედეგად მოყვა ის, რასაც ასე უფრთხოდა იბრაჰიმ ფაშა _ ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ გაერთიანდნენ მარონიტები და დრუზები. 1840 წლის 8 ივნისს სოფელ ანტალიუსში ქრისტიანულმა, დრუზების, სუნიტებისა და შიიტების თემების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას «ერთობლივი ბრძოლის შესახებ თავისუფლებისათვის» [64, 253]. აჯანყება დაიწყო დეირ ალ-კამარსა და მიმდებარე რაიონებში. მეორე კერა წარმოიშვა მათნის მუკატააში, მესამე კი ბეირუთის მახლობლად. ბეირუთში ჩავიდა ინგლისის საიდუმლო აგენტი _ რიჩარდ ვუდი, რომელიც აჯანყებულებს შეპირდა ინგლისის შეიარაღებულ დახმარებას. მართლაც, ავსტრიისა და ინგლისის მთავრობები ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ აჯანყებულებს. ბეირუთის ცენტრთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ბაშირ II. აჯანყებულებმა მოითხოვეს: 1) მირის გარდა, ყველა გადასახადის გაუქმება. 2) დივანში ლიბანში არსებული ყველა რელიგიური თემის ორ _ ორი წარმომადგენელის შეყვანა. 3) საბატონო ბეგარისა და განიარაღების მოთხოვნის გაუქმება.Mსამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა 5_7 ათასი კაცი. ისინი 50, 100, 200 კაციან რაზმებად იყვნენ დაყოფილები, მხოლოდ ბეირუთთან და ბიკაას ველზე მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობდნენ 1000 კაციანი და უფრო დიდი რაზმები [82, 68-72]. აჯანყებულები, თავდაპირველად, არ ებრძოდნენ ამირა ბაშირს, რომელიც ასევე თავს იკავებდა გადამჭრელი ზომების მიღებისაგან. ამირა იცდიდა და აქტიური მოქმედება მხოლოდ ლიბანში ეგვიპტის ჯარის შესვლის შემდეგ დაიწყო. იბრაჰიმ ფაშამ 29 მაისს ბეირუთის გარშემო კარანტინი გამოაცხადა დამასკოში არსებული შავი ჭირის ეპიდემიის საბაბით, სინამდვილეში ეს პოლიტიკური ღონისძიება იყო, რომელიც მთიან ლიბანში პურის და იარაღის შეტანას აძნელებდა. ივნისის დასაწყისში მთიან რაიონებში პურის შეტანა საერთოდ აიკრძალა. იბრაჰიმ ფაშამ და ბაშირ II-მ გაერთიანებული ძალით დაამარცხეს ლიბანის აჯანყება. ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმმა მოლაპარაკება დაიწყო დრუზების ლიდერებთან. ნაბულუსის 5 ათასზე მეტი მცხოვრები ეხმარებოდა საოკუპაციო ჯარს ლიბანის აჯანყების ჩახშობაში. შუფის მცხოვრებნიც საგადასახადო პრივილეგიებისა და იარაღის შენარჩუნების პირობით დათანხმდნენ მხარი დაეჭირათ ეგვიპტის არმიისთვის. აჯანყების ქრისტიანმა ლიდერებმა ამის საპასუხოდ განაცხადეს, რომ სახლი ყოველი დრუზისა რომელიც

იბრაჰიმ ფაშას სამსახურში შევა, დაიწვება, ქონება განადგურდება, ახლობლებს მონებად წავიყვანთ. ამ განცხადების შემდეგ შუფის დრუზმა ლიდერებმა ვეღარ გაბედეს აჯანყების გაცემა. 1840 წლის 26 აგვისტოს ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმმა სირიაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. იბრაჰიმ ფაშამ თავისი ჯარი სამ ნაწილად გაყო: I _ ჩრდ._დასავლეთის ნაწილის ამოცანა იყო ლიბანელებსა და მოკავშირეთა ჯარებს შორის ბარიერის შექმნა; II ნაწილი იცავდა ბეირუთს, ხოლო III კი აჯანყების ჩახშობას ცდილობდა [82, 81]. მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, 9 ოქტომბერს მოკავშირეებმა აიღეს ბეირუთი. ოქტომბერშივე დაიკავეს ჯუბეილი, ჰაიფა, საიდა, ტირი, ტრიპოლი. ეგვიპტის არმიაში დიზენტერია მძვინვარებდა, არ იყო საკმარისი ექიმები, წამლები, სურსათ-სანოვაგე. დეზერტირობამ ფართო მასშტაბებს მიაღწია არა მარტო ჯარისკაცებს შორის, ბევრმა ოფიცერმა მიატოვა ეგვიპტის არმია და ოსმალეთის მხარეს გადავიდა. იბრაჰიმ ფაშამ სიკვდილით დასაჯა ის ოფიცრები, რომლებიც ღალატში ამხილეს. თვით ჰუქუმდარი _ შერიფ ფაშაც კი დააპატიმრა იბრაჰიმ ფაშამ ოსმალებთან საიდუმლო კავშირის ბრალდებით [2, 218]. ეგვიპტის არმიის ნაწილები მთელ სირიაში იყო გაფანტული. მას ებრძოდნენ აჯანყებულები, მოკავშირეთა სადესანტო რაზმები. ინგლის _ ავსტრიის ფლოტს ალყაში ჰქონდა მოქცეული სირიის პორტები და ცეცხლს უშენდა სანაპირო ზოლს. 3 ნოემბერს აიღეს აქქა. აქქის დაცემის ცნობამ გამოიწვია ხელახალი აჯანყება პალესტინასა და ანტილიბანში. ამბოხებულებმა დაიკავეს იერუსალიმი და იაფა. უკვე 14 ოქტომბერს ბაშირ II თავისი ამალით საიდაში ჩავიდა.[47] ოსმალეთის სულტანმა ის კუნძულ მალტაზე გადაასახლა. რამდენიმე თვის შემდეგ მას ნება დართეს მცირე აზიაში გადასულიყო. სულტანმა ლიბანის ამირად, ჯერ კიდევ 1840წ. 3 სექტემბერს, დაამტკიცა ბაშირ III შიჰაბი. ცხადი გახდა, რომ იბრაჰიმ ფაშამ განიცადა მარცხი და სასწრაფოდ უნდა გაეყვანა თავისი ჯარის ნარჩენები სირია _ პალესტინიდან. მუჰამედ ალიმ გასცა ბრძანება არმიის ევაკუაციის შესახებ [67, 103]. 1840 წლის 29 დეკემბერს იბრაჰიმ ფაშამ დატოვა დამასკო. 60 ათასი ეგვიპტელი ჯარისკაციდან მხოლოდ 24 ათასმა მიაღწია სამშობლოს. როგორც თანამედროვენი აღწერდნენ ეს უკანდხევა ნაპოლეონის რუსეთიდან გაქცევაზე უფრო საშინელი იყო [15, 22-24 ; 51, 244].

---

[47] 1851 წ. ბაშირ II გარდაიცვალა და დაკრძალულია კონსტანტინეპოლში, გალათაში, სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაში [107, 1078-1079].

ასეთი იყო ვითარება, როცა ავსტრიის კანცლერმა მეტარნიხმა წამოაყენა წინადადება, სულტანს მიეცა მუჰამედ ალისთვის, მემკვიდრეობითი უფლებით, ეგვიპტე. მას მხარი დაუჭირა რუსეთმაც, რომელიც შეაშფოთა ინგლისის გაძლიერებამ ახლო აღმოსავლეთში. მოკავშირეთა ზეწოლით, პალმერსტონი დათანხმდა მეტერნიხის წინადადებას შემდეგი პირობებით: მუჰამედ ალი აღიარებდა სულტნის სიუზერენიტეტს, დააბრუნებდა ეგვიპტის ფლოტს და სირიიდან, ადანადან, კრეტადან და არაბეთის ნახევარკუნძულიდან გამოიყვანდა ჯარს. მუჰამედ ალისთვის სულტნის გადაწყვეტილების შესატყობინებლად, მოკავშირეებმა ალექსანდრიაში გაგზავნეს კომანდორი ნეპირი. ნოემბრის შუა რიცხვებში, ნეპირი ინგლისის ესკადრით მიუახლოვდა ალექსანდრიას და აიძულა ფაშა ხელი მოეწერა კონვენციაზე. მისმა მოქმედებამ გააღიზიანა პალმერსტონი, რომელმაც განაცხადა, რომ არავის, გარდა სულტნისა, არ შეეძლო რაიმე გარანტიის მიცემა მუჰამედ ალისთვის. მუჰამედ ალის ჰქონდა საფრანგეთის მთავრობის დახმარების იმედი, მაგრამ ოქტომბერში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახალი კაბინეტი, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრი _ გიზო. მან ურჩია მუჰამედ ალის ეცნო ლონდონის კონვენციის პირობები [47, 121].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულტანმა, რომელიც თავდაპირველად თვითონ ეძებდა მუჰამედ ალისთან კომპრომისს, ახალ ვითარებაში სცადა საერთოდ მოეცილებინა თავიდან ფაშა. 1840 წლის დეკემბერში სულტნის წარმომადგენელმა _ შეიკიბ ეფენდიმ გადასცა მოკავშირეებს აბდულ-მეჯიდის მემორანდუმი, რომელშიც ის უარს ამბობდა გადაეცა ფაშასთვის მემკვიდრეობითი უფლებები ეგვიპტეზე. ავსტრია - პრუსიის აქტიური ზეწოლით მოკავშირეებმა მიიღეს ნოტა, რომელიც მოუწოდებდა სულტანს « არა მარტო შეეცვალა მუჰამედ ალის პოსტიდან გადაყენების დადგენილება, არამედ პირობა მიეცა, რომ ფაშას პირდაპირი შტოს შთამომავლები დაინიშნებოდნენ, ეგვიპტის გამგებლებად» [44, 412-413]. 1841 წლის იანვარში, მუჰამედ ალიმ ოსმალეთის წარმომადგენელს გადასცა ფლოტი და სულტანს გაუგზავნა წერილი თავისი ერთგულებისა და მორჩილების შესახებ. 30 იანვარს მოკავშირეებმა ხელახლა მიმართეს სულტანს აღედგინა მუჰამედ ალი ეგვიპტის გამგებლად. მათ სურდათ თავიდან აეცილებინათ საფრანგეთთან გართულებები.

1841 წლის იანვარში ლონდონში დაიწყო ახალი კონფერენცია აღმოსავლეთის საკითხზე საფრანგეთის მონაწილეობით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი _ გიზო შიშობდა, რომ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე უარს არ გაეღიზიანებინა მოკავშირეები და ლონდონის დროებითი ხელშეკრულება, მუდმივ კავშირად არ ქცეულიყო. ამიტომ, მისი დავალებით, საფრანგეთის წარმომადგენელმა ინგლისში _ ბურკენემ კონფერენციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა შემდეგი პირობებით :

1) ხელშეკრულების ინიციატორი იქნებოდა არა საფრანგეთი, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოები.

2) მუჰამედ ალის მისცემდნენ მემკვიდრეობითი უფლებით ეგვიპტეს.

3) ლონდონის 15 ივლისის კონვენცია გაუქმდებოდა, რასაც ოფიციალურად აცნობებდნენ საფრანგეთის ხელისუფლებას.

ამ პუნქტების შესრულების შემთხვევაში საფრანგეთი მონაწილეობას მიიღებდა კონვენციის დადებაში [44, 412]. ბურკენემ წარმატებით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენელი ლონდონში იყო შეიკიბ ეფენდი. 1841 წლის 13 თებერვლის ფირმანით, სულტანმა მუჰამედ ალის დაუმტკიცა მემკვიდრეობითი უფლებები ეგვიპტეზე შემდეგი პირობებით : 1) სულტანი თვითონ აარჩევდა მომავალ ფაშას მუჰამედ ალის მემკვიდრეებიდან. 2) ფაშას არმია 18 ათას კაცამდე შემცირდებოდა და მას უფლება ექნებოდა დაბალი ჩინის (კაპიტნის რანგამდე) ოფიცრების დანიშვნისა თავის არმიაში. მუჰამედ ალიმ უარყო სულტანის ეს წინადადება. საფრანგეთმა მხარი დაუჭირა ფაშას და განაცხადა, რომ ხელშეკრულებას სრუტეების შესახებ ხელს არ მოაწერდა, ვიდრე ეს პრობლემა არ გადაწყდებოდა. მეტერნიხის აქტიური ჩარევის შედეგად რეის ეფენდი რეშიდ ფაშა გადააყენეს. მის ნაცვლად სულტანმა დანიშნა რიფათ ფაშა, რომლის ძალისხმევითაც კონფლიქტი დარეგულირდა.

1841წ. 29 მარტს სულტანმა გამოსცა ხატ-ი-შერიფი, რომლის მიხედვითაც:

1) მუჰამედ ალის გადაეცა მემკვიდრეობითი უფლებით ეგვიპტე.

2) მას შეეძლო არმიაში ოფიცრების დანიშვნა პოლკოვნიკის ჩინამდე. ეგვიპტის არმია 18 ათას კაცამდე შემცირდა და დაექვემდებარა პორტას. ფაშას აეკრძალა სამხედრო ფლოტის მშენებლობა.

3) მუჰამედ ალის უნდა გადაეხადა გადასახადი 30 მლნ. პიასტრი _ დაახლოებით 40 ათასი ქისა [14, 50].[48]

4) მუჰამედ ალის თავი სულტნის ვასალად უნდა ეღიარებინა.

1841 წლის ივნისის ბოლოს ინგლისმა, ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვითაც: ოსმალეთ-ეგვიპტის კონფლიქტი, რამაც გამოიწვია 1840 წ. ლონდონის I კონვენციის დადება, დარეგულირდა. ამიტომ ეს ხელშეკრულება გაუქმდა. ევროპის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს დაედოთ მუდმივ მოქმედი ხელშეკრულება, რომელმაც გაიმეორა ლონდონის I კონვენციის გადაწყვეტილებები სირიის კუთვნილების შესახებ და განსაზღვრა სრუტეების საკითხი [62, 561].

1841 წლის 13 ივლისს ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ, რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ლონდონის მეორე კონვენციას სრუტეების შესახებ. კონვენციით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დაიხურა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. ოსმალეთის იმპერიას შეეძლო სრუტეებში იმ ქვეყნის გემები გაეტარებინა, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიდა [23, 148; 27, 165; 61, 423]. ლონდონის II კონვენციამ დიდი ხნით დააკარგვინა რუსეთს შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ფლოტის გაყვანის შესაძლებლობა. რუსეთის სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში ჩაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო სამხ. საზღვრები დაუცველი, რადგან ომის შემთხვევაში, ოსმალეთს შეეძლო უცხო ქვეყნის სამხედრო გემების გატარება სრუტეებში [21, 61].

ლონდონის II კონვენციამ განამტკიცა ბრიტანეთის პოლიტიკური კურსის გამარჯვება რუსეთთან მიმართებაში. ამ უკანასკნელმა დაკარგა ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები ოსმალეთის იმპერიაში. რუსეთის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად დასუსტდა 30-იან წლებთან შედარებით. მეფის რუსეთის მცდელობა ინგლისთან დაახლოებასა და მასთან შეთანხმების შესახებ ოსმალეთის გაყოფაზე წარუმატებლად დასრულდა. ბრიტანეთს საკმაოდ მყარი პოზიცია ჰქონდა ოსმალეთის იმპერიაში და სხვა ქვეყნებთან შეთანხმება არ სჭირდებოდა. ამიტომ ნიკოლოზ I წინადადება « ავადმყოფი ადამიანის» მემკვიდრეობის გაყოფაზე ინგლისმა არ გაიზიარა.

---

[48] არსებობს სხვა მოსაზრებაც თანხასთან დაკავშირებით, ფაშას უნდა გადაეხადა 60 ათასი ქისა, რაც ეგვიპტის შემოსავლის მეოთხედს წარმოადგენდა.

ამგვარად, მუჰამედ ალის კაპიტულაციით დასრულდა ოსმალეთ – ეგვიპტის კონფლიქტი, რომელიც ათი წლის მანძილზე გრძელდებოდა და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საერთაშორისო პოლიტიკაში.

დ ა ს კ ვ ნ ა

XIX ს-ის 30-იან წლებში ე.წ. «აღმოსავლეთის საკითხის გააქტიურება გამოიწვია ოსმალეთ–ეგვიპტის სამხედრო დაპირის- პირებამ სირიის პრობლემის გამო. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის სფეროების გაფართოებისკენ სწრაფვამ და სტრა- ტეგიულად მნიშვნელოვანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხმა ევროპის სახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირება გამოიწვია. ამიტომ შეხვდა გაერთიანებული არაბული სახელმწიფოს შექმნის იდეას ევროპის სამთავრობო კაბინეტების უმრავლესობის მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობა. სწორედ ხსენებული რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური მნიშვნე- ლობიდან გამომდინარე მოექცა ოსმალეთ–ეგვიპტის ერთი შეხედვით ადგილობრივი მნიშვნელობის კონფლიქტი საერთაშორისო პოლიტიკის ფოკუსში.

კაირო-სტამბოლის I კონფლიქტის საწყის ეტაპზე ევროპის სახელმწიფოებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მუჰამედ ალის სამხედრო პოტენციალი და დროულად არ შეზღუდეს მისი ამბიციური მისწრაფება. მხოლოდ მეფის რუსეთი, რომელის ინტერესებშიც არ შედიოდა იმპერიის სამხრეთ საზღვართან ახალი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ჩაერია კონფლიქტში და სულტნის თხოვნით, სამხედრო ფლოტი შეიყვანა ბოსფორის სრუტეში. მოგვიანებით, 8 ივლისს დაიდო უნკიარ-ისკელესის სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთ-ოსმალეთს შორის. რუსეთის ჩარევამ გააააქტიურა ევროპის სახელმწიფოები და მათი ერთობლივი ძალისხმევით დაიდო ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება. სულტნის ფირმანით, ფაშამ მიიღო იმპერიის ტერიტორიის 35-40%, ხოლო მოსახლეობის 18 %.

ოკუპირებული რაიონის მმართველად დაინიშნა ექსპედიციის მხედართმთავარი – იბრაჰიმ ფაშა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გატარდა სირიაში მთელი რიგი რეფორმები, მიმართული ქვეყნის აღორძინებისკენ. იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებულ ცვლილებებს, თავდაპირველად, უაღრესად პოზიტიური შედეგები მოჰყვა

მოგვიანებით, როცა ახალი კონფლიქტის საფრთხე რეალური გახდა, ეგვიპტის ხელისუფებამ გაზარდა გადასახადები, დააწესა მონოპოლიები სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან პროდუქტებზე, მოითხოვა სამხედრო გაწვევის ჩატარება და განიარაღება, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება, რაც თავის მხრივ, პერმანენტულ აჯანყებებში გადაიზარდა.

1839 წ. კონფლიქტი სულტნის ინიციატივით განახლდა, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. ამჯერად, ევროპის სახელმწიფოები თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ კონფლიქტის დარეგულირებაში.

1840 წ. ლონდონში მიმდინარე მოლაპარაკებები ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის დასრულდა ლონდონის I კონვენციით, რომელსაც ხელი მოაწერეს: ერთი მხრივ, ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ და მეორე მხრივ ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენელმა. კონვენციით მუჰამედ ალიმ მიიღო მემკვიდრეობითი უფლებები ეგვიპტეზე, ხოლო დანარჩენი პროვინციები სულტანს დაუბრუნდა. ამგვარად, ევროპის სახელმწიფოთა ჩარევის შედეგად, კრახით დასრულდა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის მცდელობა.

ლონდონის კონფერენციის შედეგებით ისარგებლა ბრიტანეთმა, რომლის გავლენაც ოსმალეთის იმპერიაში კიდევ უფრო გაიზარდა. ინგლისის ინტერესებს ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ინდოეთისკენ მიმავალ გზებზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ძლიერი არაბული სახელმწიფო, რომლის პოლიტიკაზეც დიდი გავლენა ექნებოდა საფრანგეთს. ამას, თავის მხრივ, მოყვა საფრანგეთის პოზიციების შესუსტება ახლო აღმოსავლეთში. რაც შეეხება რუსეთს, მისმა დიპლომატიურმა კურსმა მარცხი განიცადა, რადგან 1841 წლის მეორე კონვენციით დაწესდა საერთაშორისო კონტროლი სრუტეებზე. რუსეთმა დათმო ადრიანოპოლის ზავითა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები.

ამგვარად, სირია–ეგვიპტის გაერთიანების საკითხი დიდმა პოლიტიკამ გადაწყვიტა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. Абд ар-Рахман ал-Джабарти, Египет под властью Мухаммада Али (1806 _ 1821), Перевод, предисловие и примечания Х. И. Килберг, М., 1963.

2. Базили К. М., Сирия и Палестина под турецким правительством в историческом и политическом отношениях, М., 1962.

3. Базили К. М., Записка о внешней торговле Сирии. Сирия, Ливан и Палестина в описаниях российских путешественников и консульских и военных обзорах первой половины XIX века, М., 1991.

4. Б-не И., Дипломатическая сношения Турции с европеискими державами. _Современник № 5-6, СПБ., 1855.

5. Дюгамель А. О., Автобиография А. О. Дюгамеля, М .,1885.

6. Жигарев Сергеи, Русская политика в восточном вопросе (с истории в XVI-XIX веках, критическая оценка и будущие задачи). Историко-юридические очерки, М., 1896.

7. Клот-беи А. Б., Египет в прежнем и нынешнем своем состянии, перевод с французского А. А. Краевского, С. Петербургь ,1842.

8. Львов П. П., Русский офицер в Сирий. Сирия, Ливан и Палестина в описаниях российских путешественников и консульских и военных обзорах первой половины XIX века, М., 1991.

9. Муравьев Н. Н, Русские на босфоръ въ1833 году, М., 1869.

10 . Муравьев Н. Н., Турция и Египеть в 1832-1833 годахъ, ч. I-II, М., 1874.

11. Муравьев Н. Н., Турция и Египеть в 1832-1833 годахъ, ч.III, М., 1870.

12. Сенковский О. И., Воспоминание о Сирии. Сирия, Ливан и Палестина в описаниях российских путешественников и консульских и военных обзорах первой половины XIX века, М., 1991.

13. Ст-н Н ,Путевые заметки о Сирии и Палестине 1844-1847. М., 1918.

14. Розен Д. Г., История Турции от победы реформы и 1826 году до Парижского трактата в 1856 году, ч.I, Пер. с нем, СПБ ,1872

15. Египет под управлением Мехмеда – Али, Б. М .1843,(Наука и художества).
(სტატია დაცულია ი. ჭავჭავაძის სახ. პარლამენტის ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებაში. მას აკლია სატიტულო გვერდი და ავტორის ვინაობა გაურკვველია).

16. Татищев С. С., Внешняя политика императора Никалая Первого, Введение в историю внешних сношении России в эпоху Севастопольской воины, СПБ, 1887.

17. Теплов , Представители держав в прежнем Константинополе. Русский Вестник, т.208, СПБ 1890.

სამეცნიერო ლიტერატურა

18. ანთაძე მ., ფარა, ქ.ს.ე., ტ. 10, 1986.

19. გოდერძიშვილი ე., ქრისტიანული კონფესიები და მისიონერების მოღვაწეობა ოსმალეთის იმპერიაში 1814-1914წწ., თბილისი, 1996.

20. იტრიაშვილი მ., მარონიტების ადგილი და როლი ლიბანის კონფესიურ ევოლუციაში (XII-XXსს.), თბილისი, 1996.

21. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია XIXს., თბილისი 2003.

22. მენთეშაშვილი ალ., XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თბილისი, 2005.

23. მენთეშაშვილი ალ., საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II (1799-1918), თბილისი, 2003.

24. მეტრეველი მ., დრუზების თემი (წარმოშობა, ჩამოყალიბება და კონსოლიდაციის პროცესი), თბილისი, 1987.

25. მეტრეველი მ., ალ-მასჯიდ ალ-აკსა. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999.

26. სიხარულიძე ე. ხარაჯა, ქ. ს. ე., ტ. 11, თბილისი, 1987.

27. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (1600-1923)II, თბილისი, 2002.

28. ტიკაძე მ., ისლამური რელიგიური ინსტიტუტები სირიის საზოგადოებრივ სტრუქტურაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI – XVIIIსს.) _ ტიპოლოგიური ძიებანი IV, თბილისი, 2000.

29. ტიკაძე მ., სირიის ადმინისტრაციული დაყოფა ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI – XVIIIსს.) _ თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, 290., თბილისი, 1989.

30. ტიკაძე მ., სასამართლო სისტემა და ყადის ფუნქციები XVIIIს. სირიაში _ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო III, თბილისი, 2002.

31. ტიკაძე მ., სირია XVIIIს-ის ოსმალურ სამხედრო – ადმინისტრაციულ სისტემაში (კონსერვატიზმი და ევოლუციის ნიშნები), _ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო II, თბილისი, 1999.

32. ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX – XIX სს.) თბილისი, 1973.

33. ჯაფარიძე გ., მილეთი. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999.

34. ქაჯაია ო., ეგვიპტე. წარსული და აწმყო, თბილისი, 1988.

35. Ацамба Ф.А, Состояние промышленности и положение наемных рабочих в Египта XI X в., Очерки по истории Арабских стран, М., 1959.

36. Ацамба Ф.А., Кириллина С. А., Ислам в эпоху Мухаммеда Али: конец ` Золотого Века" улема, Религия и Власть_ Ислам в османском Египте (XVII –пер. чет. XIX в), Издательство Московского Университета, 1996.

37. Бартолд В. В., Халиф и Султан, соч. т.VI, М ., 1996.

38. Боджолян М. Т, Реформы 20-30-х г. г. X IX века в Османской империи, Ереван ,1984.

39. Всемирная история ,Т.VI, М ., 1959.

40.Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А.,Очерки истории Турции, М .,1983.

41. Георгиев В. А., Внешняя политика России на Ближнем Востоке в конце 30-х начало 40-х годов XI X в., М., 1975.

42. Георгиев В. А; Киняпина. Н. С; Панченкова М. Т; Шеремет В.И; Восточныи вопрос внешней политике России _ конец XVIII- начало XX в.,М.,1978.

43. Данциг Б., Турция, М .,1949.

44. Дебидур А., Дипломатическая история Европы от Венского до Берлинского конгресса (1814 – 1878), т. I, М ., 1947.

45. Дулина Н. А., Англо-турецкий договор 1838 г и его вляние на экономическое развитие Османской империи, Народы Азии и Африки, №3 , М.,1976.

46. Дулина Н. А., Изминение в Османскои дипломатии (30-е годы XIX в), Тюркологический сборник 1973, М., 1975.

47. Дулина Н. А, Османская империя в международних отношениях (30_40-е г. г .X IX в.), М .,1980.

48. Еремеева Т. В, Заключителний этап египетского кризиса 1831-1833г.г. и великие державы._ Учение записки по новой и новеишей истории, вып.II, М., 1956.

49. Жантиев Д.Р., Традиция и модернизация на Арабском Востоке, Реформы в сирийских провинциях Османскои империи (конец XVIII - начало XIX века), М., 1998.

50. Зеленев Е. И., Государственное Управление, Судебная Система и Армия в Египте и Сирии (XVI - начало XX века), изд. С._ Петербургского Университета, 2003.

51. Зеленев Е. И., Египет: Средние века, Новое время, СПБ .,1999.

52. Зеленев Е. И., Мухаммад Али: Борьба за власть в Египте (1801-1805 гг.), СПБ., 2002.

53. Зеленев Е. И., Османизм и его роль в общественно-политической жизни Сирии, Вторая половина XIX - начало XX веков. Учебное пособие, Ленинград ,1990.

54. Зеленев Е.И., Эволюция административно-териториального деления Сирии в период средневековья и в новое время._ Древний и Средневековый Восток, М., 1987.

55. Зеленев Е. И., Эволюция османского провинциального управления в Сирии в XIX начале XX века, Восток в новое время, экономика, государственныи строи, сб. статей, М.,1998.

56. Иванов Н. А., Аграрная политика Мухаммеда Али (к вопросу об аграрных отношениях в Египте в начале XIX В.), Очерки по истории Арабских стран (сборник статей), изд. Московского Университета, 1959.

57. Иванов Н. А., Османское завоевание арабских стран, М., 1984.

58. Иванов Н. А., О типологических особенностях арабо – османского феодализма, Народы Азии и Африки, №3, М., 1978.

59. Ислам, Энциклопедический словарь, М., 1991.

60. История стран Азии и Африки в новое время, часть I, М., 1989.

61. История Дипломатии, Т.I, под редакцией Потемкина, М .,1941.

62. История Дипломатии ,Т. I, М.,1959.

63. Киняпина. Н. С, Внешняя политика России в первой половине XI Хв. М., 1963.

64. Кобищанов Т. Ю., Христианские общины в арабо – османском мире (XVII - первая треть XX в .), М., 2003.

65. Крымьский А .Е., История новой арабской литераеуры XIX века, М., 1971.

66.Левин З. И, Развитие основных течении общественно – политической мысли в Сирии и Египте (новое время), М.,1971.

67. Луцкий В .Т, Новая история арабских стран, М .,1965.

68. Меиер М. С., Новые тенденции в социально-политической жизны Османской империи XVII - XVIII вв. (на примере кетхуды). _ Государственная власть и общественно-политические структуры в арабских странах (История и современность), сборник статей, М .,1984.

69. Миллер А. Ф., Краткая история турции , Огиз, 1948.

70. Новая история стран зарубежной Азий и Африки, Л., 1959.

71. Новая история стран зарубежного Востока, М., 1952.

72. Новичев А. Д, История Турции, т.II, Л. 1968.

73.Новичев А. Д, История Турции, т .III, Л., 1973.

74. Новичев А .Д, Предпосылки конфликта между султаном Махмудом и Мухаммедом Али в 1839-1841 гг., Вестник Ленинградского Университета №20, Л., 1971.

75. Новичев А. Д., Очерки экономики Турций до Мировой воины, М/Л, 1937.

76. Новичев А .Д., Экономические и политические сдвиги в Малой Азий и на Балканах в первой половине XI Хв. и начало танзимата, М., 1966.

77. Петросян. Ю. А., Османская империя: могущество и гибель,_ Исторические Очерки, М., 1990.

78.Родионов М.А, Марониты. Из Этноконфесионалной истории Восточного средиземноморья, М .,1982.

79. Салиби К. С., Очерки по истории Ливана ,М .,1969.

80. Сирия, Ливан и Палестина в описаниях российских путешественников и консульских и военных обзорах первой половины X IX века, комментарии, М., 1991.

81. Смилянская И. М., Османское провинциадьное управление и общественные институты в Сирии XVIII в., _ Государственная власть и общественно-политические структуры в арабских странах (История и современность) , сборник статей, М., 1984.

82. Смилянская И. М., Крестьянское движение в Ливане в первой половине XIX в., М., 1965.

83. Смилянская И. М., Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени (на материалах Сирии, Ливана и Палестины), М .,1979.

84.Советская историческая энциклопедия, т.5 , М., 1964.

85. Фадеев А.В., Россия в системе международных отношений 1815-1849 гг., М.,1961.

86. Фадеева И. Д ., Османская Империя и англо-турецкие отношения в середине XIX в., М .,1982.

87. Djaparidze G., The fate of Georgian students in the first Egyptian Student Mission sent to France by Muhammad Ali. _ Papers from the third conference for ottoman students in Egypt, Cairo,2004

88. Fahmy. Khaled The era of Muhammad Ali Pasha, 1805 – 1848, The Cambridge history of Egypt, vol. II., Ed. by Daly, Cambridge, 1998.

89. Haddad Robert M., Surian christians in muslim society, Prinseton, 1970.

90. Heyd Uriel, The Ottoman Ulema and westernization in the time of Selim III and Mahmud II, Studies in Islamic history and civilization, Ed. by Uriel Heyd, Jerusalem, 1961.

91. Hitti Ph. K., History of Syria including Lebanon and Palestine, london, 1951.

92. Hitti Ph. K., History of the Arabs from the earliest times to the present, london, 1957.

93. Hitti Ph. K., Lebanon in history, , london, 1957.

94. Hofman Yitzhak, The administration in Syria and Palestine under the Egyptian Rule (1831-1840), _ Studies on Palestine during the Ottoman period, Ed., by Moshe Maoz, Jerusalem, 1975.

95. Hourani A.N., Syria and Lebanon, a political essay, Oxford University Press, 1954.

96. Inalchic Halil, Centralization and Decentralization in Ottoman Administration _Studies in eighteenth century Islamic history, London and Amsterdam, 1977.

97. Khalaf Samir, Communal conflict in nineteenth century, Lebanon, Christians and Jews in the Ottoman Empire,The functioning of plural society, Ed., by Benjamin Braude and Bernard Lewis, vol. II, N-York _ london, 1982.

98. Levy A., Mahmud II (reigned 1223-55/ 1808-39), The Encyclopaedia of Islam, vol.II, London, 1970.

99. Lewis Bernard, Ottoman Land Tenure and Taxation in Syria , Studia Islamica, 50, Paris, 1979.

100. Marsot Afaf Lutfi Al – Sayyid, Egypt in the reign of Muhammad Ali, Cambridge, 1984.

101. Kahle P.. Holt (P.M), Ibrahim Pasha, The Encyclopaedia of Islam, vol.II, London, 1970.

102. Poliak A.N., Feudalism in Egypt, Syria, Palestine and Lebanon, 1250_1900, London, 1939.
103. Philipp Thomas, The Syrians in Egypt 1725-1975, Stuttgart, 1985.

104. Porath Yehoshua, The Political awakening of the Palestine Arabs and their Leadership towards the end of the Ottoman Period, Studies on Palestine during the Ottoman Period,Ed., by Moshe Maoz, Jerusalem, 1975.

105. Rafeq Abdul _ Karim, Changes in relationship between the Ottoman central administration and the Syrian provinces from the sixteenth to the eighteenth centuries, Stidies in Eighteenth century Islamic History. Ed. by Thomas Naff and Roger Owen, Southern Illinios Un. Press, 1977.

106. Rustum Asad, The royal archives of Egypt and disturbances in Palestine 1834 , Beirut, 1938.

107. Rustum Asad, Bashir II Shihab, The Encyclopaedia of Islam, vol.II, London, 1970.

108. Tibawi A.L., A modern history of Syria including Lebanon and Palestine, London, 1969.

109. Toledano E.R., Muhammad Ali Pasha, The Encyclopaedia of Islam, vol.II, London, 1970.

110. Vatikiotis P.J., The history of Egypt, Baltimore, 1980.

111. აბდ ალლაჰ ჰანა, თაჰრიქათ ალ-ამა ად-დიმაშკია ფი-ლ-კარნაინი ას-სამან აშრ ვა-თ-თასი აშრ, ბაირუთ, 1980.

112. აბდ არ-რაჰმან არ-რაფი ბექ, ასრ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 1951.

113. აბდ არ-რაჰმან არ-რაფიკ, ალ-არაბ ვა-ლ-უსმანიუნ, დიმაშკ, 1974.

114. აბდ ალ-ქარიმ მაჰმუდ ღურაიბა, თარიხ ალ-არაბ ალ-ჰადის, ბაირუთ, 1984.

115. დიმითრი ჯათიფ, სიასათ მუჰამმად ალი ფი-შ-შამ (1833-1840), ისლაჰ ამ თაჰდის? მისრ ფი ასრ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 1999.

116. ალი აჰმად შაქრი, თარიხ მისრ მინ აჰდ-ლ-მამალიქ ილა ნიჰაიათი ჰაქამ ისმაილ, ალ-კაჰირა, 2002.

117. ლატიფა მუჰამედ სალიმ, ალ-ჰუქმ მისრი ფი-შ-შამ (1831-1841), ალ-კაჰირა, 1989.

118. ლატიფა მუჰამედ სალიმ, მავკიფ მუჰამმად ალი მინ აჰლ ზამათ ფი-შ-შამ, ისლაჰ ამ თაჰდის? მისრ ფი ასრ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 1999.

119. მუჰამმად აბდ ალ-ფათაჰ აბუ-ლ-ფადლ, ას-საჰვათ ალ-მისრია ფი-აჰდ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 2000.

120. მუჰამმად აბდ ას-სათარ ალ-ბადრი, ალ-მავაჯიჰათუნ ალ-მისრია ალ-ურუბია ფი აჰდ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 2001.

121. აბდ ალ-ლატიფ მუჰამმად საბაღ, ჯუჰუდ მუჰამმად ალი ათ-თადინიათი ფი-შ-შამ, ისლაჰ ამ თაჰდის? მისრ ფი ასრ მუჰამმად ალი, ალ-კაჰირა, 1999.

122. Egypt under Muhammad Ali and his succesors From wikipedia, the free encyclopedia _http://en. wikipedia.

123. Muhammad Ali of Egypt From wikipedia, the free encyclopedia _http://en. wikipedia.